ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ეკონომიკა და ფინანსები“

თბილისი
2018

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

„Economics and Finance“

Tbilisi
2018

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“
გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-
ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და
განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refered and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“ published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ

The magazine has been published since 2018, four times a year

გამომცემლობა: „დანი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“-ს

ზოგადი დებულება:

ჟურნალის დამფუძნებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის თანადამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს საქართველოს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი.

კ ო ნ ც ე პ ც ი ა

ჟურნალი შინაარსობრივად არის სრულტექსტიანი; ჟურნალი გამოიცემა მხოლოდ ელექტრონული სახით ისე ნაბეჭდი ვერსიის ფორმით.[1] გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა მასალა რეცენზირდება და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში. რეცენზირება დაფარულია, ანუ ავტორისათვის უცნობი რჩება რეცენზენტის ვინაობა. ჟურნალის ყველა მასალა გადაიწერება CD-დ ისკზე და ინახება განუსაზღვრელი დროით. შენახვას უზრუნველყოფს “ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი“ როგორც მისი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს

[1] ჟურნალის მისამართია: www.facebook.com/economics.finance.ge/

ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, რითაც დაცული იქნება ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ავტორთა საავტორო უფლება.

ჟურნალი ორიენტირებულია უპირველესად იმ სამეცნიერო მასალებზე, რომლებიც არსად გამოქვეყნებულა (სტატიები, გამოკვლევათა შედეგები, ანგარიშები და ა.შ.) და ავტორთა მიერ ჟურნალს გადაეცემა, გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის და ამ მასალებზე დაცული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

ავტორები პასუხისგებელნი არიან სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე. ავტორებისათვის პუბლიკაცია ფასიანია.

ჟურნალის რედაქცია არ აგებს პასუხს სტატიის პუბლიკაციის შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ მასალების გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების, საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევა, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული მასალა ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ჟურნალის მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის შექმნისათვის და ორიენტირებულია იმ კრიტერიუმებზე, რაც მოეთხოვება სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიურ ჟურნალებს.

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე - გიორგი ცაავა

მთავარი რედაქტორი – დავით ჩახვაშვილი

ლ. ბახტაძე, რ. ბურდიაშვილი, ნ. გრიგოლაია, ს. გოგჩე (თურქეთი), მ. ვანიშვილი, ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), მ. კედზიერსკი (პოლონეთი), ტ. ლიპაი (ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი, მ. ნარსია, ჯ. რედელშეიმერი (აშშ), ნ. სამჭკუაშვილი, მ. ტროჯაკი (პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (ელ. ვერსიის ტექნიკური რედაქტორი), რ. ქუთათელაძე, ნ. ჭიკაიძე.

Editorial Staff

Head of the editorial board – Giorgi Tsaava

Editor-in-Chief – David Cakhvashvili

L. Bakhtadze, R. Burdiashvili, N. Grigolaia, C. Gokce (Turkey), M. Vanishvili, N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), M. Kedzierski (Poland), T. Lipai (Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili, M. Narsia, J. Redelsheimer (USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Poland), A. Kutateladze, R. Kutateladze, N. Chikaidze.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის

15 ივლისი, 2018 წ.
ქარელი, საქართველო

კონფერენციის მიმართულებები:

- ეკონომიკა
- ფინანსები
- მენეჯმენტი
- მარკეტინგი
- ბიზნესი
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული
- სწავლება და განათლება
- მედიცინა
- მეცნიერება
- ტექნოლოგია

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, გერმანული, რუსული.
კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალში „ეკონომიკა და ფინანსები“ ISSN: 2587-5000

კონფერენციაში მონაწილეობის საფასური: 60 ლარი (დღგ-ს გარეშე) დაუსწრებელი მონაწილეობა: 50 ლარი

სარეგისტრაციო მოსაკრებელში შედის: სტატიის რეცენზირება, ჟურნალში „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოქვეყნება, კონფერენციის პროგრამა, სერტიფიკატი, ბეიჯი, ქოფი-ბრეიქი, ტრანსფერი: თბილისი - ქარელი - თბილისი, ექსკურსია, პიკნიკი.

კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი

კონფერენციაში მონაწილეობის თანხის გადახდის ბოლო ვადაა 30 მაისი
საბანკო რეკვიზიტები სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისათვის მონაწილეებს გადაეგზავნებათ განაცხადების განხილვის შემდეგ. ერთი სტატიის ავტორთა მაქსიმალური რაოდენობა - 2

სტატიები გამოაგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
economics.finance@outlook.com

რეგისტრაციისა და კონფერენციის შესახებ უახლესი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საიტს:
www.bpengi.com

საკონტაქტო პირები:

ვალერი მოსიაშვილი (+995)577 643 485

დავით ჩახვაშვილი (+995) 571 222 737

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე
„მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“

International Scientific Conference
Science for Practice and Development

July 15, 2018
Kareli, Georgia

We are happy to announce the Call for the International Scientific Conference „Science for Practice and Development“

Topics
- Economics
- Finance
- Management
- Marketing
- Business
- Social Sciences
- Humanities
- Teaching and Education
- Medicine
- Science
- Technology

Including Guided tour in Khareli

Conference proceedings
Journal "Economics and Finance", ISSN: 2587-5000

Paper template 2018
- click here to download the conference paper template

International Scientific Conference in Khareli is an important international gathering of scholars, educators and PhD students.
Fees
- Publishing Full paper/Abstract + presentation: 50 EUR

- Publishing full paper, without attending: 30 EUR

Attending fee includes admission to all sessions, conference kit (including the Scientific Book of Proceedings on CD), admission to the lunch or/and dinner, plus coffee breaks, according to the conference program.

Payment

Bank Institution: ----------
Bank/Branch Institution Address: ----------
S.W.I.F.T. (BIC):----------
Acc. Holder Name: ----------
Acc Holder Address: ----------
IBAN: ----------
Purpose: 'Participant's Name - Conference City Name'

Deadlines

- Submission of complete/full papers for the proceedings: June 1, 2018
- Notification of full paper acceptance: June 10, 2018
- Conceiving and finalizing the Conference program: June 15, 2018
- Conference sessions: July 14, 2018

Please send articles on the e-mail: economics.finance@outlook.com
For information on registration and conference information, please visit the site: www.bpengi.com

Contact persons:
Valeri Mosiashvili (+995) 577 643 485

International scientific conference
"Science for Practice and Development"

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები

1. **დავით ჩახვაშვილი** (კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე);
2. **ვალერი მოსიაშვილი** (ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი);
3. **რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი);
4. **გიორგი ცხვედიანი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი);
5. **ხათუნა გაბიცინაშვილი** (ქართულ-ევრპული უნივერსიტეტი ვიცე-რექტორი);
6. **დალი სეხნიაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის დამფუძნებელი);
7. **მერი არხოშაშვილი** (ქარელის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე);
8. **თენგიზ თაქთაქიშვილი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიმართულების ხელმძღვანელი);
9. **ვასილ ბაქრაძე** (ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი)

10. **მედეა ჭელიძე** - (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);
11. **ანი ქვათაძე** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის მენეჯერი);
12. **მამუკა გონგლიაშვილი** (ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სპეციალისტი);

სარჩევი

ლია ოტიაშვილი - უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის აქტუალური ასპექტები 17

ნონა ოთხოზორია, **თამარ მენაბდე** – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ინჟინერიაში 24

ეთერ მამაცაშვილი – სისტემური რისკები და მიდგომები ფინანსური ბაზრების საერთაშორისო რეგულირების მიმართ 31

ნინო გრიგოლაია, ნელი სესაძე - ABC როგორც დანახარჯების აღრიცხვის სისტემა 45

ივანე ეპიტაშვილი, დავით ჩახვაშვილი - ულტრა-პრემიალური პროდუქცია და მისი ადგილი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე 54

ნინო მენაბდე – ბიზნეს-სუბიექტის ზოგიერთი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების კვლევა 59

ციცინო ბუკია - ეკონომიკის საკითხები გაზეთ „საქართველოს“ (1918-1919 წწ) ფურცლებზე 68

ბექარ კილასონია – ეკონომიკური ზრდის თეორიები 76

ვლადიმერ ტოგონიძე - სახელმწიფოს როლი ქვეყნის საინოვაციო ეკოსისტემის ფორმირებაში 87

ნინო მაზიაშვილი - PR-ის თავისებურება, მისი როლი ბიზნესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში 98

ნაზი ჭიკაიძე - მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები 107

მაყვალა სხირტლაძე - საუნივერსიტეტო (უმაღლესი განათლების) მეცნიერების დაფინანსების პრობლემები ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში 121

ნათია ახალკაცი – ფისკალური დეცენტრალიზაციის საერთაშორისო და ქართული გამოცდილება 126

დალი ხოხობაშვილი - ამერიკის შეერთებული შტატების საპენსიო სისტემა 128

ვალერი მოსიაშვილი, მედეა ჭელიძე - ტურიზმის სავარაუდო ნეგატიური გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე 132

ნანა პარინოსი - ქალის როლი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 145

დალი სეხნიაშვილი - გლობალური ცვლილებები საკრედიტო ბაზარზე - უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი 166

თამარ ცერცვაძე - თანამედროვე ტენდენციები უმაღლეს განათლების ინტერნაციონალიზაციაში 176

ანდრეი სტეფანოვი - მობილური ქსელების წყალქვეშა აკუსტიკური რხევების ანალიზი 186

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025 197

Contents

Lia Otiashvili – Actual Aspects of Higher Education Financing Policies 17

Nona Otkhozoria, Tamar Menabde - Information and Communication Technologies in Engineering 24

Eteri Mamatsashvili - System Risks and Approaches regarding International Regulation of Financial Markets 31

Nino Grigolaia, Neli Sesadze - ABC as the cost accounting system 45

Ivane Epitashvili, Davit Chakhvashvili - Ultra-Premium Products and its place in modern Information Technology Market 54

Nino Menabde - Research of some economic and financial indicators of business subjects 59

Tsitsino Bukia – Economics issues in the newspaper – „The Georgia“ (1918-1921) 68

Bekar Kilasonia - Economic growth theories 76

Vladimer Togonidze – The role of the state in forming the country's innovation ecosystem 87

Nino Maziashvili – PR's peculiarity, its role in business and public activity 98

Nazi Chikaidze - Strategic Trends of Policy of Medium and Small-Scale Entrepreneurship 107

Маквала Схиртладзе - Проблемы финансирования университетской научки в условиях трансформированной экономики 121

Natia Akhalkatsi - International and Georgian experience of fiscal decentralization 126

Dali Khokhobashvili - There are public and occupational pensions in the USA 128

Valeri Mosiashvili, Medea Chelidze - The alleged negative impact of tourism on the country's financial stability 132

Nana Parinos - The role of women in the United States and the armed forces of Georgia 145

Dali Sekhniashvili - Global Changes on the Credit Market – The Negative Interest Rate 166

Andrej Stefanov - Distortion Analysis of Underwater Acoustic Mobile Networks 186

Georgian Tourism Development Strategy 2025 170

უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის აქტუალური ასპექტები

Actual Aspects of Higher Education Financing Policies

ლია ოტიაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Lia Otiashvili – Doctoral student,
Georgian Technical University

რეზიუმე: უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისია მიღწეული, რომ იქნეს უნივერსიტეტის ყველა ფინანსური რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტურად და ამავდროულად ეფექტიანად. უნივერსიტეტის წარმატებას განაპირობებს სწორი ფინანსური მართვა და საშუალებას აძლევს მას უკეთესად განახორციელოს საგანმანათლებლო ფუნქცია. ფინანსების ეფექტიან მართვაში იგულისხმება საუნივერსიტეტო მიზნების მისაღწევად რესურსების ოპტიმალური გამოყენება. უნივერსიტეტის ფინანსური მართვა გულისხმობს არა მარტო სასურველი შედეგის მიღწევას, არამედ მათ მიღწევას რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.

Abstract: To achieve educational mission of the university, all of the financial resources of the university should be applied effectively and at the same time efficiently. The success of the University is due to the proper financial management which enables better performance of educational purposes. Effective management of finances implies the optimal use of resources for achieving university goals. The financial management of the University implies not only the achievement of the desired result, but also the accomplishment with the optimal use of resources.

ძირითადი ტექსტი: მეცნიერები, როგორც წესი უმაღლესი განათლების ეროვნულ სისტემებს განიხილავენ, როგორც სახელმწიფოსა და საბაზრო მოთხოვნებს შორის კონტროლის თავისებურებებს.

აღსანიშნავია ავსტრალიერი მეცნიერების აზრი, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებებზე, რომ სახელმწიფო პოლიტიკა აქტიურად უნდა იყოს მიმართული უმაღლესი

საგანმანათლებლო სისტემების განვითარებისთვის ხელისშემწყობი გარემო-პირობების შექმნაზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი არის ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული არის ფინანსური რესურსების მოზიდვაზე. ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობისა და მათი საინვესტიციო გარემოს განმტკიცება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვრება ფინანსური მარაგის მთლიანი მოცულობა, მათი შემოსავლის წყარო და ხარჯთაღრიცხვა, რეგულირების მექანიზმები და აგრეთვე ფინანსური წახალისების პროცესებიც. გასათვალისწინებელი გარემოება გახლავთ, ბიუჯეტის დაგეგმვის და ხარჯვის დროს თუ გამოვიყენებთ საერთაშორისო და შიდა გამოცდილებებს.

ზოგადად განათლება ერთ კონკრეტულ ინდივიდს არ აძლევს სარგებელს. მაღალკვალიფიციურ და მაღალ დონეზე მომზადებულ სამუშაო ძალას შეაქვს უდიდესი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებში. განათლების დაბალი დონე ასოცირდება ქვეყნის სიღარიბესთან. დაბალი ფინანსური მაჩვენებლების მქონე ოჯახებს არ აქვთ საშუალება შვილებს მისცენ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც განაპირობებს საზოგადოების ფენებად დაყოფას. სახელმწიფომ სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უნდა გაიღოს სუბსიდიები და განახორციელოს უსასყიდლო სწავლება.

2017-2018 სასწავლო წლისათვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიანი

ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე[2].

განათლება უნდა იყოს ის სფერო, რომელსაც დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა შრომის ბაზრის მდგომარეობაზე.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება ძირითადად უმაღლესი განათლების დაფინანსება, აგრეთვე სტუდენტების მისაღები კონტიგენტის რაოდენობასაც განსაზღვრავს სახელმწიფო, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებული სისტემა არ ითვალისწინებს კურსდამთავრებულებზე საბაზრო მოთხოვნას და არც მის მოსალოდნელ შედეგებზე არის ვინმე პასუხისმგებელი. არსებობს მთავრობის მიერ რიგი სპეციალობების მხარდაჭერა, მაგრამ ამ რიგი სპეციალობების მქონე კურსდამთავრებულები არ არიან შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი კადრი, ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს სახელმწიფო დაკვეთების სისტემით საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა და კადრების მომზადება. კარგი იქნებოდა სახელმწიფო აფინანსებდეს ისეთ სპეციალობებს, რომელიც იქნება შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი პროფესია, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას აღმოვაჩენთ, რომ არ არსებობს ფაქტიურად ისეთი დარგი რომელიც იქნება შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი. მიმაჩნია, რომ უმაღლესი განათლება დაემსგავსა ერთგვარ ,,მოდას“ და გახდა თითქოსდა ყველასათვის აუცილებელი და საჭირო, რომელმაც განაპირობა სწავლის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი და შრომის ბაზრის გაჯერება დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრით.

მაგალითისთვის შესაძლებელი არის გამოვიყენოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები (იხ. სქემა N1 და N2).

---

2 წყარო საქ. სტატი.

თუ ჩვენ ზემოთ მოყვანილ სქემებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ ძირითადად 2013-2014 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლი წლის ჩათვლით, იზრდება სტდენტთა მიღების დინამიკა, საიდანაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს ხარჯზე მზადდება მომავალში უმუშევარი კადრი.

სქემა N1[3]



სახელმწიფოს დაფინანსებით მომზადებული სპეციალისტების უმუშევრობა სახელმწიფო ხარჯების გაფლანგვის ტოლფასი არის და გაწეული დანახარჯების მიზანიც გაურკვეველი.

სახელმძღვანელოს - სკოლის დაფინანსება: პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების ავტორებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო შედარების მიზნით საჭიროა ხარჯების მონაცემების კონვერტირება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით და მათი გამოსახვა ამერიკულ დოლარებში. აღნიშნული პროცედურა ქვეყნის სამომხმარებლო კალათის ფასის გათვალისწინებით, ათანაბრებს სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობით უნარს. რასაკვირველია, ასეთი მეთოდით კორექტირებული, ერთ მოსწავლეზე გაწეული ხარჯები გვიჩვენებს,

3 წყარო საქ.სტატი

საშუალოდ, რამდენს გამოყოფს ქვეყანა მოსწავლეზე ან სტუდენტზე და იძლევა სხვა ქვეყნებთან შედარების საშუალებას.

სქემა N2[4].



როგორც ნებისმიერ საფინანსო დაწესებულებებში ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სტრუქტურას გააჩნია საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების კრიტერიუმები, ვინაიდან უმაღლესი განათლების მისაღებად გადახდილი ფინანსური რესურსები წარმოადგენს განათლებაში დაბანდებულ ინვესტიციებს და გააჩნია უკუგებადობის პერიოდი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ შიდა კონტროლს, რომელიც წარმოადგენს მენეჯერული და ფინანსური კონტროლების ერთობლიობას, რომლებიც უნდა მოიცავდეს დაწესებულების სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, ასევე შიდა აუდიტს, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების

4 წყარო საქ. სტატი

მიღწევის ხელშეწყობა მისი საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად და ეფექტურად წარმართვის საშუალებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სისტემის შიდა კონტროლი არის დინამიური, ინტეგრირებული პროცესი, რომელშიც ხელმძღვანელობა და პერსონალი ჩართული უნდა იყოს იმისათვის, რომ მოხდეს რისკების მართვა და დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

ნეო-ლიბერალიზმის გადმონაშთად შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფო სუბსიდიების შემცირება უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში და განათლების როლი ეკონომიკაში.

უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემები მინდა ავღნიშნო, რომ არ არის გლობალური და შესაძლებელი არის მისი მოგვარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. სართანია, მ. თოქმაზიშვილი, შ. მაღლაკელიძე - განათლების ეკონომიკური თეორია, 2004 წ.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ინჟინერიაში

Information and Communication Technologies in Engineering

ნონა ოთხოზორია – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თამარ მენაბდე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Nona Otkhozoria, Doctor of Technical Sciences, Professor
Georgian Technical University
Tamar Menabde, Doctor of Technical Sciences, Assoc. Professor
Georgian Technical University

თეზისები: თანამედროვე განათლების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც კომპლექსურ თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნია შესაბამისი პრაქტიკული უნარები. ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების სპეციალისტებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გააცნობიერონ სისტემებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები. სისტემების და პროცესების კომპიუტერული მოდელირების ამოცანა თანამედროვე განათლების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მომავალი სპეციალისტების მომზადების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნიათ პრობლემები, რომელიც უპირველესად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამიტომაც უკანასკნელ წლებში სასწავლო პროცესში ფართოდ ინერგება ვირტუალური ლაბორატორიები. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ექსპერიმენტები რეალური ლაბორატორიის გარეშე. ეს ინოვაცია უზრუნველყოფს ასობით მზა ექსპერიმენტული მასალის ერთდროულად არსებობის საშუალებას. ლაბორატორიული ექსპერიმენტი ეფუძნება კომპიუტერული ანიმაციებისა და სიმულაციების გამოყენებას, ასევე ეფექტურ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს უქმნის სტუდენტებს. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია იყენებს ელექტრონული სწავლების

ფორმას და უზრუნველყოფს სამეცნიერო სფეროში მაღალკვალიფიციური, წარმატებული კადრის მომზადებას.

სიმულაციის ტიპის კომპიუტერული პროგრამების სასწავლო პროცესში გამოყენებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები:

უპირველესად შესაძლებელია სწავლების ტრადიციული ფორმის ნაცვლად ლექციებისა და პრაქტიკული სამუშაოების ერთდროულად ჩატარება. ამ შემთხვევაში ხდება დროითი ბარიერის აღმოფხვრა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობას შორის, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას და ხარისხს.

შესაძლებელია მოვლენის შესწავლა რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე; შესაძლებელია მოვლენის სიმულაცია/გამეორება შეუზღუდავად; შესაძლებელია პარამეტრების ცვლილება, ამასთან ერთად შესაძლებელია პარამეტრის ცვლილება ისეთ დიაპაზონში, რომელიც რეალურად დაუშვებელია ან საერთოდ შეუძლებელია (მაგ. სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარის განვითარება ფიზიკური მოვლენის სიმულაციის დროს).

რეალური მოვლენის ან ლაბორატორიული ცდის ჩატარებისას მონაცემების მიღება მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს და საკმაოდ შრომატევადია. კომპიუტერული სიმულაციების გამოყენების დროს კი ეს პროცესი საკმაოდ მარტივია. ლაბორატორიული ცდები და რეალურ მოვლენებზე დაკვირვება ზოგჯერ გარკვეულ რისკს უკავშირდება, მაგალითად: ქიმიური ცდების ჩატარება სხვადასხვა მჟავის გამოყენებით, ფიზიკური ცდების ჩატარება ელექტრული წრედების გამოყენებით. კომპიუტერული სიმულაციების დროს ეს პროცესი აბსოლუტურად უსაფრთხოა. ვირტუალური ლაბორატორიების ეფექტური გამოყენება არა მხოლოდ განათლების ხარისხის ამაღლების საშუალებას იძლევა, არამედ შესაძლებელია ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა.

ვირტუალური სისტემის შესაქმნელად საუკეთესო გარემოა LabVIEW. C, PASCAL და BASIC დაპროგრამების ენების მსგავსად LabVIEW წარმოადგენს პროგრამულ პაკეტს გამოყენებითი პროგრამების შესაქმნელად. ამ ენებისგან განსხვავებით LabVIEW იყენებს გრაფიკულ დაპროგრამების გარემოს G (Graphics), რომელიც პროგრამას ქმნის სტრუქტურული სქემების გამოყენებით. LabVIEW-ს გააჩნია ფუნქციების და ინსტრუმენტული საშუალებების ბიბლიოთეკები მონაცემთა შეგროვების და მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად.

ჩვენი მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ LabVIEW-ს უპირატესობები და მისი მნიშვნელობა სასწავლო და კვლევით პროცესში გამოყენებისას ერთ-ერთი ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორიის მაგალითზე.

Theses: In the era of digital technologies it is impossible to prepare high-qualified specialists in the field of engineering without the use of information-communication technologies. For the automation and management systems specialists are critical to investigating physical processes in designing systems and accuracy of measuring instruments in the system. Modern software allows you to significantly improve the efficiency of the developer on the project. the report discusses the technology of virtual devices, which completely changed the approaches to measurement and automation systems. The simulation model is used to measure a precision class of measuring instruments and to determine characteristics and performance characteristics.

საკვანძო სიტყვები: ვირტუალური ლაბორატორია, გრაფიკული დაპროგრამება, LabVIEW
Key Words: Virtual Lab, Graphical Programming, LabVIEW

შესავალი: თანამედროვე განათლების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც

კომპლექსურ თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნია შესაბამისი პრაქტიკული უნარები.

სისტემების და პროცესების კომპიუტერული მოდელირების ამოცანა თანამედროვე განათლების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მომავალი სპეციალისტების მომზადების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნიათ პრობლემები, რომელიც უპირველესად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამიტომაც უკანასკნელ წლებში სასწავლო პროცესში ფართოდ ინერგება ვირტუალური ლაბორატორიები.

ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ექსპერიმენტები რეალური ლაბორატორიის გარეშე. ეს ინოვაცია უზრუნველყოფს ასობით მზა ექსპერიმენტული მასალის ერთდროულად არსებობის საშუალებას. ლაბორატორიული ექსპერიმენტი ეფუძნება კომპიუტერული ანიმაციებისა და სიმულაციების გამოყენებას, ასევე ეფექტურ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს უქმნის სტუდენტებს. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია იყენებს ელექტრონული სწავლების ფორმას და უზრუნველყოფს სამეცნიერო სფეროში მაღალკვალიფიციური, წარმატებული კადრის მომზადებას.

ვირტუალური ლაბორატორიები: იმულაციის ტიპის კომპიუტერული პროგრამების სასწავლო პროცესში გამოყენებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები:

უპირველესად შესაძლებელია სწავლების ტრადიციული ფორმის ნაცვლად ლექციებისა და პრაქტიკული სამუშაოების ერთდროულად ჩატარება. ამ შემთხვევაში ხდება დროითი ბარიერის აღმოფხვრა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობას შორის, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას და ხარისხს.

შესაძლებელია მოვლენის შესწავლა რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე;

შესაძლებელია მოვლენის სიმულაცია/გამეორება შეუზღუდავად;

შესაძლებელია პარამეტრების ცვლილება, ამასთან ერთად შესაძლებელია პარამეტრის ცვლილება ისეთ დიაპაზონში, რომელიც რეალურად დაუშვებელია ან საერთოდ შეუძლებელია (მაგ. სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარის განვითარება ფიზიკური მოვლენის სიმულაციის დროს) [1].

რეალური მოვლენის ან ლაბორატორიული ცდის ჩატარებისას მონაცემების მიღება მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს და საკმაოდ შრომატევადია. კომპიუტერული სიმულაციების გამოყენების დროს კი ეს პროცესი საკმაოდ მარტივია.

ლაბორატორიული ცდები და რეალურ მოვლენებზე დაკვირვება ზოგჯერ გარკვეულ რისკს უკავშირდება, მაგალითად: ქიმიური ცდების ჩატარება სხვადასხვა მჟავის გამოყენებით, ფიზიკური ცდების ჩატარება ელექტრული წრედების გამოყენებით. კომპიუტერული სიმულაციების დროს ეს პროცესი აბსოლუტურად უსაფრთხოა.

ვირტუალური სისტემის შესაქმნელად საუკეთესო გარემოა LabVIEW. ტრადიციული დაპროგრამების ენებისგან განსხვავებით LabVIEW იყენებს გრაფიკულ დაპროგრამების გარემოს G (Graphics), რომელიც პროგრამას ქმნის სტრუქტურული სქემების გამოყენებით. LabVIEW-ს გააჩნია ფუნქციების და ინსტრუმენტული საშუალებების ბიბლიოთეკები მონაცემთა შეგროვების და მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად. მის გარემოში შესაძლებელია მომზადდეს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული სამუშაოები თეორიული ცოდნის გასამტკიცებლად და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. LabVIEW შესაძლებელია გამოვიყენოთ მონაცემთა შეგროვებისათვის და სიგნალების დასამუშავებლად, საკონტროლო ინსტრუმენტების შესაქმნელად, ტესტირებისა და ვალიდაციის სისტემების ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად, სამრეწველო სისტემების მართვაში, ჩაშენებული სისტემების

პროექტირებისათვის, საინჟინრო კონცეფციების სადემონსტრაციოდ და ინოვაციური კვლევების ჩასატარებლად [2].



ნახ. 1 ვირტუალური ელექტრონული ვოლტმეტრი და შესაბამისი გრაფიკული სქემა



ნახ. 2 ვირტუალური აქსელერომეტრი და შესაბამისი გრაფიკული სქემა



ნახ. 3 სიგნალების გენერირება

ნახ. 3-ზე მოცემულია სხვადასხვა ტიპის სიგნალების მიღების უზრუნველყოფის სიმულაცია. მოყვანილი მაგალითები ადასტურებს იმას, რომ Labview-ს გამოყენების ფართო სპექტრი გააჩნია და ის წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ფიზიკური პროცესების გამოსაკვლევად.

LabVIEW-ს გამოყენების რამდენიმე მაგალითი მოცემულია ნახაზებზე. ნახ.1-ზე მოცემულია ელექტრონული ვოლტმეტრის ვირტუალური მოდელი, ხოლო ნახ.2-ზე ნაჩვენებია ვირტუალური ხელსაწყო - სეისმური აქსელერომეტრი. შესაძლებელია სეისმური რყევების სიმულაცია და შესაბამისი გრაფიკული გამოსახულების მიღება ოსცილოგრაფზე, ამასთან ერთად რიცხვითი მონაცემები ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში და შესაძლებელია მათი შემდგომი დამუშავება.

დასკვნა: საინჟინრო დისციპლინებში ინტელექტუალური ინტეგრირებული ლაბორატორიების შექმნა მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, დამუშავებისა და ვიზუალიზაციის სისტემის - LabVIEW-ს ბაზაზე მნიშვნელოვნად ზრდის საგანამანათლებლო პროცესის ეფექტურობას. ამ ტიპის ლაბორატორიებს გააჩნიათ აპარატურულ-პროგრამული, მეთოდური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. ვირტუალური ლაბორატორიების ეფექტური გამოყენება არა მხოლოდ განათლების ხარისხის ამაღლების საშუალებას იძლევა, არამედ შესაძლებელია ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

[1]. A Virtual Engineering/Science Laboratory (http://www.jhu.edu/~virtlab/virtlab.html). გადამოწმებულია 10.07.2018

[2]. http://www.ni.com/ გადამოწმებულია 10.07.2018

სისტემური რისკები და მიდგომები ფინანსური ბაზრების საერთაშორისო რეგულირების მიმართ

System Risks and Approaches regarding International Regulation of Financial Markets

ეთერ მამაცაშვილი – დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Eteri Mamatsashvili, PhD student
Georgian Technical University

თ ე ზ ი ს ე ბ ი: 1. გლობალიცაზიის პროცესები ხელს უწყობდა რისკების ახალი სახეობის გამოჩენას, რომლებსაც ორგანიზაცია ვერ უმკლავდება სახელმწიფოს თანამოქმედების გარეშე.

2. სისტემური რისკების კვლევისათვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ წარმოებული ფინანსური ინტრუმენტების ბაზარს.

3. მიუხედავად იმისა, რომ საბირჟო დერივატივები ვაჭრობენ გაცილებით დიდი მოცულობით,ვიდრე არასაბირჟო, არასაბირჟო უფრო დიდი რისკის ქვეეშ არის ვიდრე საბირჟო.

4. რადგან საკრედიტო დაცვის გამყიდველებს არ ჰქონდათ წარდგენილი არანაირი მოთხოვნები, უმსხვილესი ამერიკული ფინანსური ორგანიზაციების კრახმა გამოიწვია გაბანკროტების ტალღა მთელ მსოფლიოში. ასე რომ, სისტემურმა რისკმა რეალიზება მოახდინა მსოფლიოში ფინანსური კრიზისის სახით 2008 2009 წლებში.

5. მიუხედავად სერიოზული მოქმედებებისა სახელმწიფოს მხრიდან, კრიზისის შედეგის დასარეგულირებლად, როგორც არასოდეს ისე მწვავედ დგას გლობალური სისტემური რისკების პროგნოზირება და დაქვეითება.მსოფლიო ფინანსური სისტემის პრობლემები ეწყობა გლობალურ სისტემურ რისკებში.

6. რეგულირების მოთხოვნები უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ აშშ-ზე და ევროკავშირზე არამედ ყველა სხვა ქვეყანაზე, რომელიც

მონაწილეობას იღებს ფინანსური ინსტრუმენტებით საერთაშორისო ვაჭრობაში.

7. სისტემური რისკების შესამცირებლად უმთავრესი ნაბიჯი შეიძლება გახდეს, უმკაცრესი მოთხოვნების შეყვანა საგარანტიო უზრუნველყოფისთვის საპროცენტო და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარიგებებში, რაც მოგვცემს საშუალებას გადაწყვიტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონცენტრაციის ვალდებულების პრობლემა,საკრედიტო რისკების პრობლემას, სარისკო ინსტრუმენტების სახეობებით ვაჭრობის პრობლემას.

Theses: 1. Globalization processes contributed to the appearance of new types of risks, which are not solved by the organization without state collaboration.

2. In order to research system risk, we need to pay attention to the market of derivative financial instruments.

3. Although the stock derivatives trade in much greater extent than over the counter (OTC), OTC derivatives are under bigger risk than stock derivatives.

4. Because credit-protection sellers did not have any requirements, the collapse of the largest American financial institutions caused the bankrupting all over the world. Therefore, the system risk realized in the form of financial crisis in the world in 2008 – 2009 yy.

5. Despite the serious actions of the state to regulate the outcome of the crisis, it is never as predicting and reducing global system risks. As never before, predicting and decreasing of the global systemic risk is severe. Problems of the world financial system are in global systemic risks.

6. Regulation requirements should be extended not only to the USA and the European Union but to all other country, which participates in international trade with financial instruments.

7. In order to reduce systemic risks, the strictest requirements can become the most important step for guarantee provision in deals of interest and currency derivative financial instruments, which will allow us to solve the problem of liability of concentrated derivative financial instruments, problem of credit risks, and problem of trade with risky instruments.

საკვანძო სიტყვები: სისტემური რისკები, ფინანსური ინსტრუმენტები, დერივატივები, ფინანსური კრიზისი, გლობალიზაცია, რეგულირების მოთხოვნები, საკრედიტო რისკები;
Key Words: Systemic risks, financial instruments, derivatives, financial crisis, globalization, regulation requirements, credit risks;

ჯერ კიდევ 1921 წელს ფრანკ ნაიტმა (მონეტარიზმის ჩიკაგოს სკოლა) XVIII-XIX საუკუნეების თვალსაჩინო ეკონომისტების მოსაზრება-შეხედულებების შეჯერება-განვითარების შედეგად დაგვანახა, რომ განუსაზღვრელობა და აქედან გამომდინარე რისკი - მეწარმისათვის ბიზნეს-გეგმის განუყოფელი მახასიათებელია. ამ დროიდან რისკ-მენეჯმენტმა, უპირატესად, გზა საკრედიტო რისკის ანალიზიდან საბაზრო რისკის ანალიზამდე, რისკის სტანდარტული გადახრებისა და დისპერსიის ჩვეულებრივი მაჩვენებლით შეფასებიდან - "VaR"-ის (Value at Risk – საბაზრო რისკების გაზომვისა და კონტროლის მეთოდოლოგია) სახის რთული სტატისტიკური მოდელებამდე გაიარა.

რისკი - არის არასასურველი მოვლენების, სასიშროებების, დანაკარგებისაგან ან ზარალისაგან დაუცველობის რეალიზაციის ალბათობა. ფინანსური სფეროსადმი მიმართებაში - რისკი იმ შესაძლებლობების მახასიათებელია, რომ ინვესტიციის ფაქტიური შემოსავლიანობა შეიძლება მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდეს.რისკის მიზეზია - განუსაზღვრელობა, სამომავლო შედეგების მრავალ ვარიანტულობა, ხოლო მისი თვით მომავალი კი - მთლიანობაში თავისი ბუნებით განუსაზრვრელია.

რისკი იმდენად უფრო ძლიერია, რამდენად მეტია გარკვეული გარემოების დადგომისას შესაძლო დანაკარგების სიდიდე და თან მათი დადგომის ალბათობაც მაღალია. რამდენად მეტია განუსაზ\ღვრელობოს მიზეზების შესახებ ინფორმაცია, იმდენად უფრო ეფექტიანია მისი მართვა. აქედან გამომდინარე, რისკი - გამოცდილების ფუნქციაა.

ბიზნეს-გარემოს ცვლილებასთან ერთად რისკებიც იცვლება. გარდაქმნის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: გლობალიზაცია, ინფორმაციისა და კაპიტალის მოძრაობის გზაზე ბარიერების მოხსნა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ფინანსური ინსტრუმენტები (დერივატები).

სწორედ ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს ცალკეული კომპანიების დანაკარგების მასშტაბების ფინანსური კრიზისის განვითარებისა და გავრცობის სიჩქარის ზრდა. აღნიშნულთან მიმართებაში შეიძლება აღინიშნოს - უძველესი ინგლისური ბანკი „Barings“-ისა (რამდენიმე თვის განმავლობაში 1,10 მლრდ დოლარის ზარალი 1994-1995 წწ.) და ამერიკული ჰეჯური ფონდის „Long-Term Capital Management (LTCM)“-ის (აქტივების ღირებულების 47% -ით, ანუ 1998 წლის აგვისტოში ერთი თვის განმავლობაში- 2,1 მლრდ დოლარის ოდენობის ზარალი) გაკოტრებოს მაგალითები.

ეფექტიან ბაზარზე „მოგება-რისკის“ კავშირებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ რისკი - ყველაზე ხშირად ნეგატიურად აღიქმება. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ კონკურენტულ, ეფექტიან ბაზარზე მოგება - რისკის გარეშე არ არსებობს, ხოლო უფრო მეტი მოგების ფასი - მაღალი რისკის გაწევის საწინდარია.

თითოეული ინვესტორის - ადამიანისათვის ან ფირმისათვის - შემოსავლიანობისა და რისკის თანაფარდობისადმი უპირატესობის მინიჭების ინდივიდუალური შკალაა დამახასიათებელი, რომლის

თავისებურება რისკის მიუღებლობის ხარისხზე არის დამოკიდებული.

რისკის მართვის მიზანი - დღეს საწარმოს მართვის სტრატეგიული მიზნის - ფირმის საბაზრო ღირებულების (საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულების) მაქსიმიზაციის - შემადგენელი ნაწილია, რაც ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ღირებულების ზრდაში გამოიხატება.

როგორც ცნობილია, აქციის საბაზრო ღირებულება მოთხოვნა-მიწოდების თანაგფარდობით განისაზღვრება და იგი დაგეგმვის არჩეულ ჰორიზონტზე მისი განუსაზღვრელობის (აქტივის მისი გაყიდვამდე ფლობის ვადის) გათვალისწინებით, ინვესტორის მოსალოდნელი შემოსავლების სამომავლო ნაკადს გამოხატავს.

ბიზნესის მიზნების ასეთი თანამედროვე განხილვა, მისი მთავარი ინვესტორების - აქციონერების ინტერესების პრიორიტეტს ასახავს და ის ფაქტი, რომ აქტივების ფლობის პერიოდში მიმდინარე შემოსავლიანობასთან ერტად (დივიდენდები - აქციებზე, პროცენტები - ობლიგაციებზე, საარენდო გადასახადი - უძრავ ქონებაზე) მისი მეორე ნაწილის - კაპიტალის ნაზარდის - აქტივების შეზენისა და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობას წარმოადგენს, რომლის სიდიდემ შეიძლება ინვესტიციის საერთო შემოსავლიანობის ძირითადი ნაწილი შეადგინოს. გარდა ამისა, კონკურენების არაკეთილსინდისიერი შთანთქვისაგან დაცვას ემსახურება. ფირმის მიზნებიდან გამომდინარე - რისკის მართვის მიზანი, აქციონერებისათვის მისაღებ დონეზე მდგრადი მოგებიანობის უზრუნველყოფისათვის რისკის რისკის სხვადასხვა სახეობების მისაღებ დონეზე შეზღუდვაში მდგომარეობს.

საფინანსო ფირმებისათვის - ეკონომიკური სისტემის უსაფრთხოებისათვის მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამ0 -

რისკის დასაშვები დონე, ასევე მარეგულირებელი ორგანოების (ფინანსებისა და კაპიტალის ბაზრის კომისია) მოთხოვნებით არის შეზღუდული.

ფინანსური რისკების შეფასების მაჩვენებლებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური რისკების - აქტივების ღირებულებისა და მათი შემოსავლიანობის განუსაზღვრელობის ხარისხის ტრადიციულ საზომს - დისპერსიის - „სიგმა^2 „, სტანდაერტული გადახრის - „სიგმა“ და ვარიაციის კოეფიციენტის - $K_{ვარ.}$ მაჩვენებლები გამოიყენება.

ვარიაციის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც: $K_{ვარ}$ = სიგმა / X.

სამივე კოეფიციენტს ერთნაირ შეფასებამდე მივყავართ, მაგრამ ვარიაციის კოეფიციენტი უფრო მისაღებია ვარიანტების შედარებისას, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც შემოსავლიანობის, ასევე რისკის უფრო მაღალი დონე გააჩნია, ვინაიდან იგი შემოსავლიანობის ერთეულზე ან ღირებულებაზე განუსაზღვრელობის ხარისხის მახასიათებელია.

მოცემული მახასიათებლების ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ მათი გაანგარიშებისას სტატისტიკური მონაცემების ყველა დაკვირვებებს ერთნაირი მნიშვნელობა (წონა) ენიჭება.

სასესხო დავალიანების გაანგარიშების ვარიანტები: კრედიტი - არის ფულადი სახსრები, ან წარმოშობითი ნიშნთვისებებით განსაზღვრული სხვა ნივთები, რომლებიც დაკრედიტების პროცესში ბანკის (კრედიტორის) მიერ ხელშეკრულებით (საკრედიტო, სავაჭრო ან კომერციული) შთანხმებული სიდიდითა და დაკრედიტების პრინციპების (ვადიანობა, ფასიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფადობა, დაბრუნებადობა) გათვალისწინებით მეორე მხარეს (მსესხებელი) „მიეწოდება“ (გადაეცემა ან გადასაცემადაა გათვალისწინებული).

კრედიტი შეიძლება კლიენტს სხვადასხვა ფორმით მიეწოდოს და საერთო სახით კრედიტების კლასიფიცირებაშემდეგი ნიშანთვისებების მიხედვით განხორციელდეს[5]:

- სიდიდის მიხედვით: მცირეები; საშუალოები; მსხვილები.
- დაკრედიტების ვადების მიხედვით: მოთხოვნამდე; მოკლევადიანები (1 წლამდე ვადით); საშუალოვადიანები (1 – 3 წლის ვადით); გრძელვადიანები (3 წელზე მეტი პერიოდით).
- უზრუნველყოფის მიხედვით: არაუზრუნველყოფილები (საბლანკოები); გირავნობიანები; გარანტირებულები; დაზღვეულები.
- სასესხო ანგარიშების სახეობის მიხედვით: მარტივი სასესხო ანგარიშები (ჩვეულებრივები); სპეციალურები; კონტოკორენტულები; ოვერდრაფტი.
- მსესხებლების ძირითადი ჯგუფების მიხედვით: ფიზიკური პირები; იურიდიული პირები; დარგობრივი მიმართულობა; მსესხებელი საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.
- დაფარვის მეთოდების მიხედვით: განვადებით (ნაწილებად, წილებად); ერთდროული დაფარვით (გარკვეულ თარიღზე).
- კრედიტები თამასუქის მიხედვით: სააღრიცხვო; სესხები თამასუქების გირაოს ქვეშ; სესხები ბანკის თამასუქით.
- კრედიტორების სახეობების მიხედვით: საბანკოები; კომერციულები; სახელმწიფოებრივები (ცენტრალიზებულები); საერთაშორისოები.
- დაკრედიტების მიზნების მიხედვით: სამომხმარეობლოები; სამეწარმეო დანიშნულების; ძირითადი კაპიტალის გაზრდაზე; საბრუნავი კაპიტალის შევსებაზე.
- ვალუტის მიწოდების მიხედვით: ეროვნული; უცხოურები.
- მსესხებლის დაფინასების ხასიათის მიხედვით: დახმარების გაწევის კრედიტები; კრედიტები კომერციულ საფუძველზე.

---

[5] ცაავა გ., და სხვ.,- რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი 2017.

- კრედიტების სახეობების მიხედვით: საბანკო კრედიტი; კომერციული კრედიტი; საკრედიტო ხაზი; კონსორციალური (მსხვილი) კრედიტი: დისკონტირებული სესხი; საბლანკო სესხი; იურიდიული პირის ოვერდრაფტი; დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი; საშუალოვადიანი სესხი; სესხი თანაბარი დაფარვით; მიკროსესხები; სამომხმარებლო სესხები; საბანკო გარანტია; ბანკთაშორისი სესხი; სალომბარდო სესხი.
- მსესხებლების სახეობების მიხედვით: კრედიტები იურიდიულ პირებზე (საქმიანები); კრედიტების ფიზიკურ პირებზე (პერსონალურები).
- საქმიანობის სახეობის ფორმების მიხედვით: ფინანსური; კომერციული; არაკომერციული.
- გამოყენების მიზნების (დაკრედიტების ობიექტების) მიხედვით: სამრეწველო დანიშნულების სესხები; სესხები სასაქონლო მარაგის ქვეშ; სესხები დანახარჯების გადაფარვაზე; სესხები საბრუნავი კაპიტალის შევსებაზე; სესხები საგანგებო საჭიროებებზე; სესხები ძირითადი კაპიტალის გადიდებაზე.
- საკრედიტო გარიგების პირობების ხასიათის მიხედვით: იურიდიული; ეკონომიკური.

კრედიტის ფასიდაკრედიტებისას გამოხატავს ფასიანობის პრინციპს, ხოლო გადახდის ფორმას წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეიძლება იყოს: მყარი (ფიქსირებულები) და ცვალებადები. გამოყოფენ ასევე საერთაშორისო საკრედიტო ბაზრის განაკვეთებსაც. საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია განაკვეთები:

LIBOR - არის დეპოზიტების მიწოდებების განაკვეთი ლონდონის ბანკთაშორისო ბაზარზე (3 თვიან სესხებზე) და იგი საერთაშორისო ფინანსური ბაზრებისათვის საბაზოს წარმოადგენს;

FIBOR - არის საფონდო ბირჟის განაკვეთი ფრანფურკში მაინზე;

PIBOR - არის პარიზის ბანკთაშორისი ბაზრის განაკვეთი და ა. შ.

სესხის ღირებულების დარიცხვა შეიძლება პროცენტის მარტივი განაკვეთის გამოყენებით (მოკლევადიანი სესხებისას და

ვადის ბოლოს ერთჯერადი დაფარვისას), ასევე პროცენტის რთული განაკვეთის გამოყენებითაც (უფრო ხანგრძლივი დაკრედიტებისას) იქნას განხორციელებული.აღნიშნულიდანგამომდინარე:

ა) დასაფარავი თანხის (ნაზარდით) სიდიდის განსაზღვრა პროცენტის მარტივი განაკვეთის გამოყენებითშესაძლებელია ფორმულით[6]:

$$Z = K + V = K + (m \times y \times K / 100) = K (1 + m \times y / 100),$$

სადაც: Z - არის კრედიტის ნაზარდით თანხა;

K - არის მიწოდებული სესხის სიდიდე;

V - პროცენტული ფულის თანხა, რომლებიც m წლის განმავლობაშია

გადახდილი (თუ m < 1, მაშინ დაკრედიტების ვადა დღეებში უნდა გაიყოს

365 ან 366-ზე - წლის დროითი ბაზა);

y(%) - არის პროცენტების წლიური განაკვეთი;

m- არის ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაიხდება პროცენტები.

ბ) თუ საკრედიტო ხელშეკრულებაშიკრედიტის ვადის განმავლობაში პროცენტის განაკვეთის ცვლილება არის გათვალისწინებული, მაშინ დასაფარავი პროცენტული თანხის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

---

[6] www.centralbanking.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2018

$$V = K\,(m_1 y_1 / 100 + m_2 y_2 / 100 + \ldots + m_m y_m / 100) = K\sum_{i=1}^{i=m} m_i y_i / 100,$$

ხოლო კრედიტის თანხა პროცენტებთან ერთად ტოლი იქნება:

$$Z = K\,(1 + \sum_{i=1}^{i=m} \frac{m_i y_i}{100}),$$

სადაც: m_1y_1 ; m_2y_2 ; … m_my_m - არის დროითი ინტეგრალი მისი შესაბამისი პროცენტის

წლიური განაკვეთით.

გ) დასაფარავი თანხის სიდიდის (ნაზარდით) განსაზღვრა პროცენტების რთული განაკვეთის გამოყენებით შესაძლებელია ფორმულით[7]:

$$Z = K\,(1 + \frac{y}{100})^m;$$

$$V = Z - K = K\,((1 + \frac{y}{100})^m - 1),$$

სადაც: m - არის დაკრედიტების ვადა წლებში.

ერთ წელზე მეტი ვადით დაკრედიტებისას რთული წლიური განაკვეთის მიხედვით პროცენტების დარიცხვა პროცენტული ფულის მეტ თანხას იძლევა, ვიდრე მარტივი განაკვეთის გამოყენებისას.

გდახდილი პროცენტების თანხაზე და დაფარვის საერთო თანხაზე ზემოქმედებს კრედიტის დაფარვის სასიათი:

ა) დავუშვათ კრედიტის დაფარვა ტოლი დროით წილებით ხორციელდება. წოლების (I) სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

---

[7] ცაავა გ., და სხვ.,- რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი 2017.

$$I = \frac{K \times \frac{y}{100}}{1 - (1 + \frac{y}{100})^{-m}} .$$

კრედიტის დაფარვის საერთო თნხა ტოლი იქნება:

$$Z = m \times I = \frac{m \times K \times \frac{y}{100}}{1 - (1 + \frac{y}{100})^{-m}} ,$$

ხოლო გადახდილი პროცენტების თანხა ტოლი იქნება:

$$V = Z - K .$$

ბ) ვალის ძირითადი თანხის ტოლო ნაწილებით დაფარვადაზოგვილი პროცენტების დამატებით - ანუიტეტური სესხი. ანუიტეტი - არის ტოლი წილობრივი შესატანები.

დაფარვის ასეთი სახეობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული წილი თავისთავში პროცენტის წილსა და დაფარვის წილს მოიცავს. გადფახდების განხორციელების შესაბამისად პროცენტის წილი მცირდება, ხოლო დაფარვის წილი კი დაზოგილი პროცენტების თანხაზე იზრდება. პრაქტიკაში აღნიშნული იპოთეკური დაკრედიტებისას გამოიყენება.

საპროცენტო განაკვეთების სიდიდე დგინდება ისეთი სიდიდით, რომ კრედიტზე გადასახადმა ბანკის ხარჯები გადაფაროს და საჭირო შემოსავლიანობის მიღება უზრუნველყოს.

საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე ზემოქმედებენ შემდეგი ფაქტორები:

- რეფინანსირების განაკვეთი ქვეყნის ცენტრალური ბანკის;
- საკრედიტო რესურსების ღირებულება;
- საკრედიტო გარიგების ხასიათი;
- მიწოდებადი კრედიტის დაფარვის რისკი;
- კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმა და სხვ.

მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს საბაზოს, ანუ, საერთაშორისო პრაქტიკაში, „prame rate“-ს უწოდებენ და იგი საპროცენტო განაკვეთია პირვეხარისხოვანი მსესხებლებისათვის.

პროცენტები სასესხო დავალიანების ნაშთზე, აღნიშნული დავალიანების დაფარვის თარიღამდე, დაირიცხება და, როგორც წესი, ყოველთვიურად,ან ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში გადაიხდება, მაგრამ არა უფრო იშვიათად ერთხელ კვარტალში. ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მსესხებელი თავისდროულად დაუფარავ დავალიანებაზე გადიდებული განაკვეთის მიხედვით იხდის, რაც საკრედიტო ხელშეკრულებაშია მითითებული.მსესხებლიდან შემოსული ფულადი სახსრები პირველ რიგში პროცენტების გადახდაზე (ვადაგადაცილებულის ჩათვლით) მიიმართება.

კრედიტის უზრუნველყოფა - კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ხერხია. კრედიტის უზრუნველყოფის ფორმებია: პირგასამტეხლო (საურავი, ჯარიმები), გირაო (უძრავი ქონება, მოძრავი ქონება), საბანკო გარანტია, თავდებობა (იურიდიული პირების, ფიზიკური პირების), დაზღვევა, თამასუქები კომერციული ბანკების და სხვები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შეთავაზებულია კრედიტის განმარტება და რომ კრედიტი - არის ფულადი სახსრები ან სხვა ნივთები, რომლებიც დაკრედიტების პროცესში ბანკის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული სიდიდითა და დაკრედიტების პრინციპების გათვალისწინებით მეორე მხარეს (მსესხებელს) მიეწოდება.

2. ჩამოყალიბებულია კრედიტების კლასიფიკაცია მისი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა:

მოცულობის, ვადების, უზრუნველყოფის, საბანკო ანგარიშების, დაფარვის, მსესხებლების ჯგუფების, კრედიტორების, მიზნების, ვალუტების, მსესხებლის დაფინანსების მიხედვით.

3. განხილულია საპროცენტო განაკვეთების სახეობები, პროცენტის მარტივი და რთული განაკვეთების გამოყენებით სასესხო დავალიანების სიდიდის განმსაზღვრელი ფორმულები და დაზუსტებულია კრედიტის უზრუნველყოფის ძირითადი ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. - „საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები“, სახელმძღვანელო. - თბილისი 2009
2. ცაავა გ., და სხვ.,- რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი 2017.
3. ცაავა გ., სიჭინავა ალ., ხანთაძე გ. - კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია), სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი 2016.
4. Range of practices and issues in economic capital frameworks, Bank for International Settlements, 2009.
5. დებულება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნილების შესახებ“. www.nbg.gov.ge
6. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“. www.nbg.gov.ge
7. საქ. კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქცია. www.nbg.gov.ge
8. www.centralbanking.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2018
9. www.imf.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 07.06.2018
10. www.worldbank.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 08.06.2018

ABC როგორც დანახარჯების აღრიცხვის სისტემა
ABC as the cost accounting system

ნინო გრიგოლაია - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
ნელი სესაძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Nino Grigolaia – PhD of Economics, Professor,
Tbilisi Open University
Neli Sesadze - PhD of Economics. Assoc. Professor
Georgian National University

რეზიუმე: ABC პროგრესული კონცეფციაა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს დაძლიოს დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული სისტემების შეზღუდულობა და დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირი პროდუქტსა და მის საწარმოებლად საჭირო დანახარჯებს შორის.

ABC სისტემა არის არაპირდაპირი ხარჯების განაწილების მეთოდი და წარმოადგენს გამოცდილი და ახალი მეთოდების ერთ სისტემაში გაერთიანებას. გამოირჩევა მრავალფუნქციურობით და უნიკალურ მოქნილობით დანერგვის მასშტაბების თვალსაზრისითაც. ABC სისტემა მმართველობითი აღრიცხვის განუყოფელი ნაწილი გახდა, კვლავაც იმყოფებიან შესწავლისა და აპრობაციის სტადიაზე. თუმცა ჩვენთან დანახარჯების კლასიფიკაციასა და ანალიზს ნაკლები ყურადღება ექცევა, მსოფლიოში კი სწრაფად ვითარდება.

Abstract: ABC is a progressive concept that has the ability to overcome the restrictions of traditional systems of cost accounting and determine the causal link between the product and the expenses to produce them. ABC system is the method of distribution of indirect expenditures and represents a combination of experienced and new methods in one system. It is distinguished by multi-functionality and unique flexibility even in terms of scale of introduction too. ABC system became an integral part of management accounting; still staying at the stage of study and approbation, however, the classification and analysis of expenditures pay less attention to our country, but it develops rapidly in the world.

საკვანძო სიტყვები: ABC, დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული სისტემა, არაპირდაპირი ხარჯები, თვითრირებულება;
Key Words: ABC, traditional system of accounting, indirect costs, cost;

შესავალი: ABC პროგრესული კონცეფციაა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს დაძლიოს დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული სისტემების შეზღუდულობა და დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირი პროდუქტსა და მის საწარმოებლად საჭირო დანახარჯებს შორის. გამომდინარე აქედან, ABC, როგორც დანახარჯების აღრიცხვის სისტემა, მოიცავს დანახარჯების ობიექტის განსაზღვრას, დანახარჯების კლასიფიკაციასა და მის ობიექტებზე განაწილების მეთოდს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ABC სისტემა განიხილება, როგორც არაპირდაპირი ხარჯების განაწილების მეთოდი. ამ სისტემის ბევრი ელემენტი ორიგინალური და ახალი არ არის და ადრეც გამოიყენებოდა. მაგრამ ABC ავტორების დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეძლეს გამოცდილი და ახალი მეთოდების ერთ სისტემაში გაერთიანება.

ძირითადი ტექსტი: ABC სისტემა გამოირჩევა იშვიათი მრავალფუნქციურობით. მმართველობითი აღრიცხვის სახელმძღვანელოების ავტორებს მოსწონთ სახვადასხვა დანახარჯის კლასიფიკაციის აუცილებლობის განმარტება აფორიზმით „სხვადასხვა ხარჯები-სხვადასხვა მიზნით“ და უმნიშვნელო ტრანსფორმაციით. შეიძლება ითქვას, „ABC- სხვადასხვა მიზნისათვის“ და არა მხოლოდ დანახარჯების კლასიფიკაციისათვის.

ABC სისტემის გამოყენების ძირითადი მიმართულებებია:

- ობიექტის თვითღირებულების ზუსტი გაანგარიშება და მის საფუძველზე ფასების დადგენა;
- საქმიანობის სახეების, განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, ერთეულების დანახარჯების გეგმის შედგენა და კონტროლი;
- ინფორმაციული ბაზა ბენჩმარკინგისათვისა და ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგისათვის;
- აუტსორსინგის და სხვა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციული ბაზა.

გარდა ფუნქციური უნივერსალურობისა ABC უნიკალურ მოქნილობას დანერგვის მასშტაბების თვალსაზრისითაც ფლობს. ეს სისტემა შეიძლება დაინერგოს ერთ ქვენგაყოფილებაში, განყოფილებაში ან ერთ ბიზნეს-პროცესში (მაგალითად, საქონლის რეალიზაციაში) ან მთლიანად საწარმოში, როგორც მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი ელემენტი. ასე, რომ ABC ინფორმაციული ბაზის შექმნის საკითხი გარდუვალია. ABC სისტემის მეშვეობით შესაძლებელია: საბაზო მონაცემები მივიღოთ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემიდან, რასაც აკეთებენ კიდეც საწარმოები, თვითღირებულების გაანგარიშების, ფასწარმოქმნის და დაგეგმვისათვის (რა თქმა უნდა, საჭიროა აუცილებელი მონაცემების დამატება და შევსება). ცხადია, მონაცემთა სიზუსტის ხარისხი დაბალი იქნება, მაგრამ ამ მიზნებისათვის სრულიად საკმარისია.

ეს გზა ამცირებს ABC სისტემის დანერგვის ხარჯებს, ასევე დადებითად მოქმედებს მთავარ ბუღალტერზე, რადგან ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტსა და მენეჯმენტს შორის კონფლიქტის წარმოქმნის ალბათობას ამცირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო სააგენტოების ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ABC სისტემით დანახარჯების აღრიცხვის დავალება ბუღალტრისთვის არც თუ ისე კარგი ვარიანტია, მაგრამ საწარმოებს ხშირად სხვა ალტერნატივა არ აქვთ, მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე მცირე საწარმოებს ეხება.

სხვა გზაა მონაცემების შესაგროვებლად ბუღალტერიისგან დამოუკიდებელი სისტემის შექმნა ABC-სთვის. ჩვეულებრივ ამას აკეთებენ საწარმოები, რომლებიც ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგისათვის ABC გამოყენებას გეგმავენ.

შევადაროთ ერთმანეთს დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული სისტემა და ABC ძირითადი კომპონენტების მიხედვით: დანახარჯების ობიექტი, დანახარჯების კალსიფიკაცია და დანახარჯების განაწილების მეთდები.

ABC სისტემის და აღრიცხვის ტრადიციული სისტემის შედარება უნდა დავიწყოთ დანახარჯების ობიექტით, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ამოცანის განსაზღვრა: ზუსტად რა გვინდა ვიცოდეთ დანახარჯების შესახებ?

უნდა აღინიშნოს, რომ დანახარჯების ობიექტის განსაზღვრა განსხვავებულია არა დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციულ სისტემასა და ABC შორის, არამედ სამამულო და უცხოურ პრაქტიკაში. უცხოელი ავტორები როგორც ადრე (ხოპრნგრენი, ფოსტერი), ასევე ABC-ის შემდეგ (ატკინსონი და სხვა) განსაზღვრავენ დანახარჯების ობიექტს მაქსიმალურად ფართოდ, პრაქტიკულად, თანაბრად და ძალიან მარტივად. ის რაც აუცილებებლია დანახარჯების გამოთვლისათვის. რისი მიზეზიც მდგომარეობს შემდეგში:

საზღვარგარეთის მმართველობითი აღრიცხვა დასაწყისიდანვე ორიენტირებულია ორი ძირითადი ამოცანის რეალიზაციაზე:

1. მარაგების შეფასება, თვითღირებულების გაანგარიშება და ფინანსური შედეგის განსაზღვრა;

2. მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთება და კონტროლი.

პირველი ამოცანისათვის საჭიროა, განისაზღვროს დანახარების ობიექტი- უპირველეს ყოვლისა, ესაა მარაგების, პროდუქტის, მომსახურების ერთეული, სწორედ მათთვის მუშავდება თვითღირებულების კალკულაციის სხვადასხვა მეთოდი. მეორე ამოცანისათვის შეუძლებელია, განისაზღვროს დანახარჯების ობიექტი ამომწურავად, რადგან მენეჯერებს მრავალფეროვანი გადაწყვეტილებების მიღება უწევთ და თითქმის ყოველთვის ისინი მათთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ დამატებით ინფორმაციას საჭიროებენ.

ABC-ის გამოყენებამდე გასაანალიზებელი ობიექტების დანახარჯების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა. 1980 წლიდან ABC საწარმოს მართვის ახალი კონცეფციის აღმოცენებისთვის იქცა

რეაქციად, რომელიც მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებებით ღირებულებების ჯაჭვს წარმოადგენდა, ანუ დანახარჯების ობიექტების შემადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

დანახარჯების ობიექტი საქმიანობის სახეები და ბიზნეს პროცესები გახდა. რადგან ბიზნეს-პროცესების ბენჩმარკინგისა და რეიჟინერინგისას დანახარჯების შეგროვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს საწარმოს შიგნით ან კონკურენტების ერთგვაროვანი საქმიანობის სახეებისა და ბიზნეს-პროცესების დანახარჯების შედარება, რის საფუძველზე შესაძლებელია დანახარჯების ოპტიმიზაცია. არსებითად გაიზარდა ისეთი დანახარჯების ობიექტის მნიშვნელობა, როგორიცაა მომხმარებელი, ABC-ის საფუძველზე, მისი ანალიზის მეთოდიკა უზრუნველყოფს უფრო ზუსტ შედეგებს.

დანახარჯების აღრიცხვის სისტემის მეორე შემადგენელია- დანახარჯების კლასიფიკაცია. ისინი იყოფა ორ ჯგუფად:

1. თვითღირებულების გაანგარიშებისა და ფინანსური შედეგების განსაზღვრისათვის განკუთვნილი ხარჯები;

2. მმართველობითი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად განკუთვნილი ხარჯები;

დანახარჯების კლასიფიკაციის ორივე სისტემა (ABC და ტრადიციული) იწყება ერთი საწყისის წერტილიდან-სამეურნეო საქმიანობის რესურსები. შემდეგ ისინი ნაწილდება საქმიანობის სფეროებზე. ABC-სა აღრიცხვის ტრადიციულ სისტემას შორის არსებობს უდავო მსგავსება, რადგან საწარმოს ბიზნეს-პროცესებიც საქმიანობის სფეროების მიხედვით ჯგუფდება. თუმცა აღრიცხვის ტრადიციულ სისტემაში თვითღირებულების ფორმირება პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების გამოყოფით ხდება, მაშინ როცა ABC დანახარჯების შემდგომ დეტალიზაციას გვთავაზობს ბიზნეს-პროცესებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით.

მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთების თვალსაზრისით, საქმიანობის სფეროების და ბიზნეს- პროცესების მიხედვით დანახარჯების შეფასება, წარმოადგენს დამოუკიდებელ ფასეულობას, რადგან ისაა ინფორმაციული ბაზა ბენჩმარკინგისა და რეინჟინერინგისათვის, გარდა ამისა, ის ასევე გამოიყენება ბიზნეს-პროცესების დაგეგმვისა და კონტროლისათვის. სავსებით შესაძლებელია, რომ საქმიანობის სახეების მიხედვით, დანახარჯების ანალიზი დაეხმაროს დაბალი და საშუალო დონის მენეჯერებს, მისი და მისი ხელქვეითების სამუშაო დროის განაწილების ოპტიმიზაციაში. ამგვარად, მთლიანობაში ეს მხოლოდ შუალედური ეტაპია, თუმცა მას გააჩნია მრავალგვარი გამოყენება სხვადასხვა მმართველობით სიტუაციაში.

შემდეგ ეტაპზე, საქმიანობის სახეების მიხედვით, არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნება ხდება. ტრადიციული სისტემისაგან განსხვავებით, დანახარჯების ობიექტი უფრო მრავალფეროვანია, ასევე განსხვავებულია თვითღირებულების გაანგარიშების საკითხი მასშტაბების მიხედვით.

მაგალითად, ყველაზე ტიპური შემთხვევაა რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) სრული თვითღირებულების გაანგარიშება და მისი შედარება ტრადიციული მეთოდით გაანგარიშებულ თვითღირებულებასთან. სწორედ ასე დგება საკითხი, თუკი ABC-ის გამოყენების მიზანია პროდუქციის მთელ ასორტიმენტზე დასაბუთებული ფასის დადგენა. თუმცა შეიძლება მოვახდინოთ უფრო გლობალური ანალიზი: მაგალითად, კონკრეტულ მომწოდებელთან და რეალიზაციის არხთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშება.

ხარჯების აღრიცხვის სისტემის მესამე ელემენტია- დანახარჯების ობიექტებზე ხარჯების განაწილების მეთოდი. სწორედ აქ ვლინდება ABC-ის ყველაზე დიდი განსხვავება წინა სისტემებისაგან. რაც პირველ რიგში დაკავშირებულია,

არაპირდაპირი ხარჯების განაწილებასთან. საინტერესოა, რომ წინა მეთოდებიც სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

როგორც წესი, ასეთი სისტემები (თვითღირებულების კლასიფიკაცია) ჯგუფდება შემდეგი სახით:

1. თვითღირებულების კალკულაციის პირდაპირი სისტემა;
2. ხარჯების დარიცხვის ტრადიციული სისტემა;
3. თვითღირებულების კალკულაციის ფუნქციური სისტემა.

თვითღირებულების კალკულაციის პირდაპირი სისტემა ხასიათდება იმით, რომ საერთოდ არ ხდება არაპირდაპირი ხარჯების განაწილება დანახარჯების ობიექტებზე და მის ანაზღაურება ე. წ. ზღვრული შემოსავლით (რეალიზაციიდან შემოსავალს-პირდაპირი დანახარჯები) ხდება.

დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული სისტემა, ან დანახარჯების სრული მიკუთვნების სისტემა, მოიცავს არაპირდაპირი ხარჯების განაწილების მეტ-ნაკლებად რთულ მექნანიზმს, ერთი ან რამდენიმე მაჩვენებლის (განაწილების ბაზის) საფუძველზე და განაწილების ერთ ან რამდენიმე ეტაპს.

მეორე პრინციპული განსხვავება მდგომარეობს შემდეგში, რომ დანახარჯების ობიექტსა და საქმიანობის სახეებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი დგინდება.

პროდუქტის ან მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების ABC-ის მეთოდიკა განკუთვნილია შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად: 1. საქონლის თვითღირებულება სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე. რომელიც განკუთვნილია საქონლის ერთეული თვითღირებულების კალკულაციისა და ანალიზისათვის მისი შემუშავების მომენტიდან წარმოებიდან მოხსნამდე; 2. დანახარჯები ღირებულების მთელ ჯაჭვში. გამოიყენება დანახარჯების ანალიზისათვის არა მარტო საწარმოს შიგნით, არამედ გარეთაც, მათ შორის მომწოდებლების, დილერების და მომხმარებლების დანახარჯების ჩათვლით. ABC ამახვილებს ყურადღებას დანახარჯებისა და შედეგები ეფექტიანობაზე ყველა

მათგანში, ხარჯების მიზნობრივი დონის თვალსაზრისით; 3. ფუნქციურ ანალიზი. მოიცავს საქონლის დიზაინის ანალიზს, მათ. წარმოებაზე დანახარჯების და დამატებითი სამომხმარებლო ფასეულეობების თვალსაზრისით; 4. დიზაინის შემუშავების დანახარჯები. გვეხმარება გავცეთ პასუხი კითხვებს? როგორ მოქმედებს დიზაინი სასიცოცხლო ციკლზე? როგორია საქონლის სამომხმარებლო თვისებების ცვლილებების გავლენა მის თვითღირებულებაზე? 5. საოპერაციო ხარჯების ანალიზი. მოიცავს ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების დანახარჯების გაანგარიშებას.

დასკვნები: ფუნქცების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია ავლენს საწარმოო, რეალიზაციის და საერთო-ადმინისტრაციული არაპირდაპირ ხარჯებს. მისი ძირითადი ამოცანაა, ამა თუ იმ ფუნქციის როლის განსაზღვრა საქონლის შექმნასა და რეალიზაციაში, ასევე ამ ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო რესურსების შეფასება.

მმართველობითი მიზნებისათვის დანახარჯების კალკულაციის მეთოდების სპექტრი მუდმივად ფართოვდება. გასულ წლებში მრავალი ამ მეთოდიდან (ABC, ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზი, საოპერაციო ხარჯების ანალიზი) მმართველობითი აღრიცხვის განუყოფელი ნაწილი გახდა, ისინი კვლავაც იმყოფებიან შესწავლისა და აპრობაციის სტადიაზე. თუმცა ჩვეთან დანახარჯების კლასიფიკაციასა და ანალიზს ნაკლები ყურადღება ექცევა, მსოფლიოში კი სწრაფად ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kaplan R.S., Johnson H.T. Relevance Lost: The Rise and Fall of Management Accounting. — Harvard business school press: Boston, MA, 1987.

2. Каплан Р., Купер Р. Функционально-стоимостной анализ: практическое применение: пер. с англ. — М.: Вильямс, 2008.

3. Купер Р., Каплан Р. Построение систем управления затратами: пер. с англ. / Под ред. И.Н. Баранова. — М., 2005.

4. Norreklit H. The balanced scorecard: What is the score? A rhetorical analysis of the balanced scorecard // Accounting, Organizations and Society. — 2003.

ულტრა-პრემიალური პროდუქცია და მისი ადგილი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე

Ultra-Premium Products and its place in modern Information Technology Market

ივანე ეპიტაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

Ivane Epitashvili - PhD student
Georgian Technical University
Davit Chakhvashvili - PhD of Economics. Professor
Georgian National University

რეზიუმე: მომხმარებელი და მწარმოებელი საბაზრო ურშიერთობების მთავარი მონაწილეები და მამოძრავებლები არიან. ისინი მონაწილეობენ ფასის, მოთხოვნისა და მიწოდების ფორმიმერაში. თანამედროვე ეკონომიკური თეორიაში წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ მომხმარებელი მწარმოებლის შრომის შეფასების მთავარი უკანასკველი ინსტანციაა და თავისი ქმედებით (იყიდოს ან არ იყიდოს საქონელი) განსაზღვრავს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ეკონომიკაში ნებისმიერი მოვლენა ურთიერთდაკავშირებულია. იმისთვის, რომ განვსაზღვროთ რა არის პრემიალური საქონელი და რა ნაკლებად პრმიალური საჭიროა ბოლო დროის პროცესები გავაანალიზოთ. ბაზარზე შექმნილი ვითარების ანალიზისთვის ტექნოლოგიების სფეროში არსებული მდგომარეობა გამოვიყენეთ.

Abstract: In market relations, the main participants are the consumer and producer. They participate in the formation of prices and form a supply and demand. Modern economic theory puts forward the hypothesis that the consumer is the most recent instance, because only he can evaluate the result of the producer's labor, buying or not his goods. In economics, all concepts and events are always interconnected. To define such concepts as necessities and luxuries, it is worthwhile to learn what is demand and elasticity.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი ბაზარი, საბაზრო ეკონომიკა, ფუფუნების საგნები, ფასი, სმარტფონი, ფუნქციონალობა, მომხმარებელი, ინფორმაციული ტექნოლოგიები;

Key Words: Sector market, market economy, luxury goods, price, smartphone, functionality, user, information technologies;

შესავალი: ყველაფერი კომპანია Samsung-მა დაიწყო, როდესაც სმარტფონი Note 8 გამოუშვა, მას LG-იმ მიბაძა V20-ით, კომპანია Apple-მ ყელაფერი ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა და ჩვენს ბაზარზე 3800 ლარად ღირებული iPhone 10 გაჩნდა. საბოლოოდ „სიკეთის კორპორაცია“ Google-მაც ვერ მოითმინა და ახალ, ულტრაპრემიალური ფლაგმანების ტრენდს აყვა. მოდით გავერკვიოთ რას წარმოადგენს ეს ტრენდი და რატომ ღირს ეგ გაჯეტები ასე ძვირი.

ძირითადი ტექსტი: ორიოდე წლის წინ, ჩვენ ამავე კომპანიების ჩვეულებრივ ფლაგმანებს პრემიალურ მოწყობილობებს ვუწოდებდით და მათ მართლაც კონკურენტი არ ყავდათ. როგორც დრომ გვიჩვენა ჩვენ ვცდებოდით. Apple-მ, Samsung-მა და LG-მ ახალი სტრატეგია აირჩიეს, ე. წ. „ორი ფლაგმანის“ სტრატეგია, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის, მეორე კი „ენთუზიასტებისთვის“, უფრო სწორედ კი ვისაც მეტი ფული აქვთ. ექსპერტები მუდმივად აღნიშნავდნენ, რომ ფლაგმანურ სმარტფონებზე ფასი წლების განმავლობაში იზრდება. თუმცა, ულტრა პრემიალური სმატრფონები საერთოდ ახალი მიმართულებაა, თანაც, ფლაგმანებზე ფასი ყოველთვის მაღალი იყო. ასეთი სმარტფონების ღირებულება 600 აშშ დოლარიდან იწყებოდა, დღეს კი მათ მომხმარებელს ახალი ფასი შესთავაზეს - 1000 აშშ დოლარი. მწარმოებელი მაინც განაგრძობს ჩვეულებრივი ფლაგმანების გამოშვებას, ამით მტკიცდება, რომ ბრენდები ამ ორი საქონლით სხვადასხვა მომხმარებელს უმიზნებს. მოკლედ, რომ მოვჭრათ აქ საქმე გვაქვს ფუფუნების საგნებთან. ახლა მოსაზრების გასამყარებელ არგუმენტებს შემოგთავაზებთ.

ფრანგული კომპანია Louis Vuitton-ის ჩანთა, Amazon-ზე 2800 აშშ დოლარი ღირს. მისი ფასი კომპანია Apple-ს iPhone-ზე მეტია. ეს

ფაქტი არავის უკვირს, რადგან ვიცით, რომ Louis Vuitton-ის მოდური აქსესუარები ყველაზე პოპულარულია თავის სფეროში. მაშინ რატომ უკვირს მომხმარებელს ძვირადღირებულ iPhone და არ უკვირთ Louis Vuitton-ის ულტრა-პრემიალური აქსესურარების ფასი? მოცემული ჩანთა მშვენივრად ააჩკარავებს მომხმარებელთა ფსიქოლოგიას. რა არის Louis Vuitton-ის ჩანთა?! ცოტაოდენი ტყავი და ელვა-საკეტები. მასში შეგვიძლია სხვადასხვა ნივთები ჩავაწყოთ, მაგალითად 800 დოლარიანი საფულე, მაგრამ მას 20 დოლარიან ჩანთასთან შედარებით არანაირი ფუნქციონალური უპირატესობა არ აგააჩნია. შეიძლება ტყავი უკეთესი ხარისხისაა ან მოდიდან უფრო გვიან გადავა, მაგრამ ფუნქციონალურობის და პრაქტიკულობის კუთხით Louis Vuitton-ი წარმოუდგენელი შენაძენია. მიუხედავად ამისა მილიონობით ადამიანი სწორედ ამ ჩანთას ყიდულობს.

შესაძლებლობები, ფუნქციონალურობა და გამომუშავება, აი, რას უნდა აფასებდეს პირველ რიგში საღად მოაზროვნე მომხმარებელი. სამივე ობიექტური შეფასების ინსტრუმენტია. თუმცა, ობიექტურ საზომებს არ ჩამოჩება შეფასების ექსტრა სუბიექტური საშუალებები. მაგალითად, სმარტფონების კომპანია OnePlus-ი მიზანმმართულად აყალიბებს ერთგული, მჭიდროდ დაკავშირებული მომხმარებლების ონლაინ-თანამეგობრობას, FairPhone აწარმოებს ე. წ. ეკონოგიურ სმარტფონებს, Nokia-ს ფასნამატი ნოსტალგიურ გრძნობებზე დაშენებული, ამასთან ბევრ ევროპელს უღვივებს ილუზიას, რომ ევროპული ბრენდი ისევ ცოცხალია. როგორც ირკვევა ადამიანები მზად არიან მაღალი ფაის გადაიხადონ ამ ექსტრა პარამეტრებში, ისევე როგორც გაჯეტების შესაძლებლობებში, ფუნქციონალურობაში და გამომუშავებაში. ეს ფაქტი საკვანძო მომენტია, რომ გავიგოთ თუ როგორ ყალიბდება ულტრა პრემიალური სმარტფონების ფასი. რაც უფრო ნაკლებად აინტერესებს მომხმარებელი ძირითადი პარამეტრები, მით უფრო მეტად ფოკუსირდება მწარმოებლის ყურადღება დამატებით პარამეტრებზე. როგორც კი დადგება დრო,

როცა მომხმარებლი აღარ მიაქცევს ძირითად პარამეტრებს ყურადღებას, მწარმოებლის ფოკუსი მთლიანად დამატებით პარამეტრებზე გადავა. Louis Vuitton-ის ჩანთა ამ მოსაზრების მშვენიერი ილუსტრატორია. ამ ჩანთის ფუნქციონალურობა არავის აინტერესებს, ფნუნქციონალურად ყველა ჩანთა ერთნაირია. ამიტომ, ყიდვის პროცესში ადამიანები „გათიშავენ“ ტვინის იმ ნაწილს, რომელის პასუხისმგებელია ფუნქციონალური გადაწყვეტილების მიღებაზე, ხოლო, გადაწყვეტილებას იმპულსური, ემოციონალური ან სოციალური ფაქტორების განთალისწინებით მიიღებენ. ადამიანები, რომლებიც Louis Vuitton-ის ჩანთას ყიდულობენ ამ გადაწყვეტილებას სხვა ჩანთების ფუნქციონალურობასთან ხანგრძლივი შედარებების შემდეგ არ იღებენ. შესაძლებელია ისინი აფასებენ ამ ბრენდის ხანგრძლივ ისტორიას და წარმოების მაღალ კულტურას, ან მოსწონთ Louis Vuitton-ის კომპანიის მესვეურთა ფასეულობები და ლამაზი მაღაზიები, ან სულაც მოსწონთ ის აზრი, რომ მათ შეუძლიათ 2800 დოლარიანი ჩანთა იყიდონ.

ვცადოთ და ყოველივე ზემიდ თქმული სმარტფონებს დავუკავშიროთ. 3-4 წლის წინ თუ ადამიანი იაფფასიან სმარტფონს იყიდიდა იგი შესაძლებელია სმარტფონის მუშაობით მართლაც უკმაყოფილო დარჩენილიყო. მაგრამ, დარგის განვითარების კვალობაზე მდგომარეობა შეიცვალა. დღესდღეობით მობილურ ტელეფონებს მსგავსი ფუნქციონალობა, დიზაინი და რეალური გამომუშავება აქვთ. წლების განმავლობაში არსებულმა კონკურენციამ ისეთი მდგომარეობამდე მიგვიყვანა, რომ ბაზარზე აშკარად ცუდი სმარტფონები ფაქტიურად არ დარჩა. მართალია, ჩემნაირი ენთუზიასტი შეიძლება დაწვრილმანდეს და გარკვეული სხვაობა/ხინჯი იპოვოს, მაგრამ საშუალო სტატისტიკური მომხმარელის მოთხოვნებს პრაქტიკულად ნებისმიერი სმარტფონი დააკმაყოფილებს. ფაქტია, რომ 250-300 დოლარიანი სმარტფონი თავისუფლად შეძლებს ყველა საბაზისო ფუნქციის შესრულებას.

ასეთი კუთხიდან თუ შევხედავთ, მობილური ტელეფონები სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ჩანთებს. რაც უფრო ნაკლებს ფიქრობს მომხმარებელი ფუნქციონალურობაზე მით უფრო მეტად ინტერესდება ექსტრა მახასიათებლებზე (პრესტიჟი, სტატუსი, იმიჯი, რეპუტაცია, გამოხმაურება, ეფექტი და ა.შ.).

დასკვნა: მომავალში ინდუსტრიიაში შემდეგი ტენდენციები განვითარდება: მომხმარებლის ყურადღების გამახვილება არა ფუნქციონალურობაზე, არამედ დამატებით ასპექტებზე მოხდება (ეკოლოგიურობა, მონაცემთა უსაფრთხოება, ფუფუნება / გამორჩეულობა და სხვა). დარგი დაემსგავსება ჩანთების, ტანსაცმლის წარმოების სფეროს, როდესაც თქვენ შეგიძლიათ იყოდოთ 5 დოლარიანი მაისური რომელიც ფუნქციონალურად არ ჩამოუვარდება 500 დოლარიან მაისურს. გადაწყვეტილებას კი თითოეული ინდივიდი „დამოუკედებლად“ მიიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barcza Martin - „Information technology market - first impressions“. techaltar.com გადამოწმებულია 07.07.2018
2. ჯოლია გ., ჩახვაშვილი დ. - ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი. სტუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2013.

ბიზნეს-სუბიექტის ზოგიერთი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების კვლევა

Research of some economic and financial indicators of business subjects

ნინო მენაბდე – დოქტორანტი,
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
Nino Menabde - PhD student
Georgian-American University

თეზისები: საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნეს-სუბიექტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამეურნეო პროცესების მართვასა და რეგულირებაში თანამედროვე მიდგომების გამოყენება. საქართველოში ბიზნეს-გარემო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ამიტომ ხარისხიანი პროგნოზირების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია ბიზნეს-სუბიექტის ფინანსური სტაბილურობისათვის და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

კვლევაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ქართული ბიზნეს-გარემოს რეალობების გათვალისწინება წარმოშობს პროგნოზირების ისეთი მოდელების და ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც სრულყოფილად უპასუხებს ბიზნეს-სუბიექტის წინაშე მდგარ ყველა გამოწვევას მენეჯერულ გადაწყვეტილებათა მიღების კუთხით.

კერძოდ, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ანალიზისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე ბიზნეს ერთეულების ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტის შედგენის საკითხებში არსებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრისათვის რეკომენდაციების მომზადება.

გამოსაკვლევი ობიექტის ეკონომეტრიკული ანალიზის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მრავლობითი რეგრესიის მოდელის

შექმნა, რომელიც ადეკვატურად აღწერს შესასწავლ ობიექტს და გვაძლევს სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზირების საშუალებას. ამ ამოცანის გადაწყვეტისას უმთავრესია მოდელის ზუსტად შერჩევა, რადგანაც შერჩეული მოდელის ხარისხზე არის დამოკიდებული პროგნოზის სიზუსტე.

ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს რესურსები, სტრუქტურა, მომხმარებლები, მომწოდებლები, აქციონერები, კონკურენტები, ტექნოლოგიები, გეოგრაფიული გარემო და უამრავი სხვა.

კვლევისთვის შერჩეულ იქნა პროგნოზირების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ სეზონურობას. განხილულ იქნა დეკომპოზიცია პროგნოზირებაში, სეზონური მონაცემების პროგნოზი რეგრესიის გამოყენებით, ტრენდის შეფასება სხვაობებით, ჰოლტ-ვინტერსის ტრენდ-სეზონური მოდელი და ARIMA მოდელი. ფაქტორებიდან შერჩეულ იქნა: ტურისტების რაოდენობა, მარკეტინგული ხარჯი, ჰაერის საშუალო ტემპერატურა და საცალო ფასების ინდექსი. ნაშრომში შეფასებულია პროგნოზირების სიზუსტე და ადეკვატურობა. პროგნოზირების მეთოდების დამახასიათებელი მაჩვენებლების საფუძველზე შეფასებულია სხვადასხვა პროგნოზირების მეთოდების ეფექტურობა და გამოვლენილია ოპტიმალური მეთოდი საუკეთესო პროგნოზირებისათვის, რომელიც ადეკვატურად და მაღალი სიზუსტით აღწერს პროცესს.

Theses: In order to ensure normal functioning of the business subject in terms of market economy, it is important to use modern approaches for management and regulation of economic processes. The business environment in Georgia is undergoing major chances. That is why it is important to provide the high quality of forecasting to maintain the financial stability and competitiveness of the business subject on the

market. The survey has been developed that the visualization of the Georgian business environment realizes the use of forecasting models and instruments that will respond to all the challenges faced by the business subject bin case of managerial decision – making. the goal of the work is to identify and analyze the problems existing in financial analysis and budgeting of business units, based on modern methods of analysis and forecasting and prepare recommendations for salving it.

One of the main directions of the econometric analysis of the research object is the creation of a multi-regression model that adequately describes the study object and gives us an opportunity to predict the various financial indicators. While solving this problem it is important to select the model, as the quality of the selected model depends on the accuracy of the prediction.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება, ჰოლტ-ვინტერსი, ARIMA
Key Words: Forecasting, Holt-Winters, ARIMA

შესავალი: პროგნოზირება, რომელიც ეფუძნება დროითი მწკრივის ანალიზს, ეყრდნობა დაშვებას, რომ დროითი მწკრივის მომავალი მაჩვენებლები შესაძლებელია წარსული მონაცემების საფუძველზე შეფასდეს, რაც გულისხმობს, რომ ის გარემო და მექანიზმები, რომლებშიც ყალიბდებოდა ძველი მონაცემები შენარჩუნებული იქნება მომავალში, ანუ სიმბოლურად წარსული მეორდება მომავალში.

აბსოლუტურად იდენტური გარემო და მექანიზმები რა თქმა უნდა ვერ განმეორდება, ამიტომაც მომავალი მაჩვენებლების პროგნოზირება რთულია. მიუხედავად ამისა რაოდენობრივი პროგნოზირების მეთოდები მაინც პრაქტიკაში ინტენსიურად გამოიყენება.

პროგნოზირების პროცესი ძირითადად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ 5 ეტაპად. ეს ეტაპებია :

- პრობლემის დასმა და მონაცემების მოგროვება;
- მონაცემების შერჩევა (მხოლოდ პრობლემასთან დაკავშირებული რელევანტური მონაცემები);
- მოდელირება და მოდელის შეფასება;
- მოდელის დანერგვა;
- პროგნოზის შეფასება.

პროგნოზირების შეფასების ეტაპი განსაზღვრას ფაქტიური და ისტორიული მონაცემების შედარებას პროგნოზთან და პროგნოზის სიზუსტის დადგენას.

პროგნოზის სიზუსტის განსასაზღვრავად გამოიყენება ხუთ ძირითად მაჩვენებელი. კერძოდ: საშუალო შეცდომა (ME), საშუალო აბსოლუტური გადახრა (MAD), საშუალო კვადრატული შეცდომა (MSE), კვადრატული ფესვი საშუალო კვადრატული შეცდომიდან (RMSE) და პროგნოზირების შეცდომები პროცენტებში (MAPE).

პროგნოზირების ამოცანა: წარმოების მოცულობის პროგნოზირებისათვის აღებული მაქვს კომპანიის 4 წლის განმავლობაში წარმოების მოცულობის ფაქტიური მაჩვენებლები. ჩემი მიზანი იყო ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამომევლინა კანონზომიერება, კერძოდ ტრენდი (ტენდენცია) ანუ მონაცემთა თანმიმდევრული, მრავალწლიანი ცვლილება, რომელიც გამოისახება ზრდადობით ან კლებადობით.

წარმოების მოცულობის ფაქტიური მონაცემები მოცემულია ცხრილში 1, ხოლო სურ.1-ზე ნაჩვენებია შესაბამისი გრაფიკული გამოსახულება.

ცხრილი 1 კომპანიის ფაქტიური წარმოების მოცულობა 4 წლის განმავლობაში

პერიოდი	წარმოება (ლ)	პერიოდი	წარმოება (ლ)
1	2 099 077.64	1	1 978 242.30
2	2 844 090.48	2	2 693 355.62
3	4 075 825.56	3	4 107 920.82
4	5 485 510.92	4	4 559 541.24
5	6 860 559.40	5	5 540 922.57

6	6 504 108.28	6	6 356 747.12
7	6 939 839.64	7	6 690 246.83
8	6 233 019.08	8	6 300 644.20
9	4 376 604.16	9	4 886 958.37
10	3 220 695.88	10	3 065 085.23
11	2 379 368.64	11	2 246 724.36
12	1 675 546.92	12	2 180 012.61
1	1 678 979.00	1	1 362 546.58
2	2 103 359.32	2	1 996 236.77
3	3 415 843.28	3	3 210 605.38
4	4 739 625.58	4	3 727 537.69
5	5 679 960.28	5	3 671 491.45
6	7 066 214.68	6	4 948 202.29
7	7 127 256.16	7	5 115 359.00
8	7 348 939.76	8	5 950 175.03
9	5 140 764.12	9	3 277 183.84
10	2 885 166.49	10	2 632 765.87
11	2 185 118.67	11	2 242 607.15
12	1 791 178.05	12	1 861 159.64



სურ. 14 წლის განმავლობაში წარმოების მოცულობა (ლ)

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ წარმოების მოცულობა სეზონურად იცვლება. დროითი მწკრივი განიცდის სეზონურ ვარიაციას, წლის თვეების მიხედვით შეიმჩნევა დაღამავალი ტრენდი. შესაბამისად მონაცემების რეგრესიული ანალიზის ჩატარებისას საჭიროდ ჩავთვალე, სეზონურობის კოეფიციენტების გამოთვლა და მისი გამოყენება პროგნოზის სიზუსტისათვის. ასევე პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდების შერჩევა მოხდა სწორედ სეზონურობის გათვალისწინებით.

ვინტერსმა განავრცო ჰოლტის ექსპონენციალური გაგლუვების მეთოდი და დაამატა მას სეზონურობა. ამ მეთოდის უპირატესობაა ის, რომ საშუალებას გვაძლევს პროგნოზირება განვახორციელოთ გრძელვადიანი პერიოდისათვის. ერთი წლის პროგნოზირებისათვის გვჭირდება მინიმუმ 2 წლის მონაცემები, უმჯობესია 3-5 წლის მონაცემების არსებობა. შესაბამისად, ჰოლტ-ვინტერსის მეთოდი გამოიყენება დროითი მწკრივების პროგნოზირებისათვის, როცა მონაცემთა სტრუქტურაში არის ტრენდი და სეზონურობა.

ჰოლტ-ვინტერსის მოდელი ტრენდის მნიშვნელობების გამოსათვლელად იყენებს α, β და γ გაგლუვების კოეფიციენტებს. მათ მნიშვნელობაზე არის დამოკიდებული მოდელის სიზუსტე. უნდა აღინიშნოს, რომ მათი მნიშვნელობების შერჩევა ძალიან სუბიექტურია და მერყეობს (0;1) შუალედში. პროგნოზირების დროს უფრო მეტი სიზუსტისათვის დიაპაზონს ირჩევენ [$0.25 < \alpha,\beta,\gamma < 0.5$] შუალედიდან. ამავე დროს აუცილებელი არ არის რომ ორივე კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვეოდეს. პრაქტიკაში მიღებულია, რომ თუ არ არის რამე სპეციალური მოსაზრება, მოდელირება დავიწყოთ მნიშვნელობიდან 0,3 და შემდეგ აუცილებლობის შემთხვევაში ვცვალოთ მისი მნიშვნელობები.

ცხრილი 1 მოდელის სიზუსტის მაჩვენებლები

დასახელება	აბრევიატურა	α=0.83, β=0.93, γ=0,2	α=0.3, β=0.35, γ=0,3
აბსოლუტური გადახრების მედიანა	MAD	1604979,49	905969,32
საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება	MAPE	0,10	0,11

წანაცვლება	Bias	-322464,67	-180595,97
შეცდომების დისპერსია	MSE	352813651177,98	2152237084103,86

კვლევის პროცესში პირველადი გაანგარიშება განვახორციელეთ α=0.3, β=0.35 და γ=0,3-ის შემთხვევაში (ცხრილი 2), ხოლო შემდეგ ოპტიმიზაციის ამოცანის გამოყენებით მოვახდინეთ კოეფიციენტების ოპტიმალური შერჩევა, იმ დაშვებით, რომ საშუალო აბსოლუტური ცდომილების პროცენტული მნიშვნელობა იყოს მინიმალური. ოპტიმიზაციის ამოცანა გადავწყვიტეთ Excel-ის Solver აპარატით. ცხრილი 2 ასახავს მოდელის სიზუსტის მახასიათებლებს ორივეშემთხვევაში.



ოპტიმალური კოეფიციენტებით მიღებული პროგნოზირების შედეგების გრაფიკული გამოსახულება მოცემულია სურ.2-ზე.

სურ. 2 ფაქტიური და პროგნოზირებული მნიშვნელობები

დროითი მწკრივების ზოგად თეორიას გააჩნია სტანდარტული მოდელების მთელი არსენალი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ARIMA. იგი წარმოადგენს პარამეტრულ მეთოდს, რომელიც გამოიყენება როგორც სტაციონარული, ისე არასტაციონარული მწკრივებისათვის. ამიტომაც ამ მეთოდს გააჩნია

დიდი პრაქტიკული გამოყენება. შესაბამისად ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა ამ მოდელის მიხედვით კვლევის ჩატარება მოცემული დროითი მწკრივისათვის [17, გვ.237]. ARIMA მოდელის მისაღებად გამოვიყენე XLSTAT მოდული. ოპტიმალური მოდელის შესარჩევად კვლევა ჩავატარე მოდელის პარამეტრების სხვადასხვა კომბინაციით, სეზონურობის გათვალისწინებით.

ცხრილი 3 მოდელების სიზუსტის მახასიათებლები

მოდელის დასახელება	მოდელის სიზუსტის მახასიათებლები			
	BIAS	MAD	MSE	MAPE
Holt's-Winters α=0.83, β=0.93 γ=0,2	- 322 464.67	1 604 979.49	352 813 651 177.98	0.10
Holt's-Winters α=0.3, β=0.35 და γ=0,3	-180 595,97	905 969,32	2152237084103,86	0,11
ARIMA (1,1,1)			198000000000	0.067
ARIMA (0,1,1)			155000000000	0.05

განხილული მოდელებიდან MAPE-ს ყველაზე მინიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა Ps=0, Ds=1, Qs=1 და S=12 პარამეტრებისათვის, რომელმაც შეადგინა 5,875.

მოცემულ შემთხვევაში პროგნოზმა არ აჩვენა ცვლადების მკვეთრი ცვლილება, რხევის მიმართულება ემთხვევა საწყის მონაცემებს. შესაბამისად ტრენდი ასახულია ადეკვატურად.

დასკვნა: პროგნოზირებისათვის ჩემ მიერ გამოყენებულ იქნა ორი მოდელი ჰოლტ-ვინტერსის მოდელი და ARIMA. განხილული მოდელების ძირითადი პარამეტრების შედარების ცხრილიდან (ცხრილი 3) ჩანს, რომ პროგნოზირების საშუალო პროცენტული შეცდომა მინიმალურია ARIMA მოდელის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისად ოპტიმალურ მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ ეს მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stephen A. DeLurgio Forecasting Principles and Applications Publisher: McGraw-Hill Education (ISE Editions); Internat.2r.e. edition (July 1, 1998) 992 pages
2. John E. Hanke , Business ForeCasting, Ninth Edition, Pearson, 2009

ეკონომიკის საკითხები გაზეთ „საქართველოს“ (1918-1919 წწ) ფურცლებზე

Economics issues in the newspaper – „The Georgia“ (1918-1921)

ციცინო ბუკია - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Tsitsino Bukia – Doctor of Social Sciences, Assoc. Professor,
Caucasus International University

რეზიუმე: ეკონომიკის საკითხების პროფესიონალურ დონეზე გაშუქება თანამედროვე მასმედიისთვის „აქილევსის ქუსლია“. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, იმის გარკვევა, თუ რას და როგორ წერდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალისტები ხსენებულ პრობლემაზე.

ჩვენი კვლევის მიზანია გაზეთ „საქართველოს“ მასალათა ანალიზის საფუძველზე იმის დადგენა, რამდენად კარგად ერკვეოდნენ სფეროს სპეციფიკაში და რამდენად ადეკვატური იყვნენ მთავრობის ეკონომიკური კურსის შეფასებისას „საქართველოელები“. საინტერესოა ასევე, თუ რა პროგნოზებსა და რჩევებს სთავაზობდნენ ისინი მკითხველ საზოგადოებას.

კვლევამ აჩვენა, რომ საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები „საქართველოსთვის“ აქტუალურ საკითხებს წარმოადგენდა. პუბლიცისტები უმთავრეს პრობლემად ინფლაციის შეჩერებას, საკუთარი ფულის მოჭრასა და წარმოების განვითარებას მიიჩნევდნენ. ისინი მთავრობის კრიტიკითაც ხშირად გამოდიოდნენ და მართებული რჩევებით მათზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ.

Abstract: Covering economic issues on a professional level is a kind of Achilles heel for contemporary media. There is no lack of interest in considering what the manner of writing of 20 century's journalists was like?

The objective of the paper, on the basis of the newspaper "The Sakartvelo", is to determine how good they were at the specific of the field and how adequate they could be at assessing the economic growth of the country. It is important to know what kind of predictions and advice they offered the readers.

The paper made it clear that financial and economic problems belonged to a topic of interest for the newspaper. The publicists saw stopping inflation, printing their own money and developing production as a main problem. They frequently criticized the government and tried to have a certain kind of influence on it.

საკვანძო სიტყვები: გაზეთი „საქართველო“, ეკონომიკა, ვალუტა, ოქრო, კრიტიკა
Key Words: Newspaper "Georgia", Economics, Currency, Gold, Criticism

შესავალი: 1915 წლიდან თბილისში დაარსდა ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“, რომელიც 1920-1921 წლებში „ახალი საქართველოსა“ და „ივერიის“ სახელწოდებით გამოდიოდა. ამ პერიოდულმა ორგანომ, ფაქტობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი ეროვნული მიმართულების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. ამასთან, დროთა განმავლობაში იგი პოლიტიკური პროგრამის ჩარჩოებშიც მოექცა, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მომავალი პარტიის (საუბარია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე) იდეურ და ორგანიზაციულ ფორმირებას. შესაბამისად, გაზეთი მოგვიანებით იქცა კიდეც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდულ გამოცემად.



ძირითადი ტექსტი: „საქართველო“ „საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო“ ორგანო გახლდათ. „საქართველოელები“ გაზეთის ორიენტაციისა და მიზნის შესახებ წერდნენ: „საქართველო“ „არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ, ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე

საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები“ [1, გვ. 1].

როგორც ვხედავთ, „საქართველო“, როგორც ილიას გზის გამგრძელებელი პერიოდული ორგანო, თითქმის ყველა საჭირბოროტო თემას ეხებოდა.

ეკონომიკის საკითხების პროფესიონალურ დონეზე გაშუქება თანამედროვე მასმედიისთვის „აქილევსის ქუსლია“. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, იმის გარკვევა, თუ როგორ წერდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალისტები ხსენებულ პრობლემაზე. ჩვენი კვლევის მიზანია გაზეთ „საქართველოს“ მასალათა ანალიზის საფუძველზე იმის დადგენა, რამდენად კარგად ერკვეოდნენ სფეროს სპეციფიკაში და რამდენად ადეკვატური იყვნენ მთავრობის ეკონომიკური კურსის შეფასებისას „საქართველოელები“. საინტერესოა ასევე თუ რა პროგნოზებსა და რჩევებს სთავაზობდნენ ისინი მკითხველ საზოგადოებას.

ახალგაზრდა სახელმწიფოში, სადაც ყველა სფერო ჩამოყალიბების პროცესში იყო, ფინანსური სახსრების აუცილებლობა ყველაზე მეტად იგრძნობოდა. რა თქმა უნდა, „საქართველოელებს“ კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ძლიერებას მისი ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა, ამიტომ ეროვნულ-დემოკრატები ამ სფეროს განვითარებას დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით აკვირდებოდნენ. გაზეთი აკრიტიკებდა მთავრობას, აანალიზებდა სიტუაციას და გამოთქვამდა მოსაზრებებს.

„საქართველოს“ 1918-1919 წლების ნომრების გაცნობით შესაძლებელია იმდროინდელი ეკონომიკური სურათის აღდგენა. „საქართველოელებს“ ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ უპირველეს პრობლემად ინფლაციის საკითხი ესახებოდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ ფულის მოჭრა მაშინ, როცა მას ზურგს ოქრო არ გაუმაგრებდა, კურსის კატასტროფულ ვარდნას გამოიწვევდა. გაზეთი გამოსავალს სახელმწიფო შემოსავლების უზრუნველყოფაში ხედავდა, რაც

„გადასახადების გაწერისა და აკრების [2, გვ. 2]“ გზით უნდა განხორციელებულიყო.

„საქართველოს“ აზრით, სიტუაციას ისიც ამძაფრებდა, რომ სოფლად დაგროვილი ფულის ფონზე ახალი ბონები იჭრებოდა, ასევე ისიც, რომ ორი სხვადასხვა ვალუტა _ რუსეთისა და კავკასიის ფული ერთდროულად მოქმედებდა.

„საქართველოელები“ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საფინანსო პროგრამას აკრიტიკებდნენ [3, გვ. 3-4]. ძირითად სამიზნეს მათთვის სასწრაფო ზომები, ანუ როგორც დეკლარაცია უწოდებდა _ „პალიატიური საშუალებები“ წარმოადგენდა.

გაზეთი „პალიატიური საშუალებების“ სამივე პუნქტს იწუნებდა: მონოპოლია მასობრივი მოხმარების საგნებზე, „საქართველოს“ აზრით, შეუძლებელი იყო. მას ამ მხრივ უფრო ეფექტურ გზად ფასების ზრდის შეჩერება ესახებოდა; წარმოების ნაციონალიზაცია და ტარიფების მომატების იდეაც, რაც მთავრობამ მოიწონა, გაზეთს შორეულ პერსპექტივად ესახებოდა.

„საქართველოელები“ მიიჩნევდნენ, რომ ფულს მამულების ხალხისთვის მიყიდვა შემოიტანდა. ისინი ოქრო-ვერცხლის მოჭრას მისით ქაღალდის ფულის გამაგრებას ამჯობინებდნენ, რასაც, მათი აზრით, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება უნდა უზრუნველეყო.

გაზეთი უფრო რადიკალურ განცხადებებსაც აკეთებდა. მისი თქმით, ფულის კურსის გამყარებას 150 მილიონი ოქრო სჭირდებოდა, საკუთარი ვალუტის შექმნას კი _ ნახევარი მილიარდის. სესხის აღება გარანტიის გარეშე არ შეიძლებოდა, ამიტომ გაზეთის პუბლიცისტები გამოსავალს საბადოთა ნაციონალიზაციასა და მთავრობის შეცვლაში ხედავდნენ [4, გვ.1].

„საქართველო“ ეკონომიკის განვითარებისათვის ტექნიკის მიღწევათა გაცნობისა და სიახლეების დანერგვის აუცილებლობას ქადაგებდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ახალ რელსებზე საქმე უკეთ წავიდოდა.

„საქართველოელები“ ფინანსების უზრუნველყოფის სამ გზას გამოყოფდნენ: მიწას, ხალხში დაგროვილ ფულსა და ოქრო-ვერცხლის სამკაულ-ნივთებს. ისინი აცხადებდნენ: „თუკი სამშობლო ფინანსებს საჭიროებს და ამისთანა განძი, როგორიც მიწაა, ხელთა გვაქვს, განა არ შეიძლება ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ ამ საქმეს რეალურად შეხედოს და მიწა გაჭირვების დროს სამშობლოს მოახმაროს და ამავე დროს გლეხიც დააკმაყოფილოს [5, გვ. 3]“! სხვა ხარჯებისთვის კი „პროგრესული გადასახადის“ შემოღება და ოქრო-ვერცხლის სამკაულთა გამოყენებაც შეიძლებაო.

„საქართველო“ წერდა: „ეკონომიკური ცხოვრების დაწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ბანკებისათვის ნდობის აღდგენას და მათს ამოქმედებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ზომაა, საჭიროა კიდევ მრავალი [6, გვ. 1]“.

მოგვიანებით გერმანულ-კავკასიური ბანკის დაარსების აუცილებლობამ იჩინა თავი. ადგილობრივ გერმანულ და რუსულ პრესაში დოქტორი ვესტერნჰაგენი წერდა: „უნდა დაარსდეს ახალი ბანკი, რომელიც იმუშავებს ადგილობრივ და გერმანული კაპიტალით და კავშირი ექნება გერმანიასთან [7, გვ. 1]“.

„საქართველო“ გერმანიასთან თანამშრომლობის პერსპექტივას დადებითად აფასებდა, თუმცა ბანკამდე სადეპოზიტო კასის გახსნა, მისი თქმით, კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. ის აცხადებდა: „გერმანულ-კავკასიური თუ ქართულ-გერმანული ბანკები, რამდენიც არ უნდა დაარსდეს საქართველოში, ყველანი უნდა ექვემდებარებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და სათანადო უწყებასო [8, გვ. 1-2]“.

„საქართველოს“ აზრით, სხვა ბანკების კრიზისისას ერთის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება არ შეიძლებოდა. ამასთანავე გერმანია სახელმწიფო ბანკის დაარსებაში დახმარებას აღგვითქვამდა და, გაზეთის აზრით, სანამ ეს არ მოხდებოდა, კერძო, პრივილეგირებული ბანკი არ უნდა გახსნილიყო.

„საქართველო“ აცხადებდა: უპრიანი იქნება მუშაობდეს „ადგილობრივი სახელმწიფო ბანკი, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნისთვის შეუძლიან განსაკუთრებული კასსა გახსნასო [8, გვ. 1-2]“.

1918-1919 წლების ნომრების ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ „საქართველოს“ პუბლიცისტები ტრანზიტის თემასაც ეხებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამ გზით ჩვენი ქვეყანა სხვებს დიდ სამსახურს უწევდა. საჭირო იყო უცხო დოვლათისათვის ადგილობრივს კონკურენცია გაეწია, ამიტომ გაზეთი ითხოვდა შემდეგს:

„ასეთი ჩვენი შუამავლობა ხანგრძლივი იქმნეს, თუ ამისთვის ჩვენი ინტერესი მიჩნეულ საქონლის რომელიმე %-ის ჩვენშივე დატოვებას მოითხოვს, ეს ყოვლის მოუცილებლად უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას [9, გვ. 3]“.

„საქართველო“ პროტექციონიზმის – ბაჟის მომხრე იყო და მიიჩნევდა, რომ ეს უკანასკნელი ბაზარს უცხოელთა კონკურენციისგან დაიცავდა, მაგრამ, მისი გათვლებით, ბაჟი მაღალი არ უნდა ყოფილიყო.

პუბლიცისტები საფინანსო სფეროს გაუმართავობას არა მარტო მინისტრს, არამედ მთელ მთავრობას აბრალებდნენ. გაზეთის თქმით, ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი სავალალო მდგომარეობაში იყო. სიტუაციის გასაუმჯობესებლად ის მწარმოებელთა საზოგადოებისა და ამა თუ იმ დარგის ამხანაგობის დაარსებას ითხოვდა.

„თუ ცოტათი მაინც გავუწევთ ხელმძღვანელობას, სოფელი ქოთნებში დამარხულ ფულს გამოიღებს და ახალ წარმოებაში მოათავსებს [10, გვ. 2]“, „ეს ზომა საუკეთესო საქაჩავია სოფლიდან ფულის ნიშნების ამოსაწურად და ხაზინასა თუ ბანკებში დასაგროვებლად-ო [10, გვ. 2]“, წერდა გაზეთი.

„საქართველოელები“ მიიჩნევდნენ, რომ ქვეყანას საკუთარი ვალუტა უნდა ჰქონოდა. ისინი აცხადებდნენ: „ქაღალდის ვალიუტის დატოვებით ჩვენ შედარებით უფრო ადვილათ და უმტკივნეულოთ გადავალთ საკუთარ ფულის ერთეულზე [11, გვ. 2]“, მაგრამ მთავარი,

მათი აზრით, ძვირფასი მადნის აღმოჩენა-დამუშავება იყო. ეს ოქროს რეზერვს გააძლიერებდა და ვალუტის მდგომარეობასაც სრულიად გარდაქმნიდა.

დასკვნები: ამდენად, როგორც ვხედავთ, საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები „საქართველოსთვის“ აქტუალურ საკითხებს წარმოადგენდა. პუბლიცისტები უმთავრეს პრობლემად ინფლაციის შეჩერებას, საკუთარი ფულის მოჭრასა და წარმოების განვითარებას მიიჩნევდნენ. ისინი მთავრობის კრიტიკითაც ხშირად გამოდიოდნენ და მართებული რჩევებით მათზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ. ეკონომიკურ საკითხებზე გაზეთში გამოქვეყნებული მასალების დაბეჯითებით რომელიმე პუბლიცისტური ჟანრისათვის მიკუთვნება ჭირს, თუმცა ზოგიერთი შეგვიძლია სტატიად მივიჩნიოთ.

„საქართველოელების“ მიერ წამოყენებული ყოველი ახალი ინიციატივა, ჩვეულებისამებრ, ლოგიკურ, დასაბუთებულ მსჯელობას ემყარება. მასალებში ჩანს განსახილველი პრობლემის ღრმა ცოდნა და, რაც მთავარია, მკითხველის საკუთარ სიმართლეში დარწმუნების უნარი, რაც უდავოდ პუბლიცისტთა პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განცხადება ხელისმომწერთათვის, გაზ. „საქართველო“, N 5, 1919
2. გ. ქ. „ახალი ბონები“, გაზ. „საქართველო“, N10, 1918 წ., გვ. 2;
3. ლორთქიფანიძე ი., „საფინანსო პროგრამა“, გაზ. „საქ“, N45, 1918
4. უავტ., „ფინანსიური მდგომარეობა“, გაზ. „საქართველო“, N96, 1918
5. გედევანიშვილი რ., „სამი გზა საქართველოს ფინანსების უზრუნველსაყოფად“, გაზ. „საქართველო“, N123, 1918 წ., გვ. 3;
6. უავტორო, „პირველი ნაბიჯი“, გაზ. „საქართველო“, N123, 1918 წ.
7. ასათიანი ა., „გერმანულ-კავკასიური ბანკი“, გაზ. „საქ“, N183, 1918
8. ასათიანი ა., „გერმანულ-კავკასიური ბანკი“, გაზ. „საქ“, N186, 1918
11. მარგველაშვილი ტ., „ჩვენი ვალიუტა“, გაზ. „საქართველო“, , 1919

ეკონომიკური ზრდის თეორიები
Economic growth theories

ბექარ კილასონია – დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Bekar Kilasonia, PhD student
Georgian Technical University

რეზიუმე: საერთო ისტორიული თვლსაზრისით ეკონომიკის გაფართოებადი, თვითზრდადი ხასითი ადვილად შესამჩნევია, თუნდაც მას მრავალი ზიგზაგი და გამოვლინების ურიცხვი ვარიანტულობა ახასიათებდეს, როცა მთელი მსოფლიოს ეკონომიკას ავიღებთ, ასევე ცალკეულ ქალაქებში.

საკითხი იმის შესახებ, სასურველია თუ არა მუდმივი ეკონომიკური ზრდა, რა საბოლოო შედეგამდე მიიყვანს იგი კაცობრიობას, არსებობს თუ არა რეალურად „ზრდის ზღვარი'', რა იქნება მის შემდგომ და როგორ განვითარდება მოვლენები, ბოლო ასწლეულის განმავლობაში იყო ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა. მის გარშემო ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში კი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ჩამოაყალიბა.

ეკონომიკური ზრდის, მისი შედეგების კრიტიკული ანალიზის და ეკონომიკური ზრდისადმი ახლებული მიდგომის, კერძოდ მისი შეზღუდვის კონცეფციები, რაც არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა, მწვავე პრობლემაზე რეაგირებაა. მიუხედავად მათ შინაარსში ცალკეული მიუღებელი და რეალობას მოწყვეტილი აზრების არსებობისა, კონსტრუქციული ელემენტებიც ბევრია. კერძოდ ის, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური დოვლათის გადიდების ამოცანის გადაწყვეტისას ეკოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნათა გათვალისწინებასთან.

ეკონომიკური ზრდა ასუსტებს წინააღმდეგობას შეუზღუდავ მოთხოვნილებებსა და მწირ რესუსრსებს შორის, ანუ უფრო გარკვევით; ეკონომიკური ზრდის პირობებში სოციალური მიზნების არჩევანი ნაკლებად მტკივნეულია და ნაკლებ წინააღმდეგობებს იწვევს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. იქმნება შესაძლებლობა ერთდროულად მოდერნიზებულიქნეს შეიარაღებული ძალები, შენარჩუნებულ იქნეს ინფრასტრუქტურა მოცემულ დონეზე, განხორციელდეს დახმარების პროგრამები ხანდაზმულთათის, ავადმყოფებისა და ღარიბებისათვის, სრულყოფილ იქნეს განათლების სისტემა და სოციალური სფეროს სხვა

დარგები, და ამასთან ამაღლდეს პირადი შემოსავლები გადასახადების გამოქვითვის გარეშე.

Abstract: With a common historical sense, the expansion of the economy can be easily noticeable, even if it has a lot of Clunk and exemplary variation when it comes to the economy of the whole world as well as in some cities.

Whether the constant economic growth is desirable, What will be the end of humanity? Is there really a "rise margin", What will be the next and how events will develop, one of the central problems of economic science study over the last century. In the economic literature around him, quite numerous and different, and in many cases, mutually exclusive views Was formed.

Economic growth, critical analysis of its results and an approach to economic growth, Namely the concepts of its restriction, which have not been so long ago, are responding to the acute problem.

In spite of their existence in the contents of the unacceptable and unrealistic views there are many constructive elements too. Namely related to the ecological and social needs in solving the problem of economic prosperity.

Economic growth weakens the resistance between unlimited needs and Between small resources, In particular: The choice of social goals in the economic growth conditions is less painful and causes less controversy between different groups of the population.

Is created Opportunity to simultaneously modernize the armed forces, maintain the infrastructure at a given level ,implement the help programs of the elderly, for patients and poor people, to be perfected by the education system and other fields of social sphere, and in addition to personal income without deductions.

საკვანძო სიტყვები: „ნულოვანი ზრდის თეორია'', „შეზღუდული ზრდის თეორია'', „რომის კლუბის'', „ზღვრის თეორია'', „ფესიმისტური მოდელის თეორია'', „მალთუსის თეორია''.
Key Words: "Theory of Zero Growth", "Theory of Restricted Growth", "The Club of Rome", "Theory of Thirst", "Theory of Fesimistic Model", "Malthus Theory".

შესავალი: საერთო ისტორიული თვლსაზრისით ეკონომიკის გაფართოებადი, თვითზრდადი ხასითი ადვილად შესამჩნევია, თუნდაც მას მრავალი ზიგზაგი და გამოვლინების ურიცხვი ვარიანტულობა ახასიათებდეს, როცა მთელი მსოფლიოს ეკონომიკას ავიღებთ, ასევე ცალკეულ ქალაქებში.

ეკონომიკური ზრდის პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1857 წელს წერდა ჯონ სტიუართ მილი - საითკენ მიემართება კაცობრიობა, როდესაც მიზდევს სამრეწველო ზრდის გზას? რა გველოდება ჩვენ ამ გზის შეწყვეტის შემდეგ - რა პირობებში აღმოჩნდება კაცობრიობა. ეკონომიკური ზრდის, მისი შედეგების კრიტიკული ანალიზის და ეკონომიკური ზრდისადმი ახლებული მიდგომის, კერძოდ მისი შეზღუდვის კონცეფციები, რაც არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა, მწვავე პრობლემაზე რეაგირებაა. პირველ რიგში მხედველობაშია მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულია „რომის კლუბში'' (ჯ.ფორესტერი, დ.მედოუზი, მ.მესაროვიჩი ე.ლასლო და სხვა აყენებენ „ნულოვანი ზრდის'', „შეზღუდული ზრდის'' და სხვა ანალოგიურ იდეებს.,), რომლებიც ასაბუთებენ ზრდის ზღვრის არსებობას, აყენებენ „ნულოვანი ზრდის'', „შეზღუდული ზრდის'', და სხვა ანალოგიურ იდეებს.

ძირითადი ტექსტი: „რომის კლუბის'' მეცნიერთა მიერ შემუშავებული თეორისს თანახმად, მსოფლიო სისტემის ხუთი ძირითადი ელემენტი: მოსახლეობის რიცხოვნობა, აგროკულტურა, ინდუსტრიალიზაცია, პოლუცია (გარემოს გაჭუჭყიანება) და განუახლებელი სიმდიდრეების (ნავთობი და მინერალები) მოხმარება თანამედროვე პირობებში მკვეთრ ზრდას განიცდის. მათი ზრდა ხასითდება გარკვეული კანონზომიერებებით, რომელსაც მათემათიკოსები მოიხსენიებენ როგორც ექსპონენციალური (აჩქარებულ) ზრდას. სწორედ აღნიშნული ხუთი ელემენტის მკვეთრი დეფიციტი დაუდებს ზღვარს ეკონომიკურ ზრდას. ეს კი მათი წინასწარი გათვლებით XX საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო, რაც რეალობისაგან შორს აღმოჩნდა. ქვემოთ განვიხილოთ მათი თეორიული დებულებები.

აღნიშნული თეორიის მიმდევრები გარემოს დაცვას მიიჩნევენ ერთ-ერთ საკაცობრიო პრობლემად და როდესაც განიხილავენ ეკოლოგიურ კრიზისს, მას უკავშირებენ ინდუსტრიალიზაციის

ექსპონენციალურ ეკონომიკურ ზრდას. უკანასკნელ 100 წელიწადში მსოფლიოს სამრეწველო წარმოება გაიზარდა 50-ჯერ. საწარმოო საქმიანობის ასეთმა სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ჰაერისა და წყლის აუზების, ნიადაგის მასიური გაჭუჭყიანება. ამის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში განადგურებულია 30 მლნ ფექტარზე მეტი ტყე. უვარგისადაა გადაქცეული უზარმაზრი ფართობები. მიმდინარეობს ფლორისა და ფაუნის მზარდი გაღარიბება, ყოველწლიურად უდაბნოდ იქცევა 6 მლნ-მდე ჰექტარი მიწა.

კაცობრიობას ერთი განუყოფელი ჰაერი, ერთი მსოფლიო ოკეანე, ერთი კოსმოსი, ერთი პლანეტა გააჩნია. ბუნებრივი პირობების გაუარესებას გლობალური ხასიათი აქვს, რადგან ჰაერის, მდინარეებისა და მსოფლიო ოკეანის გაჭუჭყიანების შემოფარგვლა არ შეიძლება მოცემული ქვეყნის საზღვრებით.

კაცობრიობა დადგა ფაქტის წინაშე : მისი ბუნებრივი საარსებო გარემო დეგრადაცია განიცდის. აქედან წარმოსდგება ამოცანა; კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კონცეფცია, რათა გადალახოს წინააღმდეგობა ბუნებასა და საზოგადოებას შორის. საქმე ისაა, რომ მსოფლიო მაშტაბით ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება მოითხოვს მსხვილ ინვესტიციებს. ის, რაც ახლა ამ მიზნით იხარჯება, სპეციალისტების აზრით, ორჯერ ნაკლებია იმაზე, რაც საჭიროა.

რადგან ეკოლოგიური პრობლემა გლობალური და უნიკალურია, მისი მოგვარებისაკენ მიმართუული ღონისძიებებიც გლობალური და ამავედროს შეთანხმებული უნდა იყოს. თუ პრობლემის ეკონომიკური მხარე გვქენება მხედველობაში, მაშინ ამოცანა ის იქნება რომ მსოფლიო მაშტაბით ჩამოყალიბდეს ყველასათვის სავალდებულო ეკონომიკური ბარიერები, რომლებიც მოაწესრიგებენ საზოგადოების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ხელს შეუწყობს რესურსდამზოგავ, უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლას. გააძლიერებენ ეკოლოგიურ კონტროლს

ადამიანის საწარმოო საქმიანობაზე. როგორც წესი, ნარჩენები არ არის გარდაუალი, ისინი წარმოების არასრულყოფილების შედეგია.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ისეთ შემზღუდავ ფაქტორს, როგორიცა კვების დეფიციტი, „რომის კლუბის'' წევრები აქცენტს აკეთებენ შემდეგ მიდგომაზე. მსოფლიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილ მრავალ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ახალშობილთა შორის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ბავშვი იღუპება დაწყებითი განათლების მიღებამდე. როცა საუბრობენ ღარიბ ქვეყნებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის შესახებ, მიზეზთა შორის ჩვეულებრივ ასახელებენ: წითელას, დეზინტერიას, ან სხვა რაიმე დაავადებას. „ზღვრის თეორისს'' წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში ეს ბავშვები ცუდი კვების მცხვერპლნი ხდებიან. მათი გათვლების თანახმად, საუკუნის დასასრულისათვის დედამიწაზე მოსალოდნელი იყო სახნავი მიწების და ამავე დროს კვების პროდუქტების კრიტიკული უკმარისობ, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს მოსახლეობა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიეყვანა.

ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდის შეზღუდვის ფაქტორთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განუახლებად (არაკვლავწარმოებად) სიმდიდრეებს (ნავთობი და მინერალები). „ფესიმისტური მოდელის'' თანახმად აღნიშნული კატეგორია ზღვარს დაუდებდა ეკონომიკურ ზრდას და ჯერ კიდევ XX საუკუნის დასასრულისთვის, თუმცა მსოფლიო პრაქტიკამ საწინააღმდეგო რამ დაამტკიცა. კაცობრიობა სულ უფრო მზარდი მაშტაბით გადავიდა არატრადიციულ ენერგორესუსრებისა და მასალების გამოყენებაზე. აქ, უწინარე ყოვლისა იგულისხმება ატომური ენერგიის, გეოთერმული ენერგიის სულ უფრო მზარდი გამოყენება და ხელოვნური მასალების შექმნა. ანალოგიური მდგომარეობა კოსმოსის ათვისების საქმეში. იგი მეტად ძვირი სიამოვნებაა, თანაც ამ სფეროში მიღწვებს დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ამ საკითხს არც შემდგომ პერიოდშინ დაუკარგავს თავისი აქტუალობ. როგორც ცნობილია XVIII-XIX საუკუნეშ მოღვაწე ინგლისელი მოაზროვნე თომას რობერტ მალთუსი მოსახლეობის სწრაფ ზრდას „ხალხთმოსახლეობის ბუნებრივი კანონის'' მოქმედებით ხსნიდა. კერძოდ, მოსახლეობის გამრავლების საკითხს მალთუსი ცხოველებისა და მცენარეების გამრავლების კანონის, ანუ ბუნების კანონის ასპექტში, მის შესაბამისად იხილავდა, ხაზს უსვამდა ამ მმიმართღულებით ბიოლოგიურ ფაქტორთა მოქმედების განმსაზღვრელ როლს და ასკვნიდა, რომ მოსახლეობის რაოდენობა ბევრად უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე საარსებო საშუალებათა წარმოება. სახელდობრ, მისი აზრით მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროცესი ხორციელდება გეომეტრიული პროგრესიით., ხოლო საარსებო საშუალებათა წარმოების ზრდის პროცესი - არითმეტიკულით. ამ ყველაფრის ფონზე მალთუსი თვლიდა, რომ ორი საკუნის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება საარსებო საშუალებათა რაოდენობასთან იქნება 256/9, სამი საუკუნის შემდეგ 4096/13 და განვითარების მომდევნო საფეხურზე - სულ უფრო მეტი. მალთუსის სქემის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია საარსებო საშუალებათა პირობით ერთეულზე სულ უფრო გაიზრდება მოსახლეობის რაოდენობა და ამ საშუალებებზე მათი მოთხოვნილების შესაბამისი მაჩვენებელი. მალთუსის სიტყვებით ეს არის ობიექტური კანონზომიერება, კერძოდ „ხალხთმოსახლეობის კანონი'' , რომელიც მარადიულია საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე, ნებისმიერი წყობილების პირობებში მოქმედებს და განაპირობებს ხალხის მდგომარეობის სულ უფრო გაუარესების, სიღატაკის, შიმშილისა და საბოლოო ანგარიშით, წარღვნის ანუ მოსახლეობის ამოწყვეტის გარდაუალობას. ამით მალთუსი მიზნად ისახავდა იმის დასაბუთებას და ადამიანთა დარწმუნებას იმაში, რომ ხალხთა სიღატაკისა და ცხოვრების პირობების სულ უფრო გაუარესების მიზეზია საარსებო საშუალებათა წარმოებასთან შედარებით

მოსახლეობის რაოდენობის უფრო სწრაფი ზრდის კანონი, რომელიც წარმოებით ურთიერთობათა მიღმა ანუ მათგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

ამ კანონის მოქმედების სავალალო და საბედისწერო შედეგების თავიდან აცილების, მათგან თავის დაზღვევის აუცილებელ პირობად მალთუსი თვლიდა მოსახლეობის რაოდენობასა და საარსებო საშუალებათა წარმოების მოცულობას შორის ნორმალური წონასწორობის დამყარებას, რომლის ყველაზე მიზანსეწონილ გზასაც მისი აზრით, მოსახლეობის რაოდენობის სემცირება წარმოადგენდა.

მალთუსის მოცემული თეორია საკმაოდ პესიმისტურია და დასმული პრობლემის მოგვარების გზაც მიუღებელი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება, რამეთუ ჭარბმოსახლეობა ამჟამადაც მწვავე პრობლემას წარმოადგენს განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნებისათვის, რამდენადაც რიგ შემთხვევაში მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მალთუსის და „ რომის კლუბის'' წევრთა თეორიულმა დებულებებმა მოსახლეობის სიჭარბისა და შესაძლო კატასტროფის შესახებ ვერ გაამართლეს, თანამედროვე პრაქტიკაში აღნიშნულ თეორიებს აქტუალობა არ დაუკარგავს.

ეკონომიკური ზრდის კრიტიკოსები ასევე აყენებსნ მთელ რიგ არგუმენტებს იმის სასარგებლოდ, რომ თუმცა ეკონომიკური ზრდა უზრუნველგვყოფს „ სიცოცხლისთვის საჭირო საშუალებებით ", მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენთვის „კარგი ცხოვრების'' მოტანა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეკონომიკური ზრდა ნიშნავს მასობრივ წარმოებას, რომელიც შემოქმედებით ხასიათს არ ატარებს და მომუშავისათვის თავისი შრომით კმაყოფილება არ მოაქვს, იწვევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან მომუშავეთა გაუცხოებას.

ეკონომიკური ზრდა მატერიალური სიუხვისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი პირობაა, იგი ამასთან ახანგძლივებს სიცოცხლეს, თანდათანობით ზღუადავს სოციალურ უთანასწორობას, ამცირებს სამუშაო დროის ხანგძლივობას და აუმჯობესებს ცხოვრების წესს.

ეკონომიკური ზრდა ასუსტებს წინააღმდეგობას შეუზღუდავ მოთხოვნილებებსა და მწირ რესუსრსებს შორის, ანუ უფრო გარკვევით; ეკონომიკური ზრდის პირობებში სოციალური მიზნების არჩევანი ნაკლებად მტკივნეულია და ნაკლებ წინააღმდეგობებს იწვევს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. იქმნება შესაძლებლობა ერთდროულად მოდერნიზებულიქნეს შეიარაღებული ძალები, შენარჩუნებულ იქნეს ინფრასტრუქტურა მოცემულ დონეზე, განხორციელდეს დახმარების პროგრამები ხანდაზმულთათის, ავადმყოფებისა და ღარიბებისათვის, სრულყოფილ იქნეს განათლების სისტემა და სოციალური სფეროს სხვა დარგები, და ამასთან ამაღლდეს პირადი შემოსავლები გადასახადების გამოქვითვის გარეშე.

როდესაც ვმსჯელობთ ეკონომიკური ზრდის პირობებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, აქ უპირველს ყოვლისა იგულისხმება ადამიანთა მოხმარების ფრიზიკური მოცულობის გადიდება. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ზრდის შრომის წარმოებლურობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს სამუშაო დღის ხანგძლივობის შემცირებას. ამავე დროს ცხოვრების დონის ზრდა აისახება ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობაში.

მსოფლიოს მოსახლეობის 58% ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელი და მეტია, მათ შორის 9% - იმ 32 ქვეყანაში, სადაც ადამიანები საშუალოდ 80 წელზე მეტს ცოცხლობენ. მიუხედავად სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მდგრადი ტენდენციისა, ქვეყნებს შორის სხვაობები ძალიან დიდია.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაჩვენებელმა 82 წელსაც გადააჭარბა. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ჰონგ-კონგი და მაკაო, ჩინეთის ცალკეული

ავტონომიური რეგიონები, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, სინგაპური, შვეიცარია და იაპონია. ადამიანები 55 წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ კოტ-დივუარში, ლესოტოში, ნიგერიაში, სვაზილენდში, სიერა-ლეონეში, სომალიში, ჩადიში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ სიცოცხლის ხანგძლივობა გაცილებით მაღალია იმ ქვეყნებში სადაც ეკონომიკური ზრდის კვალომაზე მიღწეულია ცხოვრების მაღალი დონე. ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. განსაკუთრებით ეს ითქმის ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრ შემცირებაზე.

ეკონომიკური ზრდის დამცველები ამტკიცებენ, რომ მისი შენელება ან შეწყვეტა დადებით გავლენას ვერ მოახდენს ადამიანურ ფასეულობებზე და ვერ უზრუნველყოფს „კარგ ცხოვრებას''. სინამდვილეშუი შესაძლებელია საპირისპირო შედეგს ველოდოთ. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის დასასრული არ გააუქმებს მუშაობას კონვეირზე, პირიქით ეკონომიკური ზრდა ყოველთვის მიმდინარეობს საკონვეირო წარმოებაში მასში დასაქმებულთა რიცხვის შემცირებით.

ასევე არ იქნება სწორი თუ დავეთანხმებით იმას, რომ ეკონომიკური ზრდის შენელება ან შეწყვეტა ასუსტებს ადამიანთა ლტოლვას მატერიალური ფასეულობისაკენ და ამცირებს მათ გაუცხოებას წარმოებისაგან, შედეგები შეიძლება შებრუნებულიც აღმოჩნდეს. სწორედ ცხოვრების მაღალი დონე რომელსაც ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს, შესაძლებლობას აძლევს ადამიანთა სულ უფრო მეტ რაოდენობას „დრო დახარჯოს განათლებასა, ფიქრსა და თვითრეალიზაციაზე''.

დასკვნები: ამგვარად იკვეთება ეკონომიკური ზრდის შეზღუდვის ორი: უარყოფითი, საზოგადოებისათის საზიანო და დადებითი, სასარგებლო ტენდენცია. ეკონომიკის ზრდა მისი მაღალი ტემპი კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა, ან არ არის საჭირო. ამჟამად მთელი საზოგადოების მიერ საკმარისად ღრმად არ არის

გაცნობიერებული ეკონომიკური ზრდის, როგორც განვითარების ერთ-ერთ მთავარი მომენტის, რეგულირების აუცილებლობა. თავისთავად ჩნდება ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკის განვითარებაში რაოდენობითი და თვისებითი ფაქტორების თანაფარდობის რეგულირების აუცილებლობა. ასეთი რეგულირება ნიშნავს ეკონომიკის გაფართოების შინაგანი მექანიზმის კორექციას, რაც მხოლოდ საზოგადოების ინელექტუალური ძალებით შეიძლება განხორციელდეს. კორექცია გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ზრდის დაჩქარებასაც და შეზღუდვასაც. ასეთი, კორექცია ფართოა სახემწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის კოორდინირებულ და მკაცრად დეტერმინირებულ იმპეტრატიულ ღონისძიებებს უნდა ითვალისწინებდეს, მაგრამ მას წინ უდგას მეწარმეთა და მომხმარებელთა ძლიერი, საშიში, სტიქიური მიდრეკილება სიმდიდრისა და წარმოების უზომო გადიდებისაკენ.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ზრდის ამოცანის ახლანდელი სიმწვავე იმას როდი ნიშნავს, თითქოს მუდამ აუცილებელი იქნება განვითარების განსაკუთრებით მაღალი ექსპონენციალური ტემპი. ზრდის მაღალი ტემპებისაკენ სწრაფვა გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკა იმყოფება მკვეთრად დაქვეითებულ მდგომარეობაში და აუცილებელია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთშ ეკონომიკის განვითარების კრიზისამდელი დონის მიღწევა, ხოლო პერსპექტივაში გადაჭარბებაც კი. ყოველი აღნიშნულის რეალიზაციის შემდეგ დღის წესრიგში დადგება ეკონომიკური ზრდის რეგულირების პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკა გეგეშიძე, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა,ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2010.
2. მოსიაშვილი ვ., ეკონომიკა: დინამიკა, ზრდა, განვითარება, გამომცემოლბა „დანი“, თბილისი 2008.
3. პაატა ლეიაშვილი, ეკონომიკური მოღვაწეობა სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „აზრი'', თბილისი 2015.
4. john H, martion, Richard walderen, david L stamp., principles of field crop produqtion fourth edition.

სახელმწიფოს როლი ქვეყნის საინოვაციო ეკოსისტემის ფორმირებაში

The role of the state in forming the country's innovation ecosystem

ვლადიმერ ტოგონიძე - მაგისტრი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Vladimer Togonidze - Master
Tbilisi State University

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სახელმწიფოს როლი ქვეყნის საინოვაციო ეკოსისტემის ფორმირებაში, ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემულ საკითხებზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკის გატარების გზით ეკონომიკური ზრდის მიღწევის მნიშვნელობაზე ევროკავსირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ასპექტში, რაც დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებასთან. განხილულია ინოვაციების გამოყენების თავისებურებები და პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

Abstract: The article discusses the role of the state in forming an innovation ecosystem of the country; focusing on the importance of implementation of innovation policy in the country and its related problems. Particular accent is made on the importance of achieving economic growth through the implementation of innovation policy in the aspect of deepening trade relations with the European Union, which is related to socio-economic and political security of the country. The peculiarities of the use of innovations and the problematic issues related to the introduction of innovations and new technologies in the development of economic relations with the EU.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები; საინოვაციო პოლიტიკა; ეკოსისტემა;
Key Words: innovation; innovation policy; ecosystem;

შესავალი: მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, ასევე საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტური

ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ საქმიანობაში ინოვაციების დანერგვასა და ტექნოლოგიების იმპორტის განხორციელებას, რაც მით უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირთან მიღწეული ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოს სპეციფიური ინოვაციური პოლიტიკის საფუძველზე ერთიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ქვეყნის ინოვაციური ეკოსისტემის ცალკეული ელემენტების სრულყოფა.

საკითხი აქტუალურია რამდენადაც გამომდინარეობს იმ პრობლემიდან, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს ქვეყანამ ეკონომიკური გარემო ინოვაციების დანერგვის გზით. ნაციონალური ინოვაციური ეკოსისტემა, რომელიც თავის მხრივ უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკის მეშვეობით აანალიზებს თუ როგორ აყალიბებენ ტექნოლოგიური ცვლილებები და ინოვაციები კომპლექსურ ურთიერთკავშირს სახელმწიფო პოლიტიკას, კანონებსა და საჯარო სტრუქტურებს შორის. შესაბამისად მნიშვნელოვანია დავახასიათოთ ნაციონალური საინოვაციო სისტემის ის კომპონენტები, რომლების აუცილებელია დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყანაში ინოვაციურ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის საშუალებით ეკონომიკის შეუქცევადი ზრდის მისაღწევად.

ძირითადი ტექსტი: ლიტერატურაში მზარდი კონსენსუსია იმასთან დაკავშირებით, რომ მაკროეკონომიკულ დონეზე ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინოვაციური ეკონომიკის უნარით აწარმოოს გლობალური მაშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება. ნაციონალური

ინოვაციური ეკოსისტემის მშენებლობა, სახელმწიფო პოლიტიკის, კერძო ფირმებისა და საჯარო ინსტიტუტების მეშვეობით, ასევე უნდა მოიცავდეს რაიონული კლასტერების ფორმირებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ინოვაციური ტექნოლოგიების იმპორტსა და ქვეყნის შიგნით დანერგვაში. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია საჯარო სამართლის იურიდიული პირების, კვლევითი ინსტიტუტების, ფინანსური ინსტიტუტების, საწარმოო ასოციაციების ერთმანეთთან დაუბრკოლებელი და მარტივი ურთიერთკავშირი, რომლებიც ჩართული იქნებიან ტექნოლოგიების იმპორტისა და ქვეყნის შიგნით დანერგვის საკითხში, რაც გამოიწვევს პრობლემური საკითხების სწრაფ იდენტიფიცერებასა და მათზე რეაგირების ეფექტიანობას, რაც თავის მხრივ იქნება ინოვაციურ ეკოსისტემაში ჩართული სუბიექტების წარმატებული საქმიანობის გარანტი.

კონკურენტინარიანი ნაციონალური ინოვაციური ეკოსისტემის მშენებლობამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანას რომ მიაღწიოს სტრატეგიულ მიზანს - გახდეს ევროპული ეკონომიკის ნაწილი. ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება არის აღნიშნული მიზნის მისაღწევად წინგადადგმული ნაბიჯი. ამ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი აყალიბებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს.

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ინოვაციური განვითარება საქართველოში ვერ განხორციელდება უპირატესად კვლევითი ინოვაციის ხარჯზე, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებში ხდება, საქართველოში ინოვაციური განვითარება უნდა განხორციელდეს უპირატესად ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის იმპორტირების გზით. დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიების დიფუზიას ქვეყნის შიგნით და ამ პროცესის დაჩქარებას. სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ის რომ

ხელი შეუწყოს უმთავრესად ტექნოლოგიების იმპორტს, ადაპტირებასა და ქვეყნის შიგნით გავრცელებას.

ზოგადი განმარტებით ინოვაცია არის გამოგონება, დანერგვა და წარმატებული გავრცელება პროდუქციის, მომსახურების, პროცესების და ბიზნეს მოდელებისაც კი რომლებიც არის ახალი კონკრეტული ორგანიზაციის ან/და მომხმარებლებისთვის. ინოვაცია, ასევე შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც პროცესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც საწარმო შეიმუშავებს და ნერგავს პრაქტიკაში ახალ პროდუქტსა თუ მომსახურებას, მიუხედავად იმისა იგი არის თუ არა ახალი დანარჩენი სამყაროსთვის. (ნელსონი რ.1992 წ. გვ.349).

არსებობს ინოვაციის სხვადასხვა სახე: პროდუქციის ინოვაცია; მომსახურების ინოვაცია და პროცესის ინოვაცია. ინოვაციები იყოფა ევოლუციურ, ზრდად და რადიკალურ ინოვაციებად. ტექნოლოგიების დიფუზია გულისხმობს პროცესს, რომლის მეშვეობითაც ინოვაციები იღებენ რა ახალი პროდუქციის ან მომსახურების სახეს ვრცელდებიან სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში. ასევე, ტექნოლოგიების დიფუზიის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება ტექნოლოგიების მიმღები და დაინტერესებული მხარეების ე.წ. „სტეიკჰოლდერების“ სუბიექტთა წრის განსაზღვრას.

ინოვაციების თეორიების სისტემა პირველად განვითარდა 1980 - იან წლებში ევოლუციური ეკონომისტების მიერ, ფრიმანი, კარლსონი, ლუნდვალი, ნელსონი. მწერლები ამ ტრადიციის მიხედვით, ავითარებდნენ შუმპეტერის ეკონომიკისა და ინსტიტუციურ ეკონომიკურ თეორიებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ინოვაციები არა მარტო ძირითადი წყაროა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა, არამედ ინოვაციებში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფო პოლიტიკას კვლევა და განვითარებასა და მეცნიერებაში. მთავრობას აქვს ასეთი მნიშვნელოვანი როლი, ისინი

ამტკიცებენ, ორი მიზეზის გამო: პირველი ინოვაციური პროცესი თვითო არის კოოპერაციული ხასიათის; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საჯარო აქტორებს.

უდავოდ დიდია სახელმწიფოს როლი ინოვაციებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევაში, შესაბამისად სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებაში. ისეთი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მეწარმეების დახმარება, რომ მათ გაწიონ რისკი, მისცეს მათ ფინანსური შესაძლებლობა რისკის გასაწევად. ნებისმიერ ინოვაციურ ბიზნესს ახლავს ძალიან დიდი რისკი და განვითარებად ქვეყნებში მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შეამციროს რისკი მისაღებ სოციალურ დონემდე. როგორც ცნობილია ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან ხდება აგროსექტორში დასაქმებულ პირთა სუბსიდირება, მიუხედავად იმისა რომ მათ უკვე დანერგილი აქვთ მაღალტექნოლოგიური მიღწევები საკუთარ წარმოებაში, რაც მათ აყენებს კონკურენტულ უპირატესობაში სხვა ქვეყნებთან მიმართებით, შესაბამისად საქართველოშიც თუ არ მოხდება აღნიშნული დარგის სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან, თუნდაც მხოლოდ ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საწარმოო საშუალებების დანერგვის მიმართულებით შეუძლებელი იქნება ევროკავშირთან ნებისმიერი სახის სავაჭრო რეჟიმიდან რაიმე სახის სარგებლის მიღება.

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციური შესაძლებლობები შეზღუდულია, სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ძირითად საბაზისო ინვესტიციაზე, ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და სადემონსტრაციო ოპერაციებზე „საბაზისო“ ინოვაციებში, რომელთაც შეუძლია შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, განათლებასა და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში. ეს მნიშვნელოვანია

დინამიური ტექნოლოგიური გარემოს შესაქმნელად და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარების წასახალისებლად, რაც სცილდება მხოლოდ გადარჩენისთვის ბრძოლის აუცილებელ საჭიროებებს. (ჟან ერიკ უბერტი 2005).

2017-2018 გლობალური კომპეტენტურობის ინდექსის მიხედვით საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა, ინდექსის თორმეტივე სვეტში აქვს ინოვაციებში (118-ე ადგილი). მე- 12 სვეტია ინოვაციების შეფასება სადაც 118-ეა 137 ქვეყნიდან, რაც ჯამში შეადგენს 2.8 ქულას. 12.01 არის ინოვაციების სიმძლავრე - 99 ადგილი 3.7 ქულა; 12.02 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი - 127 ადგილი 2.7 ქულა; 12.03 კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე - 122-ე ადგილი 2.7 ქულა; 12.04 უნივერსიტეტებისა და წარმოების კოლაბორაციის დონე კვლევასა და განვითარებაში - 116-ე ადგილი - .2.8 ქულა; 12.05 - სახელმწიფო შესყიდვები მოწინავე ტექნოლოგიური პროდუქციის - 78 -ე ადგილი - 3.2 ქულა; 12.06 - მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა - 125 ადგილი 3.0 ქულა; 12.07 – PCT - Patent Cooperation Treaty - საპატენტო თანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით - (პატენტის გამოყენება მილიონ ადამიანზე) – 70-ე ადგილი, 1.0. ქულა.

ბიზნესის კეთების პრობლემური ფაქტორების პირველი ხუთეული გამოიყურება შემდეგნაირად: არაადეკვატური კვალიფიკაციის (განათლების) მქონე მუშახელი; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; ინფლაცია; დაბალი სამუშაო ეთიკა ქვეყნის სამუშაო ძალაში; ინოვაციების არასაკმარისი სიმძლავრე. როგორც ინდიკატორები გვიჩვენებს პროდუქტიულობის ზრდისა და ექსპორტის აღორძინების პერსპექტივები შეზღუდულია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების დაბალი დონით.

სახელმწიფოს მიერ ნაციონალური ინოვაციური ეკოსისტემის მშენებლობისას სხვა დანარჩენთან ერთად, მთავარია არჩევანის გაკეთება თუ ეკონომიკის რომელი სექტორი უნდა შეირჩეს ინოვაციური განვითარებისთვის. როგორც გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსიდან ჩანს ქვეყანა იმყოფება ინოვაციების „ადრეულ საფეხურზე“. ქვეყანას უხდება დაიწყოს თითქმის ნულიდან და ჩაუყაროს საფუძველი ნაციონალურ ინოვაციურ სისტემას. როგორც დამწყები ქვეყნისთვის, დასაწყისისთვის აუცილებელია ტექნოლოგიების ათვისება, როგორც ინოვაციების შემადგენელი ნაწილის.

2017 წელს მთლიანი ექსპორტიდან, რომელმაც შეადგინა 646,450 ევროპაში, 208,383 იყო სოფლის მეურნეობის პროდუქცია. თუმცა ასოცირების ხელშეკურების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირის მიმართულებით ექსპორტი დიდად არ გაზრდილა. აღნიშნული აჩვენებს რომ აგროსექტორს აქვს საექსპორტო პოტენციალი, თუმცა მას სჭირდება მორგებული ინფრასტრუქტურა, მომსახურება და ფინანსური მხარდაჭერა. ქვეყანას სჭირდება თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა სოფლის მეურნეობისთვის რათა მოხდეს ინოვაციების მეშვეობით საექსპორტო პოტენციალის გამოყენება, რაც ასევე დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოების საკითხთან. აგრესიული მეზობლის მუდმივი თავდასხმის პირობებში, აუცილებელი მოხდეს ექსპორტის დივერსიფიკაცია. ამის გაკეთება კი მხოლოდ ცალკეულ ბიზნესმენთა მხრიდან წარმოუდგენელია, მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია გააზრებული სტრატეგიის საშუალებით მოახდინოს ევროკავშირის მიმართ სავაჭრო პოტენციალის ათვისების მიმართულებით ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება.

განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებით არის უდავოდ რთული და მჭიდროდ

დაკავშირებული რიგ საკითხებთან უფრო ფართო განვითარების მიმართულებით. სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკის საბოლოო შედეგი უნდა იყოს ტექნოლოგიების მზარდი ხელმისაწვდომობა, რაც მოიცავს ფირმების და სხვა ტექნოლოგიების მომხმარებელთა შესაძლებლობების განვითარებას, რათა მიუსადაგონ, შეიძინონ, ადაპტირება მოახდინონ და გამოიყენონ ცოდნა და ტექნოლოგიები. ამ შედეგის გათვალისწინებაა ნაციონალური ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს შიდა აბსორბციული შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ადგილობრივი ინოვაციების სტიმულირებას, აგრეთვე საერთაშორისო ძალისხმევას ტექნოლოგიური ტრანსფერის მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად. თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ყოველთვის, რომ ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი არ არის მხოლოდ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და ათვისების მიღწევა, არამედ მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციების პროცესს, რომელიც ქმნის ღირებულებას, უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკურ ღირებულებას, და ასევე სოციალურ ღირებულებას ტექნოლოგიების წარმატებული გამოყენებით პროდუქტიულობის ზრდისა და სოციალური ეფექტის მოხდენის გზით. (იცხაკ გოლდბერგი 2011).

საქართველოში სახელმწიფოს მიერ შექმნილია ინოვაციების განვითარების სააგენტო, მიღებულია კანონი ინოვაციების შესახებ, სახელმწიფო მონაწილეობს პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს კვლევისა და ინოვაციების უმსხვილეს პროგრამას რომლის ბიუჯეტი 77 მილიარდი ევროა. აღნიშნულ პროექტში საქართველოს კონტრიბუციის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურ საფუძველზე, იმისდა პროპორციულად და დამატებით თუ რა თანხა არის ხელმისაწვდომი ამ წელს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში ასიგნებული სახსრებისთვის, რომელიც საჭიროა აღნიშნული პროგრამის განსახორციელების, მენეჯმენტისა და ოპერირებისთვის;

დასკვნები: დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკა მიმართულია უმთავრესად ეგრეთ წოდებული „კვლევითი ინოვაციების“ განვითარების მიმართულებით და იზიარებს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, ცდილობს რა კოპირება გაუკეთოს არსებულ საუკეთესო პრაქტიკას და მოახდინოს ქვეყნის რეალობაში იმპლემენტირება. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოწოდებულია იმისკენ, რომ უფრო სწრაფად განავითარონ ინოვაციები, მაგრამ ის ქვეყნები რომლებიც წარმატებით ახდენენ ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მიღწევას ამას ახერხებენ იმიტომ, რომ აცნობიერებენ სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკის არსს, კერძოდ კი იმას რომ სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკა არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი, ამიტომ ის სტრატეგიები რომლებსაც ისინი იყენებენ საინოვაციო პოლიტიკის განსახორციელებლად ერთმანეთსგან ძალიან განსხვავდება. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის მიერ შეცდომის დაშვება იქნებოდა მიტის (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის) მიერ განხორციელებული კვლევების, რომლებიც მორგებულია ამერიკის საინოვაციო პოლიტიკაზე ან სილიკონ ველის პირდაპირი კოპირება, ვინაიდან შეიძლება ქვეყანას ქონდეს წარმატებული საინოვაციო ინდუსტრია, მაგრამ შეუძლებელია კოპირება მოახდინოს სილიკონ ველის მისი მრავალწლიანი ძალიან სპეციფიური ისტორიით. ყველა წარმატებულმა ქვეყანამ (კორეა, ფინეთი, ტაივანი, ისრაელი, ჩინეთი) განახორციელეს სპეციფიკური აქტივობები ინოვაციების განვითარების მიმართულებით, შექმნეს რა საჯარო ინსტიტუტები, საგანმანათლებლო სისტემები, ფინანსური ინსტიტუტები, რომლებმაც მისცეს მეწარმეებს საშუალება რომ ეწარმოებინათ სწორი კამპანია და განვითარებულყვნენ სახელმწიფოს მიერ შერჩეული კონკრეტული მიმართულებით. შესაბამისად საქართველოში უმჯობესი იქნებოდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების იმპორტის გზით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ტექნიკური და

ფინანსური დახმარების გაწევა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ევროკავშირში არსებული სტანდარტების დანერგვა და ვაჭრობის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყორღანაშვილი ლ,. საერთაშორისო ბიზნესი. თსუ გამომცემლობა. თბი, 1998.
2. ჩაგელიშვილი ლ,. საერთაშორისო ბიზნესი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003.
3. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, „ინოვაცია“, თბი, 2005.
4. შატბერაშვილი ო. საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას 2013.
5. შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამა - „ჰორიზონტი 2020“ კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში (2014-2020) საქართველოს მონაწილეობის შესახებ. დანართი N2.
6. Aubert Jean-Eric Promouting innovation in developing countries: a conceptual framework 2005. P. 7-16.
7. Breznitz, D. 2007 Innovation and the State: Political Choice and Strategies for Growth in Israel, Taiwan, and Ireland.
8. Goldberg Itzhak; John Gabriel Goddard; Smita Kuriakose; Jean-Louis Racine. Igniting innovation Rethinking the Role of Government in Emerging Europe and Central Asia 2011 pp 19-33.
9. The Global Competitiveness Report 2017–2018 p.320.

PR-ის თავისებურება, მისი როლი ბიზნესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში
PR's peculiarity, its role in business and public activity

ნინო მაზიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Nino Maziashvili – PhD of Economics, Assoc. Professor,
Georgian National University

რეზიუმე: PR-მართვის განსაკუთრებული ფუნქციაა, რომელიც არსებობს იმიტომ, რომ დაამყაროს ურთიერთობა, თანამშრომლობა, კომპანიასა და საზოგადოებას შორის. მოაგვაროს კონფლიქტური სიტუაციები, პრობლემები და მართოს რთული პროცესები. შეისწავლოს საზოგადოების აზრი და ეფექტურად შეცვალოს პოზიციები მოთხოვნის შესაბამისად. ფაბლიქ რილეიშენზი არის ხელოვნება ადამიანთა შორის ჰარმონიულობის მისაღწევად, რაც აუცილებლად ემსახურება სიმართლეს. მას უწოდებენ ქოლგას, რომელიც ფარავს არა მარტო კომპანიებს, არამედ სოციალურ ინსტიტუტებს, საავადმყოფოებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, ფონდებს, საგანმანათლებლო და რელიგიურ ორგანიზაციებს. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, შეცდომების და წარუმატებლობის უამრავი მაგალითი არსებობს. მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, თუმცა შესაძლებელია რაღაც საერთოც არსებობდეს და ეს საერთო არის სუსტი კავშირები საზოგადოებასთან, ჯგუფებთან, მომხმარებელთან. ფაბლიქ რილეიშენზი დასავლეთში წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის მმართველობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასთან.

პირველი საერთო ნაციონალური PR-ორგანიზაცია წარმოიქმნა აშშ–ში, ჩიკაგოში 1915 წელს, როცა შვიდმა ბანკირმა ჩამოაყალიბა ფინანსური რეკლამის ასოციაცია და დღესაც ლიდერობენ სწორედ ფინანსისტები თავისი აქტიურობით და თანხის დაბანდებით PR-ში.ხოლო ქართულ ბაზარზე 1999 წლიდან,როგორც სასწავლო დისციპლინა, ხოლო 2003 წლიდან ქართულ ბაზარზე გამოჩნდა რამოდენიმე სპეციალიზირებული PR კომპანია. ბოლო პერიოდში დაიწყო PR განყოფილებების, როგორც სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ჩამოყალიბება კერძო კომპანიებში და სახელმწიფო სტრუქტურებში, თუმცა განვითარების სტადიაშია და გარკვეული პროგრესია საჭირო. ყოველივე ამისთვის ზრუნავეს სახელმწიფო, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

Abstract: It is a special function of PR management that exists because of the relationship between cooperation, company and society. Solve conflict situations,

problems and manage complex processes. Study the public opinion and effectively change positions according to demand. Public Relations is an art to achieve harmony among human beings, which inevitably serves the truth. It is called an umbrella that covers not only companies, but social institutions, hospitals, state institutions, foundations, educational and religious organizations. There are many examples of mistakes and failures in political, economic and social life. The cause may be different, but it is possible to have something in common and it is common with the community, groups, and consumers. PUBLIC RELATIONS is an important part of any system governing the public in connection with the public.
The first common national PR organization was created in the United States, Chicago in 1915 when seven bankers established financial advertising association and are still leading financiers with their active and cash-strapped PR. Since 1999, as a study discipline in the Georgian market, and from 2003 several specialized PR companies have appeared on the market. In recent years, PR units have been created as a structural unit and established in private companies and state structures, but development is needed and some progress is needed. All this is for the state, domestic and international donor organizations.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი ურთიერთობები, ფაბლისტი, პრომოუშენი, ლობირება, პრეს–შუამავალი, პრესრელიზი;
Key Words: Public Relations, Faculty, Promotion, Lobbying, Press-Intermediate, Press Release.

შესავალი: საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, კონკურენციამ, საზოგადოებასთან კეთილგანწყობილი კონტაქტების, წარმატებული ბიზნესის ჩამოყალიბების აუცილებლობამ, შექმნა PR-ზე მოთხოვნა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბიზნესის მესვეურნი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კორპორაციას შეიძლება ჰქონდეს ყველაფერი: კაპიტალი, სამუშაო ძალა, ნედლეული, მაგრამ წარმატებას PR-ის გარეშე ვერ მიაღწიოს. PR-ის სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგ მიზანს–ორგანიზაციის ინტერესების ჰარმონიზაცია იმ ადამიანების ინტერესებთან, ვისზეც დამოკიდებულია მისი განვითარება. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, შეცდომების და წარუმატებლობის უამრავი მაგალითი არსებობს. მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, თუმცა

შესაძლებელია რაღაც საერთოც არსებობდეს და ეს საერთო არის სუსტი კავშირები საზოგადოებასთან, ჯგუფებთან, მომხმარებელთან. ფაბლიქ რილეიშენზი დასავლეთში წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის მმართველობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასთან, ხალხთან. ”ფაბლიქ რილეიშენზი მართვის ფუნქციაა. იგი მოწყობილია შეაფასოს საზოგადოების დამოკიდებულება, მოახდინოს კერძო პირის ან ორგანიზაციის პოლიტიკის და მოქმედების იდენტიფიცირება საზოგადოების ინტერესებთან მიმართებაში და შეასრულოს მოქმედების პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება მასების მიერ ურთიერთგაგებისა და აღქმის მისაღწევად.“[1]

ძირითადი ტექსტი: PR-მართვის განსაკუთრებული ფუნქციაა, რომელიც არსებობს იმიტომ, რომ დაამყაროს ურთიერთობა, თანამშრომლობა, კომპანიასა და საზოგადოებას შორის. მოაგვაროს კონფლიქტური სიტუაციები, პრობლემები და მართოს რთული პროცესები. შეისწავლოს საზოგადოების აზრი და ეფექტურად შეცვალოს პოზიციები მოთხოვნის შესაბამისად. ფაბლიქ რილეიშენზი არის ხელოვნება ადამიანთა შორის ჰარმონიულობის მისაღწევად, რაც აუცილებლად ემსახურება სიმართლეს. მას უწოდებენ ქოლგას, რომელიც ფარავს არა მარტო კომპანიებს, არამედ სოციალურ ინსტიტუტებს, საავადმყოფოებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, პროფკავშირებს, ფონდებს, საგანმანათლებლო და რელიგიურ ორგანიზაციებს. მაგ. PR-ს საზოგადოებაში მოეთხოვება ურთიერთობის დამყარება როგორც თავის თანამშრომლებთან, ასევე სხვა კომპანიებთან. ბიზნესის სფეროს განვითარება შეუძლებელია მოსახლეობასთან მუშაობის გარეშე. პირველი საერთო ნაციონალური PR-ორგანიზაცია წარმოიქმნა აშშ–ში, ჩიკაგოში 1915 წელს, როცა შვიდმა ბანკირმა ჩამოაყალიბა ფინანსური რეკლამის ასოციაცია და დღესაც ლიდერობენ სწორედ ფინანსისტები თავისი აქტიურობით და თანხის დაბანდებით PR-ში.

PR ყოველთვის უნდა იყოს მზად, რომ გადასცეს ინფორმაცია შემდეგ აუდიტორიას: საზოგადოებას, კომპანიის აქციონერებს, ინვესტორებს, ფასიანი ქაღალდების აგენტებს, ფინანსურ ანალიტიკოსებს, პროდუქციის დისტრიბუტორებს, ბანკებს, წარმოების თანამშრომლებს. სახელმწიფო ადმინისტრაციას. PR-ის მიზნები ემთხვევა ბიზნესის მიზნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა მოიცავს მუშაობის სხვადასხვა სფეროს, როგორიც არის: პრეს–შუამავლობა, წინ წაწევა(პრომოუშენი), ფაბლისტი, რეკლამა, სახელმწიფოს ცალკეული განყოფილების მუშაობა საზოგადოებასთან. საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის რომ პრეს–შუამავალი და ფაბლიქ–რილეიშენზი ერთი და იგივეა, თუმცა ეს ასე არაა. „პრეს–შუამავალი ეს არის მასალების მომზადება, დაწერა ან სპეციალური ღონისძიებების ორგანიზაცია მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების ყურადღების მისაქცევად და საზოგადოების სააშკარაოზე გამოსვლის უზრუნველყოფა“ [2] ისინი აკეთებენ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანების, ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობას, რომ უკეთ დაანახონ თავიანთი სიახლე, იდეა, საქონელი, მომსახურება. ფაბლიქ რილეიშენზი პრეს–შუამავალს იყენებს იმისათვის, რომ უკეთ მიიპყროს საზოგადოების ინტერესი.

ასევე ხშირად აიგივებენ ფაბლიქ–რილეიშენზს და ფაბლისტს. სინამდვილეში ეს ორი განსხვავებული ტერმინია. ფაბლისტი ასრულებს მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციას, ხოლო ფაბლიქ რილეიშენზი კი–მენეჯმენტის ფუნქციას. ფაბლისტი აგროვებს ინფორმაციას დამოუკიდებელი წყაროდან, გამოყენებულია საინფორმაციო საუალებები. მას უახლესი ინფორმაცია აქვს, რომელიც გადაიცემა ტელევიზიით, ან განლაგდება გაზეთებში. პუბლიცისტები ავრცელებენ ინფორმაციას. ფაბლისტები არამარტო კარგ ინფორმაციას ავრცელებენ, არამედ ურჩევიათ გულახდილად მოუყვნენ საზოგადოებას კრიზისის შესახებ.

განვიხილოთ ფაბლიქ რილეიშენზის და რეკლამის დამოკიდებულება. პირველის მიზანია ნდობის მოპოვება, ხოლო მეორე უზრუნველყოფს სარეკლამო განცხადებებს გაზეთებში, ტელევიზიაში და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებში, რათა მომხმარებელი მიიყვანონ სურვილის გაჩენამდე. რეკლამა ფაბლიქ რილეიშენზის ინსტრუმენტია, რომელსაც ხშირად იყენებენ პუბლიცისტები, პრესშუამავლები წინ წაწევისთვის. სარეკლამო სამსახური და ჟურნალისტიკა PR-ისაგან განსხვავებული თვისებების მატარებელია, მაგრამ ისინი ავსებენ ერთმანეთს. ჟურნალისტიკა ემსახურება უკვე მომხდარი ან არსებული მოვლენების აღწრას, PR თვითონ გამოდის მოვლენის შემქმნელის როლში, რომელიც შემდეგ ჟურნალისტების მიერ ვრცელდება. PR –ისადმი ნდობის ფაქტორი უფრო მაღალია, ვიდრე ფასიანი რეკლამისადმი.

ფაბლიქ რილეიშენზის ერთ–რთი მთავარი მიზანია პრობლემის მართვა და არამარტო პრობლემის მართვა, არამედ მისი ადრე გამოვლინება. შემდგომ ეტაპზე ამ პრობლემის შედეგების შერბილება ან ამ შედეგების გამოყენება საკუთარი გამორჩენისათვის. ერთ–ერთი მეცნიერი, ფაბლიქ რილეიშენზის სპეციალისტი ბ.ჰოვარდ ჩეიზი ამტკიცებს, რომ პრობლემის მართვა მოიცავს ამ პრობლემის ანალიზს, სტრატეგიული პროგრამების შერჩევას და ეფექტურობის შეფასებას. ე. ი. პრობლემის მართვა წარმოადგენს ფაბლიქ რილეიშენზის ფუნქციას.

ლობირება–PR–ის განსაკუთრებული ნაწილია, რომლის ამოცანაა მთავრობასთან ურთიერთობის ფორმირება და მხარდაჭერა. ლობირება საზოგადოებრივი საქმიანობის ნაწილია. ზოგჯერ საზოგადოების დამოკიდებულება ლობირებისადმი უარყოფითია, რადგან მას აწერენ მთავრობის ან კონკრეტული ორგანიზაციების მანიპულირების მცდელობას საკუთარი ეგოისტური, პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად. კარგმა ლობისტებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ საკანონმდებლო პროცესი, საუკეთესო ორატორული ნიჭი და კრეატიული გონება. ლობირება დემოკრატიული

პროდუქტია. ინვესტორებთან დამოკიდებულება, ხელსაყრელი ურთიერთობების დამყარება აქციონერებთან PR-ის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა–ფაბლიქ–რილეიშენზი–PR ამარტივებს სოციალურ ასპექტებში თვითრეგულირების პროცესებს, უზრუნველყოფს ფიზიკური და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. მისი ფუნქცია ასეთი მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის ემსახურება ჭეშმარიტი ინფორმაციის შეთავაზების ფორმების დახვეწას. მან სწორად უნდა შეარჩიოს აუდიტორია, მან სწორად უნდა დააკავშიროს მიმწოდებელი და მომხმარებელი ერთმანეთს. მოახდინოს დადებითი იმიჯის ფორმირება. უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას კომპანიის მიმდინარე მოღვაწეობის შესახებ, ასევე – მის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. PR–უნდა მონაწილეობდეს ღონისძიებების დაგეგმვაში, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოახდინოს მასმედიისათვის – საინტერესო მოვლენების გაანალიზება და სამომავლოდ უნდა ჩამოყალიბდეს პრიორიტეტული პროდუქტი, რომელსაც მიეცემა საზოგადოებრივი რეზონანსი. PR-გამუდმებით ზრუნავს ორგანიზაციის დადებითი იმიჯის შექმნაზე. იყო პროფესიონალიPR-ეს ნიშნავს, რომ გქონდეს კარგი კონტაქტები ჟურნალისტურ გარემოში, თანამშრომლებთან ურთიერთობაში, კომუნიკაბელურობაში, ინფორმაციის შეთავაზების ფორმატის სწორ და დროულ შერჩევაში, პრესკონფერენციებისა და კონფერენციების მომზადებაში. სარეკლამო მასალების მომზადებაში, ისინი ამზადებენ პრესრელიზებს მასმედიისთვის , სადაც მოცემულია ლაკონური ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. პრესლერიზმმა უნდა აღზღას ინტერესი დაგეგმილი ღონისძიების შესახებ. პრესლერიზის მომზადება ფორმალური როდია, ის მოითხოვს დიდ ძალისხმევას საზოგადოებასთანურთიერთობის მენეჯერის მხრიდან. შესავალი და სათაური ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ მიიპყროს მკითხველის

ყურადღება. PR-ის სპეციალისტების ამოცანა არის, თუ როგორ შექმნას შესაბამისი მოვლენები იმისათვის, რომ შეიტანოს მასში გადამწყვეტი მუხტი. მხარი დაუჭიროს საქველმოქმედო კომპანიებს, იცოდეს ნაბეჭდი და აუდიოვიზუალური მასალების დამზადება მათთვის, უხელმძღვანელოს კამპანიას, პროექტებს, დაეხმაროს მართვაში. ისეთი ტიპის ახალი ამბების შეთხზვა, რომლითაც დაინტერესდება პრესა. საყურადღებოა საქველმოქმედო საქმიანობა. როცა დასავლეთში აკრძალული იყო თამბაქოს ნაწარმის სატელევიზიო რეკლამა, სიგარეტის მწარმოებლებმა დაიწყეს ფულის ჩადება საქველმოქმედო ღონისძიებაში, სპორტულ ღონისძიებების მოწყობაში, განათლებაში.

მარკეტინგის მიმართ ფაბლიქ რილეიშენზი გამოდის როგორც მისი დამცველი. ამერიკელი PR-ის სპეციალისტების აზრით, აუცილებელია შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ახალი ამბების გავრცელება ახალი პროდუქტის და მომსახურების შესახებ.
2. გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების წინ წაწევა.
3. კეთილგანწყობილი იმიჯის შექმნა კომპანიისათვის.
4. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.
5. კონფერენციის გაშუქების, გამოფენის უზრუნველყოფა და ა.შ.

ყურადღება მინდა გავამახვილო, თუ როგორ დაიწყო განვითარება საქართველოში PR-საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან ერთად.რა გზები გაირა და რა მდგომარეობაშია ახლა. 1995 წელს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის პირველი ფაკულტეტი, რომელმაც პირველი სპეციალისტები ბაკალავრის ხარისხით 2000 წელს, ხოლო მაგისტრის ხარისხით 2001 წელს გამოუშვა. 1999 წელს ანალოგიური საგნის სწავლება დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა საუნივერსიტეტო სწავლებისა, 1998 წელს შეიქმნა „საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ინსტიტუტი“, ამ პერიოდში შეიქმნა

რეკლამის და საზოგადოებრივი ურთიერთობის ასოციაცია, ხოლო 1999წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებმა შექმნეს ”საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალგაზრდული ასოციაცია“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა PR–ის ახალგაზრდა სპეციალისტების შექმნა. შემდგომ უკვე შეიქმნა, საზოგადოებრივი ურთიერთობების საინფორმაციო–საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის მიზანიც ამ დარგის განვითარება, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა იყო. 2003 წელს ქართულ ბაზარზე ძირითადად რამოდენიმე სპეციალიზირებული PR კომპანია იყო: საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“, „ეი–სი–თი“, პიარ ინტერნეიშენალი, პროფილი და სხვა. ბოლო პერიოდში დაიწყო PR განყოფილებების, როგორც სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ჩამოყალიბება კერძო კომპანიებში და სახელმწიფო სტრუქტურებში, თუმცა განვითარების სტადიაშია და გარკვეული პროგრესია საჭირო. ყოველივე ამისთვის ზრუნავეს სახელმწიფო, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

შეერთებული შტატების შრომითი სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში მთელი ქვეყნის მასშტაბით 35,0000 ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში 50,000–ზე მეტი პროფესიონალია.მსოფლიოში საზოგადოებასთან ურთიერთობის 200 ეროვნული და რეგიონალური ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მაგ.სამხრეთ აფრიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი(PRISA) კომუნიკატორების ესპანური ასოციაცია(DIRKOM)ავსტრალიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი (PRIA)სერბეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის საზოგადოება(KPRS) და სხვ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წინასწარგანზრახული, ორგანიზებული საქმიანობაა, რომელიც ორმხრივად სასარგებლოა, როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. იგი მოიცავს რჩევის მიცემასა და პრობლემის

გადაჭრას უმაღლეს დონეზე და არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე - „საზოგადოებასთან ურთიერთობა“;
2. ე. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე - „საზოგადოებასთან ურთიერთობა“;
3. დენის ლ. უილკოქსი. გლენტ ტ. კამერონი - „საზოგადოებასთან ურთიერთობა“.

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები

Strategic Trends of Policy of Medium and Small-Scale Entrepreneurship

ნაზი ჭიკაიძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Nazi Chikaidze - PhD of Economics. Assoc. Professor
Georgian Technical University

რეზიუმე: მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე.

რაც შეეხება სტრატეგიულ მიმართულებებს, მათ შორის შედის საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალი სოციალური როლის გამო იგი ევროკავშირის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა და საკანონმდებლო ჰარმონიზაცია და ერთიანი სამეწარმეო სივრცის შექმნისას აქცენტი გაკეთებულია ამ სფეროს შეუფერხებელ განვითარებაზე.

Abstract: A sector of medium and small-scale entrepreneurship has significant role for development of competitive environment, as well as for growth of employment and alleviation of social inequality. Small-scale enterprises play active role for alleviation of poverty. They rapidly and flexibly react to changes of a market, simply master new production and basically they are oriented on local markets.

With regard to strategic trends, they include improvement of legislative, institutional and business environment; more availability of finances; development of small and medium-scale business skills and support of impovement of

entrepreneurship culture; support of export and internationalization of small and medium entreprises; support of innovations, research and development.

The small and medium-scale businesses have significant social role. Therefore, European Union pays special attention to them. Harmonization of laws and creation of unified business environment is oriented on undisturbed development of this field.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა; დასაქმება; ბიზნესი; სტრატეგიები; კანონმდებლობა; რეფორმები.
Key Words: entrepreneurship; employment; business; strategies; legislation; reforms

შესავალი: სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა

ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

ძირითადი ტექსტი: ზოგადი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საყურადღებოა კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DGFTA) კონტექსტში. DGFTA ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DGFTA ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

წინამდებარე სტრატეგიის, რომელიც ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First) პრინციპს, მთავარი მიზანი არის მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სტრატეგიაში დასახულია მიზნები, რომელთა მიღწევა უნდა მოხდეს 2020 წლისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალი სოციალური როლის გამო იგი ევროკავშირის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა და საკანონმდებლო ჰარმონიზაცია და ერთიანი სამეწარმეო სივრცის შექმნისას აქცენტი გაკეთებულია ამ სფეროს შეუფერხებელ განვითარებაზე. მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის გატარებისას ყურადღება გამახვილებულია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე და საწარმოების რეგისტრაციის პროცესის დამამძიმებელი რეგულაციების გაუქმებაზე. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით თითქმის ყველა ქვეყანაში კანონმდებლობის გამარტივებამ შეამცირა ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბარიერები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ეს აძლიერებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ინსტიტუციურ სისტემას და ქვეყნებს შორის კოორდინაციას ერთიანი პოლიტიკის გატარების სფეროში. მნიშვნელოვანი ხდება მცირე და საშუალო საწარმოებზე ინფორმაციის გაფართოება იმისთვის, რომ მთავრობამ შექმანს უფრო ეფექტური პოლიტიკა, გააუმჯობესოს მონიტორინგი და სწრაფად შეაფასოს პოლიტიკის ეფექტურობა. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს სისტემატურ დიალოგს და კონსულტაციებს კერძო სექტორთან, რათა რეფორმები სრულად შეესაბამებოდეს ბაზრის საჭიროებებს, რაც ხელს შეუწყობს საწარმოების და ხელისუფლების ინტეგრაციას დაგეგმარების შემუშავების საკითხებში, რათა დასახული გეგმა შეესაბამებოდეს ბაზრის სწრაფად ცვალებად საჭიროებებს. ამასთან სამთავრობო სააგენტოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება დამატებითი ფაქტორი ხდება პოლიტიკის ქმედითობის გაზრდაში. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ყოვლისმომცველი სტრატეგიის შექმნით და ნათელი და ზომიერი მიზნების დასახვით.

ევროკავშირის პოლიტიკა მცირე საწარმოთა მიმართ ეფუძნება ეგრეთ წოდებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომებს. ვერტიკალური მიდგომა გამოიხატება იმ ღონისძიებებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ მცირე და

საშუალო საწარმოებზე, ხოლო ჰორიზონტალური მიდგომა ეფუძნება მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესების დაცვას ევროკავშირის საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვ.

საწარმოების განვითარების ყველაზე ხელისშემშლელი გარემოებები დაკავშირებული ინოვაციებთან, ტექნოლოგიებთან, უმაღლესი განათლებისა და ტრეინინგების მდგომარეობასთან და ფინანსური ბაზრების განვითარებასთან. ეს ბარიერები განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზესის განვითარებისათვის მტკივნეულია და საბოლოოდ ზემოქმედებს ბაზრებში მათ ჩართულობის ხარისხზე. დღეს მცირე ბიზნესი უძლურია დამოუკიდებლად განახორციელოს რადიკალური ცვლილებები და გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა, რამდენადაც, მას არც კვალიფიციური კადრი ჰყავს და არც საჭირო ფინანსები გააჩნია. ამდენად იგი დამოკიდებული გახდა სახელმწიფოს მხარდაჭერაზე. სახელმწიფოს ინსტიტუციური გარემოს სრულყოფა არ არის საკმარისი პირობა ბიზნესის განვითარებისათვის. საჭირო ხდება ქმედითი მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც დღეს უკვე არა მარტო საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა, არამედ იგი ევროკავშორის ერთ-ერთი სამოქმედო გეგმის ნაწილიცაა საქართველოში.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

-საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

-მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

-ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

-ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

მიუხედავად საკანონმდებლო და ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ. მიზანშეწონილია ახლადშექმნილი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემდგომი გაძლიერება ბიზნესისთვის მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარებისთვის.

ბიზნეს-ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებებზე. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მხარდაჭერის ინსტრუმენტების, მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარების და მათი ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია მეწარმეთა საჭიროებების ანალიზი და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამ ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა და კონსულტაციები კერძო სექტორთან, ისევე როგორც ერთმანეთთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგებზე ორიენტირებული დახმარების პროგრამების შემუშავებას. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეებთან კონსულტაციების მნიშვნელობას, მათი მოთხოვნების გათვალისწინების და არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური

მექანიზმი, რაც ითვალისწინებს ბიზნესის ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპზე. ამ ეტაპზე, საჯარო-კერძო დიალოგი ტარდება როგორც ბიზნეს-ომბუცმენის (რომელიც წარმოადგენს მედიატორს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის), ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ (როგორც საკანონმდებლო ცვლილებზე, ასევე DCFTA -ის -ის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით), თუმცა არ არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეებთან თანამშრომლობის ფორმალური პლატფორმა. მსგავსი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია როგორც რეგულაციებთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაზიარების და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ასევე, პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისითაც.

მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროს როგორც შეძლებისდაგვარად ფართო სტატისტიკის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტება, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქსტატის მიერ ბიზნეს სტატისტიკის შეგროვებისთვის, შემუშავებულია 2002 წელს და ითვალისწინებს საწარმოთა ბრუნვას და დასაქმებულთა რაოდენობას. ეს განმარტება შეესაბამება ევროკავშირის განმარტებას, გარდა კრიტერიუმების დადგენილი ზღვრებისა და ასევე საწარმოს ბალანსისა (რომელიც ასევე მიიღება მხედველობაში). მნიშვნელოვანია განმარტების განახლება, რომელშიც, კრიტერიუმების ზღვრები დაეფუძნება ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის და შესაბამისად - კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსში გამოყენებული მცირე ბიზნესის განმარტება არ შეესაბამება სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას. მცირე და საშუალო

საწარმოთა სწორი, რეალობას მორგებული განმარტების არქონის გამო საწარმოთა სტატისტიკური მონაცემები (რომელიც ამ განმარტებას ეყრდნობა) არ ასახავს საწარმოთა ზუსტ მაჩვენებლებს და შესაბამისად, ართულებს მიზანმიმართული პოლიტიკის/ღონისძიებების როგორც შემუშავებას, ასევე მათი გავლენის შეფასებას.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების ჩამოყალიბებული სისტემა (RIA). ხორციელდება მხოლოდ ახალი რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის (როგორც სამეწარმეო გარემოზე, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე) მარტივი შეფასება. შესაბამისად, არ არსებობს სიღრმისეული ანალიზი, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს ახალმა რეგულირებამ ბიზნეს-სექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა როგორც ახალი საკანონმდებლო წინადადებების, ასევე, არსებული კანონმდებლობის შეფასება, ბიზნესზე რეგულირების ტვირთის და რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპი ასევე ითვალისწინებს (RIA) -ს სისტემის არსებობას სამეწარმეო გარემოს უკეთესი რეგულირების და მცირე და საშუალო მეწარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილების/შემცირებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, რაც დღეისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს. საწარმოების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ოპერირებს, ვერ ახერხებს ბიზნესის დახურვას. შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა, რაც ასევე იდენტიფიცირებულია მსოფლიო ბანკის Doing Business ანგარიშებში, სადაც საქართველოს 2016 წელს 101-ე

ადგილი უკავია. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის. „Global Competitiveness Index 2015-2016“-ის მიხედვით, ბიზნესის წარმოების მეორე ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა. გამოკვლეული საწარმოების 13.6% ბიზნესის წარმოების მთავარ დაბრკოლებად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. როგორც კომერციული ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. მიუხედავად ბოლო 10 წლის განმავლობაში (2005-2015) კომერციული ბანკებში გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა 20%-დან 15.7%-მდე - ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე და 15.6%-დან 10.6%-მდე - უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ის კვლავ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობას ხშირ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (რომელიც რიგ შემთხვევაში გასაცემი სესხის 100%-ს აღემატება).

კონკურენტული ადამიანური კაპიტალის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და მოიცავს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმა, სამუშაო ძალის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს.

სამუშაო ძალის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არასაკმარისი შესაბამისობა, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმების ტენდენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი

მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბოლო წლების განმავლობაში (2009-2016 წლებში 16.9%-დან 11.8%-მდე), ის კვლავ მაღალია და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარება „საქართველო 2020“-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით.

მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სიმწირე დაბრკოლებაა განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდისა და განვითარებისათვის, ვინაიდან მათი რესურსები მცირეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რათა ხელი შეეწყოს მაღალკვალიფიციური ადამიანების დასაქმებას მცირე და საშუალო კომპანიებში. ამ მიზნით, საჭიროა შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება შესაბამისი უნარების განვითარების პროგრამების შესამუშავებლად.

სამეწარმეო განათლება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციის დანერგვა განათლების ყველა ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია როგორც კერძო სექტორის განვითარებისთვის, ასევე თვითდასაქმებისთვის. ამ ეტაპზე, საქართველოს განათლების სისტემაში სრულად არ არის დანერგილი სამეწარმეო განათლება საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. ასევე არ არის დანერგილი უწყვეტი სამეწარმეო სწავლება (Lifelong Entrepreneurial Learning),რომელიც გულისხმობს სამეწარმეო განათლებას განათლების ყველა საფეხურზე. საჭიროა, შემუშავდეს სასწავლო პროგრამები განათლების ყველა დონეზე, რომელიც მოიცავენ სამეწარმეო სწავლების კომპონენტებს.

სამეწარმეო უნარების ნაკლებობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ხელისშემშლელი ფაქტორია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია საბჭოთა მემკვიდრეობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ სამეწარმეო უნარები გაუმჯობესებულია, ის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს

განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. ბიზნესის დაგეგმვის და განვითარების, მარკეტინგის და სხვა იმ უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის - დაბალია.

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა. საქართველო 2020-ში ხაზგაზმულია მთავრობის განსაკუთრებული როლი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ისეთი პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხელშეწყობაში, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი რეგულაციები ვრცელდება პროდუქტის როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს ბაზარზე განთავსებაზეც, რაც კიდევ უფრო ზრდის DCFTA-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანიების შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას.

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია დღეისთვის გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ვინაიდან მოითხოვს არა მხოლოდ საექსპორტო ბაზარზე მოთხოვნების ცოდნას, არამედ დამატებით ფინანსურ რესურსებს წარმოების ამ მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისთვის.

მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნა მცირეა საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნის, ასევე მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ექსპორტის პოტენციალის განვითარებაზე. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, კვლევების ჩატარება, ან საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა დაკავშირებულია დამატებით როგორც კვალიფიციურ ადამიანურ რესურსთან, ასევე - ფინანსებთან, რისი შესაძლებლობაც მცირე და საშუალო მეწარმეობაში შეზღუდულია.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება) განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოსაფხვრელად. ექსპორტის პოტენციალის ზრდის, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი არის მარკეტინგის, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე ორიენტირებული მარკეტინგის არასაკმარისი ცოდნა და ასევე, მარკეტინგისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არქონა. აქედან გამომდინარე, ექსპორტირებული პროდუქციის უმრავლესობა წარმოებულია მსხვილი კომპანიების მიერ. გარდა ამისა, მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვისთვის.

მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებთან კავშირის დამყარებაა. მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, პროდუქტისა და მომსახურების იმპორტის ნაცვლად პრიორიტეტს ანიჭებენ პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი კომპანიებისგან. ამჟამად არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების დაკავშირებას საქართველოში მოქმედ მსხვილ ინვესტორებთან.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში (GCI) 2015-2016წ. საქართველო 66-ე ადგილს იკავებს 144 ქვეყანას შორის (27 ადგილით არის გაუმჯობესებული პოზიცია 2010-2011 წლის 93-ე ადგილიდან). იმ ინდიკატორებში რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა, მათ შორის: . ინოვაციების შესაძლებლობა – 121 ადგილი;

• კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე – 127 ადგილი;

• უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა – 97 ადგილი;

ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება – 103 ადგილი. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეობის და სტარტ-უპ-ის მხარდაჭერისკენ როგორც ინოვაციების, ასევე ღ&D-ს განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება და ინსტიტუციურ გაძლიერება, ასევე მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქტების და სერვისების შემდგომი განვითარება.

დასკვნები: მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

რაც შეეხება სტრატეგიულ მიმართულებებს, მათ შორის შედის საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის: http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 30.06.2018 წ.

2. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 30.06.2018 წ.

საუნივერსიტეტო (უმაღლესი განათლების) მეცნიერების დაფინანსების პრობლემები ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში

Проблемы финансирования университетской научки в условиях трансформированной экономики

მაყვალა სხირტლაძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Маквала Схиртладзе - Доктор экономики, Ассоциированный профессор
Грузинский национальныи университет

რეზიუმე: მეცნიერება და ტექნოლოგიები ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია. მასზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, წარმოების კონკურენტუნარიანობის მიღწევა და შენარჩუნება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

მეცნიერული პოტენციალის შექმნა რთული, დიდ ხარჯებთან და ასევე დიდ რისკებთან დაკავშირებული პროცესია. იგი მაღალგანვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა პრეროგატივაა, თუმცა ინოვაციების სიძვირე საერთაშორისო ბაზრებზე აიძულებთ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს შექმნან საკუთარი მეცნიერული პოტენციალი, თუმცა ეს საკმაოდ ძნელია და რაც ყველაზე მთავარია, მარტო საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობაზე არ არის დამოკიდებული.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრობლემა მეტად აქტუალურია მაღალგანვითარებული, "დიდი რვიანის" წევრი ქვეყნებისათვის. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე ზოგადად მშპ-ს 3-3,5% უნდა დაიხარჯოს.

განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება ტრანსფორმირებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ეკონომიკისათვის. 1990-იან წლებში დაწყებულმა სისტემატურმა კრიზისმა აღნიშნული დარგი დიდი

გამოწვევის წინაშე დააყენა. უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე ქვეყანა, მისი ეკონომიკა თითქმის უუნარო აღმოჩნდა შეენარჩუნებინა ამ პოტენციალის ძირითადი ბირთვი მაინც.

2004 წელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში გატარებულმა რეფორმამ მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გამოყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ძირითადი ნაწილი და წამყვან უნივერსიტეტებს გადაეცათ, რომელთაც მათი შენარჩუნება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს. მთლიანად გაუქმდა დარგობრივი, სამინისტროების ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. რაც შეეხება საუნივერსიტეტო მეცნიერებას, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტების ბაზაზე ფუნქციონირებადი კვლევითი ინსტიტუტებითა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებით იყო წარმოდგენილი, მათი დიდი ნაწილი გაუქმდა.

დღეს ქვეყანაში მეცნიერების დაფინანსების შესახებ ეკონომიკური ინფორმაცია არ არსებობს, გაურკვეველია, რომელ უწყებას ექვემდებარება დღეს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევების განვითარების ხელმძღვანელობა და მართვა. ასევე გაურკვეველია ქვეყნის ბიუჯეტი ამ მიმართულებით რა რაოდენობით სახსრებს გამოყოფს.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად ფუნდამენტურ მეცნიერებას ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს. ამ მიზნით გამოიყენება ასევე სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრები. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საკუთარი სახსრები. ბანკის კრედიტი, საქველმოქმედო და საგარანტო დაფინანსება.

დღეისათვის ქვეყანაში მოქმედი უნივერსიტეტები უდიდესი გამოწვევის წინაშე დგანან. ისინი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებად უნდა გარდაიქმნან, ანუ ერთმანეთს შეუხამონ მეცნიერული კვლევები და კვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება.

ეს მაშინ, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკა და არც საუნივერსიტეტო მეცნიერების დაფინანსების საკითხი დგას ქვეყნის ფინანსური სისტემის წინაშე.

ქვეყნის ხელისუფლებამ დროა სათანადო ყურადღება დაუთმოს მეცნიერების განვითარების პრობლემას, იფიქროს მისი დაფინანსების საკითხზე. ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს სახსრები საუნივერსიტეტო მეცნიერების დაფინანსებისათვის. საჭიროა ასევე ამ მიზნით რესურსების მოძიების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

Резюме: Наука и технологии один из приоритетов развития национальной экономики. От ее развития во многом завасит эффективное использование экономического потенциала страны, достижение конкурентной способности производства и его сохранение как на национальных, так и во внешных рынках.

Создание научно-технического потенциали сложный процес, требует огромных затрат и связанно с рыском. Это прерогатива странах высокоравытой экономики, хотя высокие цены на иновациях на зарубежных рынках заставляет развивающих стран создать собственный научно – технический потенция, но это не так легко, так как для создания собственного научного потеняиала от национальных экономик требует не только огромных финансовых ресурсов.

Для создания научно-технического потенциала высокоразвитие страны выделяют 3-3,5% ВНП, этот показатель различный в различных странах. Так – в Японый он составляет 3,2%; в США 2,4%; Во Франции, в Великобритании и в Канаде – 2,1%; 1,9%; и 1,7% в России – 1,6%. [1. 108].

Особенно актуальна проблема финансирования науки и технологий в станах трансформированных экономики, и конечно для Грузии. Системный кризис, который начался в 1990-х годах и продалжается до сегодняшего дня, создал тяжелое состаяние в науке страны. Грузия, которая смела 1990-х годах собственный огромный

научно-технический потенциал, оказалас безсилоьной сохранять хотя бы ядро бывшего научного потенциала.

В 2004 году провительство страны осушествляло реформирование отросли, большинство НИИ Академии Наук Грузии передоваля всдуших университетах, которые, конечно, не смогли их сохранить и они перестали функционирование.

Что касяется отраследую науку, отраслевые научние учреждение вообше ликвидировали. Вузовская наука, которая сушествовала в вседущих университетах, и предспавляли как НИИ и НИЛ, тоже перестали функционировать.

На сегодняший день в Грузии нет научно-техническая государственная политика, не известно ведомство, которое будушем будет руководит развитие этой отрасли. не известно сколько финансовые ресурсы выделяет и выделяет ли воибше государство для этой цели.

По мировой практики фундаментальнаяч наука финансируется из госбюджета, для финансирование науки выделяется средство из государственных небюджетных фондов, из грантах, собственных средств НИИ, из банковских кредитов и т.е.

В последнее время создается серезные порлемы в Университетах Грузии. Функционирование университета подразуммвает проведение научно-исследовательских работ и одновреннно подготовыть высококвалифицированные професионилы для трудовой рынки страны, т.е. Университет должен превратится научно-образовательным центром.

Развитие университетской науки требует финансовых ресурсов, которые в этих организациях недостаточни, если вообше есть.

В Грузии дольжно иметь государственная научно-техническая политика. Финансирование фундаментальной и особенно университетской науки должно на себя взять государство. Это очень

важный и стратегический вопрос, от которого во многом зависит экономическое развитие страны и благосостояние ее населения.

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო პოტენციალი, საუნივერსიტეტო მეცნიერება, მეცნიერების დაფინანსება, ფუნდამენტური მეცნიერება.
ключевые слова: научный потенциал, университетская наука, финнсирование науки, фундаментальная наука.

ფისკალური დეცენტრალიზაციის საერთაშორისო და ქართული გამოცდილება
International and Georgian experience of fiscal decentralization

ნათია ახალკაცი –დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Natia Akhalkatsi - PhD student
Georgian Technical University

თეზისები: დეცენტრალიზაციის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ სუბსიდიარობის პრინციპი: სუბსიდიარობის პრინციპი არის გარანტია, რომ საჯარო პოლიტიკა ხელისუფლების ყველა დონეზე წარმატებული იქნება. სწორედ ამიტომ ეროვნული მთავრობები ახდენენ მომსახურების დიფერენციაციას, რის შედეგადაც იქმნება კონკურენცია, ხოლო კონტროლი კი ხორციელდება სახელმწიფო სააგენტოების მეშვეობით ან უშუალოდ მთავრობის მიერ.

დეცენტრალიზაცია სამ ძირითად კომპონენტს - პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ფისკალურ დეცენტრალიზაციას მოიცავს.

ისტორიულად საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ორი დონის გამოყოფა არის შესაძლებელი. ესენია: ადგილობრივი და შუალედური დონეები.

პატარა ქვეყნები, სეპარატიზმის აღმოცენების შიშით, გაურბიან ქვეყნის ფედერალურ მოწყობას, რადგან, როგორც წესი, მათ უფრო უჭირთ აღნიშნული პრობლემის დაძლევა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მრავალფეროვნება ერთ დონეზე (ე.წ. ასიმეტრიული ფედერალიზმი) დიდ სიძნელეებს ქმნის.

ევროპის დიდ ქვეყნებსა და აშშ-ში მმართველობის სამი დონე არსებობს (შტატი/მხარე, საგრაფო/რაიონი და მუნიციპალიტეტი). ეს გამოწვეულია მართვის მაღალი ეფექტურობის მიღწევის სურვილით.

მცირე (ჯუჯა სახელმწიფოები) ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის მხოლოდ ერთი (მუნიციპალური) დონე არსებობს.

ესა თუ ის მოდელი, რა თქმა უნდა გარკვეული სახეცვლილებებით, დღეისათვის დანერგილია ზოგ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში (ლიტვა, სომხეთი და სხვ.) და თითოეულს გააჩნია როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები.

Theses: he principle of subsidiarity may be the basis for decentralization: The principle of subsidiarity is a guarantee that public policy will be successful at all levels of government. That's why national governments have differentiated services, resulting in competition, and control is carried out through state agencies or directly by government. Decentralization consists of three main components - political, administrative and fiscal decentralization. Historically, two levels of administrative-territorial division are possible in Georgia. These are: local and intermediate levels. Little countries, fearing the emergence of separatism, are avoiding the federal arrangement of the country because they are more likely to vercome this problem. Due to the experiences of the Eastern European countries, the diversity of one level creates great difficulties. There are three levels of governance in major European countries and the United States (State / Party, County / District and Municipality). This is due to the high efficiency of management. There are only one (municipal) level of local self-government in small (dwarf states) countries. Some of the models of this kind are introduced in some post-Communist countries (Lithuania, Armenia, etc.) and each one has both strong and weak parties.

ამერიკის შეერთებული შტატების საპენსიო სისტემა
There are public and occupational pensions in the USA

დალი ხოხობაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
Dali Khokhobashvili
Candidate of Economic science

რეზიუმე: როგორ მუშაობს საპენსიო სისტემა შეერთებულ შტატებში და რა უნდა იცოდეს რიგითმა მოქალაქემ?

ურთულესი საპენსიო სისტემა შეერთებულ შტატებში სახელმწიფოსა და ვოლ-სტრიტის საინვესტიციო ბაზრის ერთ-ერთი ფინანსური დასაყრდენია.

შეერთებულ შტატებში ორგვარი საპენსიო სისტემა არსებობს:

1. სახელმწიფო პენსია (Public Pensions)
2. პროფესიონალური - კერძო პენსია (Occupational Pensions).

საპენსიო ფონდები წარმოადგენს დამოუკიდებელ ფონდებს რომლებიც დროებით განკარგავენ გადასახადის გადამხდელთა დაგროვილ თანხებს, და ასევე, უკეთებენ ორგანიზაციას პენსიის შეუფერხებელ განაწილებას.

სახელმწიფო პენსია. სახელმწიფო საპენსიო სისტემა (OASDI – Old-Age, Survivors, and Disability Insurance program) ფინანსდება გადაახადების გადამხდელთა მიერ, როგორც დამქირავებლების (ბიზნეს მფლობელების), ასევე დაქირავებულების (თანამშრომლების) მიერ სოციალური დაზღვევის გადასახადებით (social security taxes-84%); ასევე, მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის მიერ დამატებითი სოციალური გადასახადით (2%) და გაერთიანებული ნდობის ფონდების სარეზერვო თანხებით (დროებით თავისუფალი თანხები (accumulated trust funds reserves-14%).

დამქირავებული და დაქირავებული გამომუშავებული ხელფასის ერთნაირ პროცენტს იხდიან სახელმწიფო საპენსიო სისტემაში.

კანონიერი საპენსიო ასაკი აშშ-ში 65-დან 67 წლებს შორის მერყეობს.

პროფესიონალური-კერძო პენსია

პროფესიონალური - კერძო პენსიის (Occupational Pension) შეგროვება კერძო სექტორში ხდება. დამქირავებლების 43% კერძო სექტორში დღეს თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიონალურ საპენსიო ფონდს. ყველაზე პოპულარული საპენსიო ფონდი დღეს აშშ-ში არის 401(k) plan, რომელზეც ირიცხება თანხები ხელფასიდან დამქირავებლისა და დაქირავებულის მიერ. ის ნებაყოფლობითია.

გამომუშავებული თანხები იბეგრება, მაგრამ კერძო საპენსიო ფონდში ჩარიცხული თანხა არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით რაც ერთგვარი წახალისებაა დამქირავებელ-დაქირავებულისთვის. 2017 წელს მაქსიმუმი თანხა, რაც შეიძლება ჩარიცხულიყო ხელფასიდან გადასახადის გადაუხდელად- $ 18,000.00 იყო. გარდა 401(k) plan, ასევე არსებობს : 403(b) plans, 457 plans, Thrift Savings Plans, Employer-sponsored IRAs, A SIMPLE IRA plan, SEP IRA, აქედან ყველაზე პოპულარული და მარტივად გასაკეთებელია SEP (Simplified Employee Pension plans თვითდასაქმებულთა (ინდმეწარმეების) საპენსიო ფონდი), რომელიც ყველა თვითდასაქმებულს-ინდმეწარმეს შეუძლია დაარეგისტრიროს დაგარკვეული თანხის კერძო საპენსიო ფონდში გადარიცხვის საშუალებით მაღალი ფედერალური გადასახადები შეიმციროს. SEP IRA ფონდში ჩარიცხული მაქსიმუმი თანხა, რომელიც არ დაიბეგრება შეზღუდულია. ზღვრული მაქსიმალური თანხა სპეციალური ფორმულით განისაზღვრება და პირდაპირპოპორციულ დამოკიდებულია შემოსავალთან, ანუ, რაც მეტი არი გამომუშავებული თანხა, მით მეტის გადადება შეიძლებას საპენსიო ფონდისთვის. აშშ საპენსიო სტრუქტურა ნებას რთავს გადასახადის გადამხელებს ამ ზღვრულ რიცხვზე მეტი თანხაც შეიტანონ საპენსიო

ფონდში, მაგრამ მხოლოდ მასზე გადასახადის გადახდის შემდეგ. მაგალითად: თუ გადასახადის გადამხდელი (401K) საპენსიო ფონდში $25,000 ჩარიცხავს, ან თნხიდან იგი არ გადაიხდის გადასახადს მხოლოდ $ 18,000-ზე (მაქსიმუმი თანხა 2017 წლისთვის) და დანარჩენ $7,000- ზე გადაიხდის.

ასევე არანაკლებ პოპულარულია ტრადიციული ინდივიდუალური საპენსიო ფონდი Traditional IRA, რომელიც შეუძლიათ გააკეთონ W2-ზე მომუშავე ადამიანებმა (ოფიციალურად დაქირავებულმა და არა თვითდასაქმებულმა) და საგრძნობლად შეიმცირონ ფედერალური გადასახადები.

კერძო საპენსიო ფონდის თანხა ბანდდება საინვესტიციო ფონდებში და დროთა განმავობაში იზრდება. ფონდის მფლობელი უმატებს თანხას ყოველ ხელფასზე, ან ყოველწლიურად, და ასევე, თავისითაც ემატება, რადგან შეერთებული შტატების საინვესტიციო სისტემა ამ თანხებს სპეკულაციურ ოპერაციებში აბანდებს და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თამაშობს. არსებობს ორმხრივი ინტერესი იმისა, რომ თქვენ და ფონდის დროებითმა განმკარგველმა რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოთ. თუმცა, კერძო საპენსიო ფონდები რისკთანაც არის დაკავშირებული, რადგან საფონდო ბიჟაზე არ არის მუდამ ხელსაყრელი საინვესტიციო ამინდი. საპენსიო ფონდის შექმნა და სისტემატიურად თანხის ჩარიცხვა, ერთ-ერთი სწორი მეთოდია ოჯახების ფინანსური დაგეგმვის, ფინანსური უსაფთხოების გაზრდის და გადასახადების შემცირების.

Abstract: There are public and occupational pensions in the US. The American state pension system (OASDI) accumulates Social Security taxes paid by employer-employee (84%), additional taxes paid by upper-income individuals (2%), and interests earned on accumulated trust funds (14%).

Occupational pension is accumulated and offered in a privet industry mainly by the employers, but self-employed individuals can also establish and contribute income to the funds tax-free. Major occupational retirement

plans in the US are: 401(K), 403(b), 457, Thrift Savings plan, Employer sponsored IRAs, a simple IRA, and SEP IRAs.

Contribution to the pension plans is pre-tax up to certain limits. Retirement funds are invested by the actuaries in the stock market resulting in assets to grow. Investment activity involves risk of asset prices misalignments due to portfolio managers' behavior and market concentration.

საკვანძო სიტყვები: პენსია, საპენსიო ფონდი, დაგროვებითი პენსია, აშშ-ს საპენსიო სისტემა;
Key Words: Pension fund, accumulative pension fund, the US pension system;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. http://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/usa/122 გადამოწმებული 11.07.2018
2. https://www.dol.gov/general/topic/retirement/typesofplans გადამოწმებული 11.07.2018
3. https://www.internations.org/usa-expats/guide/29458-social-security-taxation/the-401k-pension-plan-16269 გადამოწმებული 11.07.2018

ტურიზმის სავარაუდო ნეგატიური გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე (საქართველოს მაგალითზე)

The alleged negative impact of tourism on the country's financial stability (on the example of Georgia)

ვალერი მოსიაშვილი - პროფესორი,
ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
მედეა ჭელიძე - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Valeri Mosiashvili - Professor,
Institute of Economic Research and Development
Medea Chelidze - Assoc. Professor,
Georgian Technical University

რეზიუმე: ტურიზმი არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სახედ (სახეობად, შემადგენელ ნაწილად).

სახელმსწიფოს ტურისტული პოლიტიკა - ეს არის სახელმწიფო ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების ერთობლიობა, ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე, რათა მიღწეული იქნას სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის დასახული მიზნების შენარჩუნება და განვითარება.

Abstract: It is a special function of PR management that exists because of the relationship between cooperation, company and society. Solve conflict situations, problems and manage complex processes. Study the public opinion and effectively change positions according to demand. Public Relations is an art to achieve harmony among human beings, which inevitably serves the truth. It is called an umbrella that covers not only companies, but social institutions, hospitals, state institutions, foundations, educational and religious organizations. There are many examples of mistakes and failures in political, economic and social life. The cause may be different, but it is possible to have something in common and it is

common with the community, groups, and consumers. PUBLIC RELATIONS is an important part of any system governing the public in connection with the public.

The first common national PR organization was created in the United States, Chicago in 1915 when seven bankers established financial advertising association and are still leading financiers with their active and cash-strapped PR. Since 1999, as a study discipline in the Georgian market, and from 2003 several specialized PR companies have appeared on the market. In recent years, PR units have been created as a structural unit and established in private companies and state structures, but development is needed and some progress is needed. All this is for the state, domestic and international donor organizations.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული პოლიტიკა, ტურისტული პროდუქტი, ტურისტული პოტენციალი, ტურიზმის ინდუსტრია, მულტიპლიკატორის ეფექტი;

Key Words: Travel Policy, Tourist product, Tourism potential, Tourism industry, The multiplier effect.

შესავალი: ტურიზმი არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სახედ (სახეობად, შემადგენელ ნაწილად).

სახელმსწიფოს ტურისტული პოლიტიკა - ეს არის სახელმწიფო ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების ერთობლიობა, ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე, რათა მიღწეული იქნას სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის დასახული მიზნების შენარჩუნება და განვითარება.

ძირითადი ტექსტი: ზოგადად ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიმართულებები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- მოგზაურთა უფლებების დაცვა;
- ტურისტული პროდუქტების ეროვნული მწარმოებლების ინტერესებთა დაცვა;
- შიდა და შემომავალი ტურიზმის სრული მხარდაჭერა, რომელმაც შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახე (რომელიც შეიძლება ამ სახით წარმოგვიდეგს):

ა) პირდაპირი ინვესტიციების გაცემა ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში;

ბ) ეროვნული ტურისტული პროდუქტის სამეცნიერო და სარეკლამო-საინფორმაციო მხარდაჭერა და ხელჭეწყობა მსოფლიო ბაზრაზე;

გ) საინვესტიციო ნაკადების საგადასახადო და საბაჟო შეღავათების განხორციელება.

სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა ეფუძნება სტრატეგიასა და ტაქტიკას:

ტურისტული სტრატეგია - მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს.

ტურისტული ტაქტიკა - კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად (მაგალითად "ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025"[8]).

---

8 http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs

კონცეფციის ძირითადი მიზანია თანამედროვე მაღალეფექტური და კონკურენტუანარიანი კომპლექსის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების ეფექტიან ტურისტულ მომსახურებას, და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. აღნიშნული მიზმის რეალიზაციისთვის (უზრუნველსაყოფად) ვფიქრობთ საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება (ტურიზმის ტაქტიკა), რომელთა შორის მნიშვნელოვანია: საერთაშორისო პრაქტიკასთან შესატყვისი ტურიზმის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა; პირდაპირი ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა შიდა და შემომავალი ტურიზმის განვითარებისთვის; ტურისტული საქმიანობის სერთიფიკაციისა და ლიცენზირების მკაცრი სისტემის დანერგვა და სხვ.



ნახ. 1 ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში[9]

9 http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ანვითარებს ტურიზმს, მიისწრაფვის, რომ მისგან მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა ნიშნავს, მიიღოს მოგება (ეკონომიკური ეფექტი) ტურიზმის ორგანიზაციისაგან სახელმწიფო მასშტაბით, რეგიონის მოსახლეობის მომსახურების მასშტაბით, ტურიზმის სფეროში დასაქმებული ფირმების მასშტაბით.

ტურიზიმი, როგორც მომსახურებით ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა მოვიხსენიოთ როგორც უჩინარი ექსპორტი, რომელსაც შეაქვს თავისი წილი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში.

პოზიტიურად უნდა იქნას მიჩნეული სიტუაცია, როდესაც ტურისტების მიერ ქვეყანაში ვალუტის შემოდინება აღემატება ქვეყნიდან ნაღდი ვალუტის გადინებას.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ (ფაქტობრივად მიმდინარე წლის მარტის დასაწყისამდე), საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი განიცდიდა დევალვაციას აშშ დოლარის და სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ, უცხოური ვალუტა იძენს მეტ მსყიდველობით უნარს. ეს შესაძლოა ზოგადად მოსახლეობაში იწვევს უკმაყოფილებას (გასაგები მიზეზების გამო: მსყიდველობითი უნარის დაცემა, ფიქსირებულშემოსავლიანი მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება, ეროვნულ ვალუტაში არსებული დანაზოგების კლება, ნეგატიური დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის მიმართ და სხვ), მაგრამ უნდა გახდეს უცხოელი ტურისტებისთვის სტიმულის მიმცემი, შედეგად გაზარდოს ტურისტული ნაკადების მოდინება (ტურიზმის ექსპორტი), რაც თავის თავად უნდა გახდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხელისშემწყობი ფაქტორი. როგორც ყველა ქვეყანაში ზოგადად, მათ შორის კონკრეტულად საქართველოში ტურიზმის ექსპორტის ზრდა პოზიტიურ გავლენას იქონიებს საგადასახდელო ბალანსზე, შეძლებს მზარდი უარყოფითი წმინდა ექსპორტის შემცირებას. მაგრამ უნდა ითქვას, მიმდინარე ეტაპზე

საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმი წარმოდგენილია მოკრძალებული ხვედრითი წილით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით მისი წილი მთლიან გამოშვებაში შეადგენს 7.3 პროცენტს, ნაცვლად 7.2 პროცენტისა 2016 წელს[10]).

1	**ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება** (მლნ. ლარი)			
2		2015	2016	2017*
3	სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	499,3	604,0	788,1
4	რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	1 051,2	1 130,5	1 222,3
5	სარკინიგზო ტრანსპორტი	134,0	103,6	97,0
6	სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	687,5	757,9	861,2
7	საჰაერო ტრანსპორტი	203,9	210,0	283,2
8	სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	931,2	920,7	985,5
9	**სულ, ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება**	3 507,1	3 726,8	4 237,4
10	**ქვეყნის პროდუქციის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში, (მლნ. ლარი)**	48 250,5	51 662,3	57 671,7
11	**ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (%)**	7,3	7,2	7,3
	* დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2018 წლის 15 ნოემბერს.			

ნახ. 2 ტურიზმის სფეროში მთლიანი გამოშვება[11]

ასევე უნდა ითქვას, რომ ეს სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ უფრო მეტად არგუმენტირებული და კონკრეტული დასკვნები ტურიზმის განვითარების შესახებ რეგიონალურ ჭრილში, რაც საშუალებას მოგვცემდა ანალიზი გაგვეკეთებინა რომელი რეგიონი და ტურიზმის რომელი სეგმენტი (სფერო) იძლევა მეტ შემოსავალს, შეასაბამისად, რომელი სფერო საჭიროებს მეტ დახმარებას. კვლევის პერიოდში სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ ოფიციალური ინფორმაცია თუ რა წილითაა წარმოდგენილი ამა თუ იმ რეგიონის მთლიან შემოსავლებში ტურიზმიდან შემოსავალი, რაც შეეხება ე.წ. ექსპერტულ შეფასებებს

10 http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

11 http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

და სტატისტიკა, არც თუ ისე იშვიათად მას ტენდენციური ხასიათი აქვს და ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ის თუ რა გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა ქვეყნის მშპ-ზე, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

მშპ= $ხ_{სამ}$ + ინ + $ს_{მთ}$ + (ექსპ + იმპ)

სადაც, $ხ_{სამ}$ არის სამომხმარებლო ხარჯი;

ინ - ინვესტიციები;

$ს_{მთ}$ - სამთავრობო დანახარჯი;

ექსპ - ექსპორტი;

იმპ - იმპორტი.

მოყვანილი ფორმულად კარგად ჩანს, რომ თუ იმპორტი აღემატება ექსპორტს, მაშინ ქვეყნის მშპ-ს ექნება ნაკლები მაჩვენებელი. ამიტომ საქართველოს ეკონომიკისთვის ხელსაყრელია მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ტურისტი ქვეყანაში, და დავაინტერესოთ ისინი დახარჯონ მეტი ფულადი რესურსი, ვიდრე ქვეყნიდან გასული ტურისტი (საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი) დახარჯავს საზღვარგარეთ მოგზაურობისას.

ტურიზმის პირდაპირი გავლენა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე და კონკრეტულად რეგიონზე - ეს არის ტურისტიდან შემოსავალი, რომელსაც იგი შეიძენს ქვეყანაში ტურიზტული პროდუქტის და მომსახურებისთვის. პირდაპირი გავლენა გაიგება, როგორც ტურისტების ფულადი შენატანი ტურისტული კომპანიის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურისტების დანახარჯები ზრდის ტურისტული რეგიონის შემოსავლებს, რომელიც თავის მხრივ ქმნის შემდეგ ჯაჭვს „ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე მთლიანი შემოსავლის გაანგარიშება ტურიზმიდან საკმაოდ რთულია,

კოდი	სექციის დასახელება	2018*		
		იანვარი-აპრილი	**I კვ.**	აპრილი
	იმპორტი - სულ	2 821 805,4	2 094 399,1	727 406,3
	მათ შორის:			
0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	305 673,5	222 008,9	83 664,6
1	სასმელები და თამბაქო	58 159,3	40 218,0	17 941,3
2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	185 707,5	128 352,0	57 355,5
3	მიწერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	460 556,2	367 139,0	93 417,2
4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	17 598,0	12 090,4	5 507,6
5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	301 679,3	221 946,8	79 732,6
6	სამრეწველო საქონელი (წაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	418 193,0	303 326,1	114 866,9
7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	745 633,3	541 321,5	204 311,8
8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	265 061,4	194 784,0	70 277,4
9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	63 543,8	63 212,4	331,4

* წინასწარი მონაცემები.

რამდენადაც აქ ასევე გასათვალისწინებელია არაპირდაპირ, ირიბი გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე.

ირიბი გავლენა („მულტიპლიკატორის ეფექტი“), გამოიხატება რეგიონში ტურიზმიდან შემოსული თანხების ცირკულაციაში. შემოსავლებიდან მულტიპლიკატორის ეფექტი შესაძლოა გამოვლინდეს სხავადსხვა კუთხით, მაგალითად რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (გადასახადები, მოსაკრებლები) გაიზრდება ტურიზმის სფეროში დასაქმებული

კომპანიების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხიდან, ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები (იქ დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი), შეიძენს მეტი რაოდენობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტსა და მომსახერებას, როგორც უცხოელი ტურისტების, ასევე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის და სხვ.

შემოსავლები ტურიზმიდან, ბევრად დიდი პოზიტიური შედეგის მომტანია იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული კომპანიები თავიანთი საქმიანობის განხორციელების პერიოდში შეიენენ ადგილობრივ (რეგიონალურ) პროდუქტსა და მომსახურებას. ამ პროდუქტისა და მომსახურების გამყიდველები, თავის მხრივ გასცემენ ხელფასს მის მიერ დაქირავებულ ადამიანებზე, რომლებიც

ნახ. 3. საქართველოს იმპორტი საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) სექციების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)[12]

ნახ. 3. საქართველოს იმპორტი ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)[13]

ასევე შემოსავალს ხარჯავენ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, წაახალისებენ ეკონომიკის სხვა სფეროს დარგებს. მაგრამ თუ დასაქმებული მათ მიერ გამომუშავებული ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს დახარჯავენ იმპორტირებული პროდუქციის შეძენაზე, მაში ჩვენს მიერ მოყვანილი ზემოთ ციკლი, ჯაჭვი („ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი“), იქნება მოკლე და საბოლოო ჯამში ადგილი ექნება რეგიონიდან, მთლიანობაში ქვეყნიდან ნაღდი ფულის გადინებას. პირდაპირი და ირიბი შემოსავლები კომბინაცია დიდ გავლენას ახდენს, როგორც კონკრეტული რეგიონის, ასევე მთელი

12 http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

13 http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

ქვეყნის ეკონომიკაზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმიდან შემოსული თანხების მთლიანი მოცულობა ვერ იქნება ათვისებული რეგიონში და ნაწილი გაედინება, მაგრამ სასურველია რაც სეიძლება ნაკლები ნაღდი ფულის გადინებას ქონდეს ადგილი. რა მეტი თანხა „დამაგრდება“ ადგულზე, შესაბამისად მეტი იქნება მულტიპლიკატორის ეფექტი.

ზემოთ აღნიშნულიდან შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ

კოდი	კატეგორიის დასახელება	2018*		
		იანვარი-აპრილი	**I კვ.**	აპრილი
	იმპორტი - სულ	**2 821 805,4**	**2 094 399,1**	**727 406,3**
	მათ შორის:			
1	საკვები პროდუქტები და სასმელები	**318 964,9**	**231 368,0**	87 596,9
2	სამრეწველო მარაგები სხვა ადგილას დაუსახელებელი	**732 730,0**	**523 875,6**	208 854,4
3	საწვავი და საცხები მასალები	**456 535,6**	**364 593,8**	91 941,8
4	კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო მოწყობილობებისა), მათი წაწილები და საკუთნოები	**459 401,3**	**327 084,4**	132 316,9
5	სატრანსპორტო მოწყობილობები, მათი წაწილები და საკუთნოები	**318 757,4**	**236 282,2**	82 475,2
6	სამომხმარებლო საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი	**472 030,2**	**348 106,1**	123 924,1
7	დაწარჩენი საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი	**63 386,0**	**63 089,0**	297,0

* წინასწარი მონაცემები.

იმისათვის რათა ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი (დადებითი ეფექტი) იყოს რეალური და ტურისტების რაოდენობრივი ზრდა არა მარტო სტატისტიკურ მაჩვენებლებს „ალამაზებდეს“, არამედ აისახოს რელურ ეკონომიკაზე, ვფიქრობთ აუცილებელია საქართველოში ჩამოსულ (არც თუ ისე მცირე რაოდენობის) ტურისტებსა და ვიზიტორებს შევთავაზოთ ადგილობრივი წარმოების (რეგინში რეგიონალური და ზოგადად ქვეყანაში წარმოებული), პროდუქტი, დავაინტერესოთ („ვაიძულოთ“) მისი შეძენით, რადგამ მხოლოდ მომსახურებიდან შემუსულ თანხას არ აქვს (ვერც ექნება) დიდი ეფექტი (განსაკუთრებით მულტიპლიკატორის ეფექტი დაბალია). რამდენადაც ტურისტის მიერ გაწეულ დანახარჯებში, ექსპერტული შეფასებით საკმაოდ დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა დანახარჯი კვების პროდუქტებზე, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ

ტურისტების მიერ შეძენილი (მოხმარებული) კვების პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობა იყოს სამამულო წარმოების, გამოვა, რომ ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილით წავახალისებთ არა ქართულ წარმოებას, არამედ იმ ქვეყნებისას საიდანაც ვეწევით კვების პროდუქტების იმპორტს. სამწუხაროა რომ კვების პროდუქტების იმპორტი საკმაოდ შთამბეჭდავია და დიდი მასშტაბს აღწევს (ნახ. 3. და ნახ. 4.), შედეგად დიდია თანხების გადინება („გაჟონვა“) ქვეყნიდან, მაშინ როცა შესაძლებელია ტურიზმის ინდუსტრიით მიღებული პირდაპირი და ირიბი ეფექტი კომბინაციაში იყოს უფრო დიდი, მეტი შედეგის მომტანი, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე კონკრეტული რეგიონისთვის.

დასკვნა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ ტურიზმი არსებით გავლენას, როგორც ზოგადად ქვეყნის, ასევე კონკრეტულად მისი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად.სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა თავის მხრივ ეფუძნება ტურისტულ სტრატეგიასა (მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს) და ტაქტიკას (კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად).

ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს, მაგრამ ის არ არის პანაცეა და შესაძლოა თან ახლდეს ეკონომიკური და სხვა სახის მანკიერებები.

ტურიზმის განვითარების უპირატესობას ქვეყნისთვის და მისი რეგიონისთვის მიეკუთვნება:

- რეგიონში ფულადი ნაკადის;
- ეროვნული შემოსავლის ზრდა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის რეფორმირება, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც ტურისტების ესე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ;
- კაპიტალის, მათ შორის უცხოურის ზრდა;
- მოცემული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა.

ტურიზმის განვითარების ნეგატიური გავლენა შესაძლოა მდგომარეიობდეს იმაში, რომ ტურიზმის განვითარება:

- გამოიწვევს ფასების ზრდას ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე, სხვა ბუნებრივ რესურსებსა და უძრავ ქონებაზე;
- ხელს შეუწყობს ნაღდი ფულის გადინებას საზღვარგარეთ ტურიზმის იმპორტის შემთხვევაში;
- იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს და შესაძლოა ზიანი მიაყენოს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs გადამოწმებული იქნა 20.05.2018.
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.
3. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 20.05.2018.
4. http://tourlib.net/books_tourism/kvartalnov_tourism10.htm გადამოწმებული იქნა 20.05.2018.

ქალის როლი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში

ნანა პარინოსი - დოქტორანტი, მოწვეული პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nana Parinos – PhD student, Invited Professor,
Tbilisi State University

რეზიუმე: საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა არ ხდება, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, სადაც სამხედრო სამსახური აუცილებლობას წარმოადგენს. ქალებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ სამშობლოს დაცვა მამაკაცებზე ნაკლებად არ შეუძლიათ. სურვილი იმსახურო სამხედრო სამსახურში არ არის დამოკიდებული სქესზე, არამედ მონდომებაზე და უნარებზე, რომელსაც იქ მყოფი ადამიანი უნდა ფლობდეს. ბევრ ადამიანს გაუჩნდება კითხვა, შესწევს თუ არა ქალს ფიზიკურად იმ დავალებების შესრულების შესაძლებლობა, რასაც მას სამხედრო სამსახურში დააკისრებენ? შეუძლია თუ არა ქალს მამაკაცებთან ერთნაირ პირობებში ცხოვრება და რამდენად მიზანშეწონილია მსგავსი ტიპის კარიერული თავგანწირვა?

კვლევამ გვაჩვენა, რომ ქალის ჩართულობამ მსგავს საქმიანობაში ამ ორი ქვეყნისათვის დადებითი შედეგი მოიტანა და მსგავსი ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. კვლევის მეთოდოლოგია: ქეის სთადი, კონტენტ-ანალიზი, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა.

Abstract: Unlike other countries, there is no mandatory military service for women in Georgia and the United States. It has been long time since women made it clear they were able to defend their country as good as men do. Willingness to serve in military service does not depend on sex but on desire being productive and helpful and abilities and skills a person has to have. The question is bringing up around: is a woman able to live with men in the same conditions; is she able to implement the same task as men do; is she physically and mentally strong enough to carry out the job she would be responsible for; is that reasonable; is such a career sacrifice worth pursuing?

The research focused on that specific issue showed that women involvement in war has a positive and specific impact and this kind of tendency must go on. Research methodology: case study, content-amylases, quantitative and qualitative research.

საკვანძო სიტყვები: ქალი, სამხედრო სამსახური, ცხელი წერტილები, შეიარაღებული ძლები;

Key Words: woman, military service, combat, armed forces.

შესავალი: საზოგადოების აზრი ორ ნაწილად იყოფა, როდესაც ვსაუბრობთ ქალებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი იმსახურონ შეიაღებულ ძალებში ან თავი გამოიჩინონ ბრძოლის ველზე. მამაკაცების დიდ ნაწილს ვერ წარმოუდგენია ძველი ტრადიციული პატრიარქალური სისტემის რღვევა, რომელიც ქალს მოაიზრებდა სახლში დიასახლისად და შვილების აღმზრდელად, ხოლო მამაკაცს ოჯახის მარჩენლად. ეს სისტემა სახეშეცვლილი ფორმით გვევლინება, ხოლო სისტემის შეცვლა განაპირობა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა.

ჩნდება კითხვა რატომ უჭირს მსოფლიოს ქალისა და კაცის თანასწორობის აღიარება? რატომ ვერ იხდენს ქალი "ხაკისფერ უნიფორმას"[1]? ან იქნებ იხდენს კიდეც, ან იქნებ ამ სფეროშიც, როგორც ბევრ სხვა სფეროში, დისკრიმინაცია კონკურენციის შიშითაა გამოწვეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის პრობლემაცაა, ისეთი ქვეყნის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ ქალს ნება დართეს საბრძოლო ხაზზეც წარმოეჩინა თავი. ამასთან, სიტყვების „ქალი" და „სამხედრო სამსახური" ერთად მოაზრება არ წარმოადგენს მეოცე ან ოცდამეერთე საუკუნის სიახლეს. ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო.

დღევანდელი კანონმდებლობით არსებობს ორი ტიპის სამხედრო სამსახური, სავალდებულო და საკონტრაქტო. სავალდებულო სამსახურისაგან ქალები თავისუფლდებიან, საკონტრაქტოს რაც შეეხება, ქალებს უფლება აქვთ, სურვილის შემთხვევაში იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში. ანუ, უფლება და არა ვალდებულება. სანამ გადავალთ უშუალოდ კვლევის ობიექტზე, შევეცადეთ მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით გაგვეკეთებინა ქალების შეიარაღებულ ძალებში სამსახურის ზოგადი მიმოხილვა.

ქალის ყოფნას ბრძოლის ველზე სხვადასხვაგვარი დატვირთვა ჰქონდა. პლატონი ამტკიცებდა, რომ ქალები ბრძოლის ველზე

მეომარი-კაცების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის როლის შესასრულებლად შეუცვლელები იყვნენ: მათ თვალწინ კაცები უკან ვერ იხევდნენ და აცდილობდნენ დაემალათ შიში. შესაბამისად, იგი ასკვნიდა, რომ ქალისა და მამაკაცის ერთად სამხედრო სამსახური არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც კი იყო .

უამრავი მაგალითი არსებობს ქალთა სამხედრო სამსახურში მსახურისა, ისტორია კი მათ სახელებს არ ივიწყებს. თუმცა, ე.წ „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებმა ვერ მოიგერიეს მსოფლიო აზრი იმის თაობაზე, რომ ქალი არ უნდა იყოს მსგავს პოზიციებზე, იგი არ მოიაზრება სამშბოლოს დამცველად, ვერც იარაღით ხელში მოიაზრება. თანამედროვე მსოფლიოში მიდის დავა იმაზე, თუ სადაა წყალგამყოფი ქალისა და მამაკაცის დასაქმების სფეროებს შორის, დავა იმაზე, თუ რაოდენ შრომისუნარიანია ქალი ნებისმიერ პოზიციაზე, რამდენად კომპეტენტურია. ოდითგანვე ჩამოყალიბებული სტერეოტიპის თანახმად, ქალს ვერ მოიაზრებდნენ არა თუ საპასუხისმგებლო პოზიცუიებზე, არამედ მას საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტასაც და მათ განხილვასაც ვერ ანდობდნენ.

ლეგენდად ქცეული ცნობილი ფენიმისტი მწერალი, ჟორჟ სანდი, რომელიც მამაკაცის სახელითა და გვარით აქვეყნებდა რომანებს, სინამდვილეში ქალბატონი იყო, სახელად ავრორა დიუპენი. მისი შემოქმედება ძირითადად ეძღვნება ქალებს, მათ პრობლემებს, ურთიერთობებს. სანდი არასოდეს ერიდებოდა თავის წიგნებში ღიად განეხილა იმ პერიოდის ტაბუდადებული თემები. ამიტომ მისი ყოველი რომანის გამოსვლას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია . „გაზეთებმა ხოტბა შეასხეს ვინმე ბატონ სანდს და ამასთანავე, ოსტატურად შეაპარეს მკითველს, რომ „ინდიანას“ შექმნაში სუსტი სქესიც ჩაერია, რათა ავტორისათვის უკეთ გაენდო ქალის გულის საიდუმლობები (...), თუმცა, ყველანი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ, რომანის სტილი, მსჯელობის ყაიდა და საზოგადოების ბალზაკისეული, სიღრმისეული კრიტიკა მამაკაცური

სიძლიერითა და შეუვალი ლოგიკით გამოირჩევა ამიტომაც, შეუძლებელია, ეს რომანი ქალს დაეწერაო“

თუკი ქალისაგან მსგავს საკითხებზე საუბარიც კი არ აღიქმებოდა სერიოზულად, მასებისათვის წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა ემსახურა ქალს სამხედრო სამსახურში და აბსოლუტარად „არაქალური“ საქმეები ეკეთებინა. თუმცა, ეს ყოველიცე ხდება მე-19 საუკუნეში, შეხედულება ამ საკითხისადმი არსებითად არ შეცვლილა.

სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულება ქალისა, მისი მოვალეობებისა და უნარებისადმი სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, ყველა ქავეყანს თავის ტრადიციაბზე, კულტურაზე და პოლიტიკურ ვითარებაზე მორგებული წესი და კანონი აქვს.

ძირითადი ტექსტი: სამხრეებიანი ქალი აშშ-სა და საქართველოში. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე კვლევა გადაინაცვლებს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ჩანაწერებში და წარმოგვიდგენს, თუ საიდან დაიწყო ყველაფერი. ყველაფერი კი 1775 წლიდან დაიწყო. სამხედრო სამსახურში ქალები შეუცვლელნი იყვნენ. ისინი უვლიდნენ დაჭრილებს, უმზადებდნენ საკვებს და ა.შ. მოგვიანებით ამ ყველაფერმა არსებობა სახეშეცვლილი ფორმით განაგრძო. ქალებმა იმდენად დიდი როლი შეასრულეს ამერიკის არსებობის ისტორიაში, რომ მათ თავგანწირვამ და მსხვეპლმა ყოველგვარი გენდერული ბარიერი გაარღვია[14].

ქალების გააქტიურებას შეიარაღებულ ძალებში სათავე ამერიკის შეერთებული შტატების პერლ ჰარბორზე თავდასხმამ დაუდო. გენერალი ჯორჯ მარშალი თვლიდა, რომ მამაკაცების წვრთნაში მონაწილეობასთან ერთად უნდა მომხდარიყო ათასობით ქალის

---

14 Women In Uniform, http://www.encyclopedia.com/topic/Women_in_Military_Service.aspx, , 20/03/2018

ჩართულობა. მან ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში კანონის გატანას შეუწყო ხელი, სადაც ითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების შეაიარაღებულ ძალებთან არსებულ ქალთა დამხმარე საბრძოლო ქვედანაყოფის შექმნას - Women's Army Auxilary Corps (WAAC). ინიციატივა, რომელიც მასაჩუსეტსის წარმომადგენელმა ედით ნორს როჯერსმა გაიტანა განსახილველად, კანონად 1942 წლის 5 მაისს იქცა. აღნიშნულ კანონოს მხარს უჭერდა ელეონორა რუზველტიც[15].

მიღებული კანონი მეტად განსხვავებულ პირობებს შეიცავდა. WAAC- არ იყო რეგულარული არმია და შესაბამისად ქალებს არ ჰქონდათ ის პრიორიტეტები, რაც კაცებს. ეს იყო დროებითი დამხმარე ქვედანაყოფი, რომელსაც ჰქონდა დიდი პასუხიმგებლობა, მაგრამ მცირე უპირატესობა. მაგალითად, მათ მოვალეობაში შედიოდა შტაბის საკვებით მომარაგება, უნიფორმების დარიგება, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, თუმცა ამავდროულად, მათი ხელფასი გაცილებით დაბალი იყო, კანონი მათ ქვეყნის საზღვრებს მიღმა არ იცავდა, ხოლო ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში მას არ გაეწეოდა ის დახმარება, რასაც ითვალისწინებდა „მეომრის ტყვედ ჩავარდნა", რაც მამაკაცების შემთხვევაში გარანტირებული იყო. ამის მიუხედავად, ქალები მაინც იწყებდნენ WAAC (ქალთა დამხმარე ქვედანაყოფი) სამსახურს[16].

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შეიარაღებულ ძალებში სამსახური არა მხოლოდ თეთრკანიანი ქალებისათის იყო

---

15 Wood, J.,A History of Women in the U.S. Military, http://www.infoplease.com/us/military/women-history.html, 20/03/2018/

16 Wood, J.,A History of Women in the U.S. Military, http://www.infoplease.com/us/military/women-history.html 20/03/2018

ნებადართული, არამედ ფერადკანიანებისათვისაც, თუმცა ყველანაირი სოციალური აქტივობა მკაცრად სეგრეგირებული იყო.

იმისათვის, რომ კვლევას მივცეთ სიღრმისეული ხასიათი, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მოვიყვანოთ ამერიკის შეერთბული შტატების შეიაღებული ძალების რეზერვის ოფიცრის ლაიზა ჯეისტერის ამონარიდი ინტერვიუდან. ჯეისტერი მესამე ქალია, ვინც დაამთავრა „შეირაღებული ძალების შერჩეულ რეინჯერთა სკოლა“. ლაიზა იმყოფებოდა მიშელ ობამას მიერ მიწვეულ ბანკეტზე 23 ადამიანთა შორის, რომლებიც ესრწრებოდნენ ბარაკ ობამას კონგრესისადმი მიმართვას (ეს იყო კონგრესისადმი 44-ე პრეზიდენტის ბოლო მიმართვა). ლაიზა ყვება, რომ მოწოდებით ყოველთვის რეინჯერი იყო,- ის გამუდმებით ვარჯიშობდა, ხოლო სკოლაში, როგორც საგანი აირჩია „ვეითლიფტინგი“, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე წონასთან გამკლავებას. ის თვლის, რომ ის გაცილებით ადრე იყო მომზადებული რეინჯერთა სკოლისათვის, ვიდრე ეგ თავად მოუვიდა აზრად[17].

ანალოგიური მაგალითი მოვიყვანოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების კაპიტანი, ქეთი თევზაძის რადიო „თავისუფლება“-სთვის მიცემული ინტერვიუდან, სადაც როგორც ის აცხადებს, მას აფერხებდა არა ის ფიზიკური სირთულე, რომელიც უნდა დაეძლია, არამედ მისდამი ტრადიციულად მოაზროვნე მამაკაცების დამოკიდებულება. ქეთი თევზაძე პირველი ქართველი ქალი-სამხედროა, რომელმაც 2004 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სპეცდანიშნულების სკოლის „კომანდოსი“-სა და საპარაშუტო მომზადების კურსი გაიარა და შემდეგ ჯერ ერაყში იმყოფებოდა სამშვიდობო მისიით, შემდეგ კი, თავის თანამებრძოლებთან ერთად, სამხედრო დავალებას ასრულებდა 2008

17 Women In Uniform, http://www.encyclopedia.com/topic/Women_in_Military_Service.aspx,, 20/04/2018

წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ქეთი თევზაძისაგან განსხვავებით, ლაიზა არ იმყოფება სამხედრო ქალებისადმი რადიკალურად განწყობილ მამაკაცთა შორის. მისმა მეუღლემ, რომელიც საზღვაო ფლოტში მსახურობს, მას დიდი მოტივაცია მისცა, სიტყვებით: „ შენ ამისთვის ხარ შექმნილი, ლაიზა“[18]. საკმოდ საინტერესოა ლაიზას ინტერვიუდან ამონარიდი: „მე დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი საკუთარ ძალებს სხვა შენაერთებში, იმაზე უფრო მოწინავე შენაერთებში, ვიდრე დასაშვებია“.[19] კაპრალი ინგა მამალაძის ქმარი სამოქალაქო პირია, მათ ერთი წლის წინ იქორწინეს და ახლა 6 თვის შვილი ჰყავთ. ორსულობის პერიოდში კაპრალი მამალაძე შვებულებაში არ გასულა, თუმცა ამბობს, რომ შეღავათებით სარგებლობდა და არ გასჭირვებია[20] .

ნატო კობალაძის ქმარი ყოფილი სამხედროა, მათი უფროსი შვილი 10 წლისაა, უმცროსი კი – 7 თვის. “ჩემს ბიჭს ძალიან ეამაყება, რომ ჯარისკაცი დედა ჰყავს, ხშირად ახსენებს ხოლმე სკოლაშიც. უნდა, რომ სამსახურშიც წამომყვეს, რომ დავათვალიერებინო იქაურობა, ნახოს ჯარისკაცების ცხოვრება[21]. მაგრამ ჯარისკაც ქალების მამაკაცებთან ერთად საწვრთნელ პროგრამაში მონაწილეობას უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემა უკავშირდება. ეს ნიშნავს, რომ სამხედრო ხელმძღვანელობამ ცალკე საცხოვრებელი ყაზარმა, ცალკე საპირფარეშო და ცალკე საშხაპე უნდა ააშენოს ქალებისათვის. ასეთ ხარჯებს კი არც ერთი სამხედრო უწყება არ გაიღებს ძვირად ღირებულ სამხედრო პროგრამაში მხოლოდ ერთი ან

---

18 Women In Uniform, http://www.encyclopedia.com/topic/Women_in_Military_Service.aspx, 20/04/2018

19 Women In Uniform, http://www.encyclopedia.com/topic/Women_in_Military_Service.aspx, 20/04/2018

20 „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“, http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOfo3.dpb, 16.03.2018

21 „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“, http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOfo3.dpb, 16.03.2018

ორი სუსტი სქესის სამხედო მოსამსახურის მისაღებად. ქეთი თევზაძე ამბობს, რომ მას თავის დროზე არ დაუყენებია ასეთი მოთხოვნა და ორი შვილის დედა, თავად კაცებთან ერთად ცხოვრობდა ყაზარმაში და ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც მამაკაცების საპირფარეშოთი სარგებლობდა: კაპიტანი ქეთი თევზაძე აღიარებს, რომ ყველაზე ძლიერი ქალიც კი, მამაკაცთან შედარებით, ფიზიკურად რაღაცნაირად სუსტია, მაგრამ ქალში არის ძალიან დიდი მოტივაცია, როდესაც ამ ნაბიჯს დგამს და არის ასევე დედობრივი ინსტინქტი, რომ თავისი შვილი დაიცვას, თავის გვერდზე მყოფი დაიცვას[22]. ქეთი თევზაძე თვლის, რომ ეს არის საკმარისი მოტივაცია იმისათვის, რომ ქალიც წავიდეს ფრონტის წინა ხაზზე და იგივე გააკეთოს, რასაც დღეს მამაკაცები აკეთებენ.

საინჟინრო ბრიგადის კაპრალი, 30 წლის ინგა მამალაძეს თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ბრიგადის J1-ის სპეციალისტის თანამდებობა უკავია. მას ძირითადად საქმისწარმოება ევალება. ინგა შავი ქამრის მფლობელია კარატეში.

იგი ამბობს, რომ ამ ე.წ. "არაქალური სპორტის" სიყვარულის გამო როცა 2008 წელს ჯარში წასვლის სურვილი გამოთქვა. "არავის გაკვირვებია ჩემი გადაწყვეტილება, არც დაუშლიათ, იმიტომ, რომ იქამდეც "ნაკლებადქალურ" საქმეში ვიყავი. როცა პირველად ჯარში მიღება დაიწყო ხელვაჩაურში, მეც ვცადე, მივედი და გამიმართლა. გასაუბრების შედეგად დამტოვეს. ასე დავიწყე მუშაობა ჯარში"[23].

---

22 ლიკლიკაძე, კ., ქეთი თევზაძე: „მდედრობითი სქესის სამხედროები არავისზე ნაკლებნი არ ვართ",http://www.radiotavisupleba.ge/content/weekly-military-program-keti- tevzadze/24885010.html, 10/03/2018

23 ლიკლიკაძე, კ., ქეთი თევზაძე: „მდედრობითი სქესის სამხედროები არავისზე ნაკლებნი არ ვართ",http://www.radiotavisupleba.ge/content/weekly-military, 10/03/2018

ინგა ამბობს, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ქალის ჯარში წასვლა უკვირს, მცდარი წარმოდგენა აქვს ქალის ფიზიკურ შესაძლებლობებზე. "ფიქრობენ, რომ ქალი ჯარში ვერ გაუძლებს ისეთივე დატვირთვას, როგორსაც მამაკაცი უძლებს. საქმე ისაა, რომ, რაც ძალიან გინდა, ყოველთვის გააკეთებ, ჯარი იქნება ეს თუ სხვა რამ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯარში არ არის ისეთი დატვირთვა, რომ ადამიანმა, კაცი იქნება ის თუ ქალი – ვერ გაუძლოს. კი, შესაძლოა რთული იყოს იმ მხრივ, რომ ცოტა უხეში საქმეა სხვა პროფესიებთან შედარებით, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის. იგნა აღნიშნავს, რომ ჯარში მომუშავე ქალები ამბობენ, რომ ოჯახსა და სამსახურს შორის დროის გადანაწილება არ უჭირთ და დედობასაც თავისუფლად ართმევენ თავს[24]. საინტერესოა, რომ კაპრალი მამალაძე აღნიშნავს, რომ ადრინდელთან შედარებით საზოგადოება დღეს მაინც ნაკლებად სტერეოტიპულია ქალი სამხედროების მიმართ. ამონარიდი ინტერვიუდან: "ადრე, როცა კარატეზე დავდიოდი, ხშირად მეხუმრებოდნენ: `ვა, კარატისტი, თან შავი ქამარი? ვაი, შენ ვის ოჯახშიც შეხვალ…", თუმცა ეს აგრესიულად მაინც არ განმაწყობდა. ადრე უფრო მძაფრად იყო განწყობა, რა უნდა ქალს პოლიციაში, ჯარში… ვფიქრობ, ნელ-ნელა საზოგადოება ეგუება იმ აზრს, რომ ქალი არ არის "სუსტი სქესი", ახლა ბევრი სიამაყითაც გვიყურებს და ეს ძალიან სასიამოვნოა", – ამბობს ინგა.[25]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ-ს ჰყავს ქალები, რომელთაც საუკეთესო მხრიდან გამოიჩინეს თავი და დიდი სარგებელიც მოუტანეს ქვეყანას: მაიორი ლორენ ედვარცი, ქალი, რომელიც 150

---

24 „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში", http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOfo3.dpb, 16.05.2018

25 „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში", http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zgNWOfo3.dpb, 16.05.2018

ჯარისკაცს და 7 ტანკს მიუყვებოდა წინ თავდაცვითი ოპერაციების დროს ერაყში შესვლისას, რისთვისაც ჯილდოც მიიღო სიმამაცისათვის, სნაიპერი, სერჟანტი შერი გალაჰერი, იმისათვის, რომ გამხდარიყი წლის ჯარისკაცი, დაამარცხა 11 მონაწილე. გალაჰერი გრძელვადიან ოპერაციებში ღებულობს მონაწილეობას და ცნობილია, როგორც უმაღლესი კლასის სნაიპერი. სერჟანტი ენ ჰესტერი, ქალბატონი, რომელმაც ერაყში მტრის რამდენიმე ბანაკი გაანადგურა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰესტერი პირველი ქალია, ვინც ვერცხლის ვარსკვლავი მოიპოვა, რომელიც მესამე ხარისხის ორდენს წარმოადგენს[26].

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი მიშელ ობამა ვეტერანთა დღეს შეხვდა სამხედრო ქალბატონებს. შეხვედრის მთავარი ლოზუნგი იყო ის, რომ „ვეტერანთა დღე“ არა მხოლოდ მამაკაცებისათვისაა, არამედ ქალებისათვისაც. მან პატივისცემით მიმართა ქალბატონებს და ისინი „პირველებად“ და „ერთად-ერთებად“ მოიხსენია. პირველმა ლედიმ განსაკუთრებით გამოყო ენ დენვუდი - პირველი ოთხვარსკვლავიანი ქალი და აფრო-ამერიკელი ქალბატონი, რომელიც პირველი უმაღლესი რანგის ოფიცერი გახდა. პირველმა ლედიმ ისაუბრა სამხედრო ქალის ღვაწლზე, დიდ შრომაზე, რომელიც ამ საქმეში იდება, მადლობა გადაუხადა მათი ოჯახის წევრებს, შვილებეს, მშობლესა და პარტნიორებს მათი მხარში დგომისათვის და გამხნევებისათვის[27].

პირველი ლედის სიტყვები მესიჯია პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და შემდგომ დანარჩენი

---

26 Grant, A., Top 10 Women Who Changed the Face of the Military, https://www.toptenz.net/top-10-women-who-changed-the-face-of-the-military., 06/07/2018

27 Veazie, T., First Lady Michelle Obama Honors 14 Women Veterans as Champions of Change, https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2013/03/21/first-lady-michelle-obama-honors-14-women-veterans-champions-change, 04/07/2018

მსოფლიოსათვის, პირველი: ქალი, ისეთივე თანასწორუფლებიანია, როგორც მამაკაცი და მისი ღვაწლი ისევე ფასდება, როგორც ძლიერი სქესის წარმომადგნელების, მეორე: სამხედრო ქალის განუმეორებელი მიღწევები ქვეყნის სასარგელოდ და მოწოდება იმ ოჯახის წევრებისა და ახლობლების მისამართით ვისი ოჯახის წევრებიც სამხედრო ქალები არიან, ხოლო მესამე მდგომარეობს ახალგაზრდა გოგონების მოტივაციის ამაღლებაში, რომლებსაც მიშელ ობამა მკაფიოდ ეუბნება, რომ ქალისთვისაც შეუძლებელი არაფერია.

ასევე, სანტერესოა, ვახტანგ კაპანაძის სტატია სახელწოდებით "ხაკისფერი ლედი", სადაც ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას ქალის შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან დაკავშირებით: „მამაკაცს შეუძლია კვირაობით მუხლებამდე წყლიან სანგარში იჯდეს და ბრძოლისუნარიანობა შეინარჩუნოს, მაშინ, როცა ქალი რამოდენიმე დღის შემდეგ სერიოზულად სამკურნალო გახდება. შერეულ ქვედანაყოფებში გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საბრძოლო მარაგი და დატვირთვა განისაზღვრება მთელ დანაყოფზე ამოცანის და არა სქესის მიხედვით. თუკი ქალი ვერ შეძლებს გარკვეული ტვირთის ტარებას ან ამოცანის შესრულებას, ის უნდა გადანაწილდეს სხვა მებრძოლებზე, რაც შესაბამისად მათ გადაჭარბებულ გადაღლას და ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს" მდგრადია ხანგრძლივი, ქრონიკული სტრესების მიმართ, უფრო ადვილად ეჩვევა გაჭირვებას, მწუხარებას[28].

ამავდროულად, კაპანაძე ეთანხმება ბრიტანელი ფელდმარშალის მონტგომერის სიტყვებს: "ვერც ერთი სანიტარი მამაკაცი ვერ შეძლებს მოუაროს დაჭრილსა და ავადმყოფს ისე, როგორც ამას ქალი გააკეთებს", ამიტომ ის დაჭრილების სიცოცხლის გადარჩენის ერთ-

---

28 კაპანაძე.ვ, ქალი და სამხედრო სამსახური, http://presa.ge/new/?m=militar 16.05.2018

ერთ მთავარ პირობად თვლიდა ქალი- სანიტრების მოწინავე ხაზზე ყოლას“[29].

რაც შეეხებათ ქალების სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს, ბრიტანელი სამხედრო ექიმების კვლევების მიხედვით 1998 წელს, მაშინ როდესაც ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში ქალებისთვის შემუშავებული იყო წვრთნების უფრო მსუბუქი კურსი, ისინი მამაკაცებზე 3-ჯერ უფრო ხშირად იღებდნენ სხვადასხვა ტიპის ტრამვებს. მას შემდეგ, რაც 1999-2000 წლებში სამხედრო სამსახური სრულიად თანაბარი გახდა და დატვირთვა გათანაბრდა, ქალთა ტრავმატიზმმა 6-ჯერ გადააჭარბა მამაკაცებისას. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ქალთა ჯანმრთელობაზე უარყოფითად არა მარტო ვარჯიშები, არამედ თავად სამხედრო ცხოვრების წესიც მოქმედებს. ასე მაგალითად, მწყობრში ქალებს უხდებათ მამაკაცების ნაბიჯებს აუწყონ ფეხი, რაც ნაბიჯის სიგრძის და ამპლიტუდის გაზრდას მოითხოვს, შედეგად, უვითარდებათ ფეხის კუნთების დაჭიმულობა და ტკივილები ზურგის არეში. იმის გამო, რომ მამაკაცთა და ქალთა კუნთოვანი მასა მნიშვნელოვნად განსხვავდება, თანაც ქალთა ზედა კუნთები 20-30 %-ით უფრო სუსტია ქვედაზე, სალაშქრო აღჭურვილობა, შეიარაღება და ამუნიცია, რომელიც მამაკაცისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ქალის კუნთებისთვის დამატებითი ტვირთია[30].

ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობთ იმაზე, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლები ვერ ეგუებიან მდედრობითი სქესის მათთან გათანაბრებულ სფეროებში დასაქმებას. როგორც ყველა წესს, გამონაკლისი ამ საკითხსაც მოეძებნა, რადგან არსებობენ „ძლიერი“ სქესის წარმომადგენლები, რომლებიც არ ეთანხმებიან, მეტიც, უსამართლობათაც კი მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ სამხედრო

29 კაპანაძე.ვ, ქალი და სამხედრო სამსახური, http://presa.ge/new/?m=militar 16.05.2018
30 კაპანაძე.ვ, ქალი და სამხედრო სამსახური, http://presa.ge/new/?m=military 16.05.2018

სავალდებულო სამსახური სავალდებულო მხოლოდ მამაკაცებისთვისაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განხილვაში მიიღო საქმე - "საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მხოლოდ მამაკაცების გაწვევას დისკრიმინაციულად მიიჩნევს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომელიც სქესის ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს[31].

იქიდან გამომდინარე, რომ გადაწყვეტილება კონფიდენციალურია და გასაჯაროებას არ ექვემდებარება, მისი მოპოვება მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ. თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა და საქართველოს სამხედრო სავალდებულო სამსახური ქალებისათვის კვლავ ნებაყოფლობითი დასაქმების სფეროდაა მიჩნეული. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ინტერვიუ გაზეთ „ალიასთან“ საკმაოდ საინტერესო და ნიშანდობლივია. ჟურნალისტის მიერ დასმაულ კითხვაზე თუ **საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, რომ ქალებისთვის ჯარში გაწვევა გახდეს სავალდებულო, შეიცვლება თუ არა კანონები, სესიაშვილი შემდეგნაირად პასუხობს:** “ამ შემთხვევაში გარკვეული უთანასწორობა წარმოიშვება. დღევანდელი კანონმდებლობით წვევამდელს თუ ჰყავს ერთი შვილი ორ წლამდე, მას სამსახური გადაუვადდება, მაგრამ თუ წვევამდელს ჰყავს ერთი სამი წლის შვილი, მას ევალება ჯარში სამსახური. ეს მომჩივანი კეკენაძე არის სტუდენტი, დავუშვათ, მის მეგობარ სტუდენტ გოგონას ჰყავს სამი წლის შვილი და, თუ თანაბარ პირობებს ვთავაზობთ, მაშინ ეს

31 ნოზაძე, მ., შესაძლოა ქართველი ქალები ჯარში გაიწვიონ, http://news.mcvane.ge/news/axali-ambebi/7707--.html 04.07.2018

გოგონაც ხდება ვალდებული, დატოვოს ბავშვი და ჯარში წავიდეს. კითხვა მაქვს, რამდენად მისაღებია, რომ დედამ მიატოვოს სამი წლის ბავშვი და წავიდეს ჯარში, ბავშვის უფლებები რამდენად იქნება დაცული?”[32].

სესიაშვილის პასუხი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან, როდესაც გენდერულ თანასწორობაზე და უფლებების შელახვაზე ვსაუბროობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც მთავრდება შენი უფლებები, იქ იწყება სხვისი, **რადგან ამ კონრეტულ შემთხვევაში აუცულებლად დაირღვევა ბავშვის უფლებები, რომელიც მოკლებული იქნება დედის მზრუნველობას, ხოლო დედის სხვა ადამიანით ჩანაცვლება, აზრს აბსოლუტურად მოკლებულია. ქალისათვის სამხედრო სავალდებულო სამხედრო სამსახური და შეირაღებულ ძალებში დასაქმება რადიკალურად სხვადასხვა რამაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკონტრაქტო სამსახური რა თქმა უნდა ნებაყოფლობითია და თავად ადამიანი (ამ შემთხვევაში ქალი) არჩევს აქვს თუ არა მას ამ კონკრეტულ სფეროში დასაქმების დრო, უწყობს თუ არა ხელს გარემოება და არსებული ვითარება.**

ამ მხრივ ამერიკის შეერთბულმა შტატებმა დიდი ნაბიჯი გადადგა. ამონარიდი ლეონ პანეტას 24 იანვარის განცხადებოდან: “მე და გაერთიანებული შტაბის უფროსს გენერალ მარტინ დემპსის გვჯერა, რომ ქალებისათვის რაც შეიძლება სრულად უნდა გავხსნათ სამხედრო სამსახურის გავლის შესაძლებლობები და, შესაბამისად, გენერალ დემპსის და მე გვაქვს პატივი განვაცხადოთ, რომ ვაუქმებთ კანონს, რომელიც ქალებს უკრძალავს პირდაპირ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას, და შემდგომში ვაპირებთ

32 ნოზაძე, მ., შესაძლოა ქართველი ქალები ჯარში გაიწვიონ, http://news.mcvane.ge/news/axali-ambebi/7707--.html 04.07.2018

ვიმოქმედოთ გეგმით, რომელიც გააუქმებს სამხედრო სამსახურში გენდერულ საფუძველზე არსებულ უსარგებლო ბარიერებს“[33].

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომელმაც ღიად განაცხადა თანხმობა ქალის მონაწილეობაზე საბრძოლო ოპერაციაბში, საქართველოს კანონმდებლობაში ამაზე არაფერია ნათქვამი. კანონი არც კრძალავს და არც ღიად რთავს ნებას ქალებს იბრძოლონ ქვეყნის დასაცავდ იარაღით ხელში. თუმცა, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც აკრძალული არაა, ნებადართულია. ჩემი სიტყვების სისწორეში დასარწმუნებლდ მომყავს ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის No297 ბრძანებით, თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია: „ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართულ საზოგადოებაში და მათი ჩართულობა ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორსაც ქვეყნის თავდაცვა წარმოადგენს, დემოკრატიული და თანამედროვე, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნულის განსახორციელებლად: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების წარმოების დროს უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალთა ჩართულობის წინა პლანზე წამოწევას აღნიშნულის განსახორციელებლად:

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფები ხელს შეუწყობენ ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავდაცვის სისტემაში

33 Sisk, R., Panetta: Women in Combat Strengthens US Military, https://www.military.com/daily-news/2013/01/24/panetta-women-in-combat-strengt 04/07/2018

შექმნილ სათათბირო ორგანოებში, კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მათი ჩართვის გზით“[34].

როგორც ჩანს საქართველო უახლოეს მომავალში არ აპირებს ზესახელმწიფოს მოდელის გადმოტანას და ჯერჯერობით მხოლოდ ამით შემოიფარგლება, თუმცა ვერც იმ ფაქტს ავუვლით გერდს, რომ საქართველოს მთავრობამ საკმაოდ თამამი ნაბიჯი გადადგა და თავდაცვის მინისტრად 2015 წლის 1 მაისიდან 2016წლის 1 აგვისტომდე, პირველი ქალი - თინათინ ხიდაშელი დანიშნა.

თუმცა, იმის მიუხედავად, თუ რას ამბობს ზემოთხსენებული მასალები და ფაქტები საზოგადოების მოსაზრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, მეტად გაგვაოცა ჩემ მიერ ჩატარებულმა მინი-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა. საზოგადოების დამოკიდებულება იმ საკითხისადმი, რომელიც მოიაზრებს ქალთა დასაქმებას შეიარაღებულ ძალებში, საკმაოდ საინტერესოდ გადანაწილდა. მინი-კვლევის თანახმად, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 153 ადამიანიდან, (ასაკი 25-დან -55-მდე) 77% თვლის, რომ ქალებისათვის სამხედრო სამსახური სავალდებულო არ უნდა იყოს. **იხ. ცხრილი 1.**

-

თუმცა, იგივე გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 54% თვლის, რომ საკონტაქტო სამხედრო გაწვევა აბსოლუტურად მისაღებად აღიქვამს. **იხ. ცხრილი 2.**

---

34 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დ ე ბ უ ლება , https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402347, 04/07/2018

რაც შეეხება შეეხება აშშ-ს, მან უკვე გადადგა ის ნაბიჯი, რომელსაც შეიარაღებულ ძალებში მსახურის მსურველი ქალბატონები ელოდნენ, ხოლო საქართველოს, ჯერ კიდევ ბევრი ღონისძიება აქვსა ჩასატარებელი იმისათვის, რომ ზუსტად შეფასდეს



ქალის როლის ამ სფეროში და მიეცეს ოფიციალური უფლება იბრძოლოს ცხელ წერტილებში.

დასკვნები: ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საუკუნიდან საუკუნეში გადასვლისას იცვლება ხედვა, მიდგომა და ამა თუ იმ საკითხის აღქმა და მისდამი დამოკიდებულება, იმის მიუხედავადაც, კი რომ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოშიც საკმაოდ რთულია აღიქვა ქალი „მამაკაცურ პოზიციაზე“. უამრავი არგუმენტია მოყვანილი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი ვერ შეძლებს, თავს ვერ გაართმევს, ვერ გააკეთებს და ვერ გაუძლებს ყველა იმ პირობას და ვითერაბს რისი ატანაც უწევთ მამაკაცებს, თუმცა ამის საპირისპიროდ შეიძლება მოვიყვანოთ ქართველი ჯარისკაცი ქალბატონები, კერძოდ, ქეთი თევზაძე, ინგა მამალაძე, ნატო კობალაძე და სხვანი, რომლებიც აბსოლუტურად ყოველგვარ პირობას ეგუებიან და ვერაფერს ხედავენ შეუძლებელს იმაში, რისი ატანა და კეთება უწევთ ყოველდღე მამაკაცებს. ამერიკის

შეერთებული შტატები ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობითაც ბევრჯერ აღემატება საქართველოსას, შესაბამისად, აშშ-ში ქალთა სამხედრო სამსახურში აქტიურობის რიცხობრივი მაჩვენებელი გაცლებით მაღალია.

კვლევის მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ საიდან დაიწყო აშშ-ში და საქართველოში სამხედრო ქალთა აქტიურობა, რა შედეგები მოჰყვა სამხრეებიანი ქალის გამოჩენას, რა ვითარებაა ამჟამად და როგორი განწყობილია საზოგადოება აღნიშნული საკითხისადმი. საზოგადობა გაცილებით ლოაიალურადაა განწყობილი სამხედრო ქალისადმი, ვიდრე წინა წლებში, თუმცა ჯერ მაინც ვერ მივაღწიეთ იმ მაჩვენელს, რომელიც გვსურდა გვეხილა. კვლევამ გვაჩვენა, რომ უნდა იქნებს გადადგმული შემდეგი ნაბიჯები:

1. პირველი ნაბიჯი რეფერენდუმის ჩატარებაა, რომელიც აბსოლუტურად ზუსტ შედეგებს მოგვცემს.
2. შეაიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო სამსახურის მსურველი ქალბატონები სასურველია ეწვიონ შეერთებული შტატების შეირაღებულ ძალებს, პირადად შეხვდნენ იქ მომსახურე ქალბატონებს და ადგილზე შეისწავლონ სიტუაცია.
3. ასევე, მეტად სასარგებლო იქნებოდა ამერიკელი ჯარისკაცი ქალების მხრიდან ქართველი ჯარისკაცი ქალბატონების გაწვრთნა და მომზადება ცხელ წერტილებში გასაგზავნად.

იმ დროს, როდესაც მსოფილიო უამრავი პრეცენდენტის მომსწრეა, როდესაც ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების მხრიდან მაგალითი არსებობს (სკანადინავიის ქვეყნები) და როდესაც 2013 წელს ზესახელმწიფომ (აშშ) მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენმა ქვეყანამაც უნდა გადახედოს მის წარსულს და მსოფლიო ისტორიას, გადადგას ნაბიჯები მისი საერთაშორისო პრესტიჟისა, იმიჯისა და რეიტინგის ასაწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე. ვ, ქალი და სამხედრო სამსახური, http://presa.ge/new/?m=military&AID=16058

2. ლიკლიკაძე, კ., ქეთი თევზაძე: „მდედრობითი სქესის სამხედროები არავისზე ნაკლებნი არ ვართ“,http://www.radiotavisupleba.ge/content/weekly-military-program-keti-_tevzadze/24885010.html,

3. ნოზაძე, მ., შესაძლოა ქართველი ქალები ჯარში გაიწვიონ, http://news.mcvane.ge/news/axali-ambebi/7707--.html

4. ფრანგიშვილი, ი., „ქალი აჭარიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“ http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22241/#sthash.vEzSoqm3.zg

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება , https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402347

6. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დ ე ბ უ ლ ე http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/samartlebriviaqtebi/1_(40).pdf

7. ძნელაძე, გ., პატრიარქალური ბორკილებისა და ოჯახის უღლის მსხვრევიდან ფილოსოფიურ კვარცხლბეკამდე (ნაწილი 2), http://liberali.ge,

8. Coreau, A., Whatever George Sand Wants, https://www.nytimes.com/2003/04/20/books/whatever-george-sand-wants.html

9. Sisk, R., Panetta: Women in Combat Strengthens US Military, https://www.military.com/daily-news/2013/01/24/panetta-women-in-combat-strengthens-us-military.html

10. Veazie, T., First Lady Michelle Obama Honors 14 Women Veterans as Champions of Change, https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2013/03/21/first-lady-michelle-obama-honors-14-women-veterans-champions-change

11. Women In Uniform, http://www.encyclopedia.com/topic/Women_in_Military_Service.aspx,

12. Wood, J.,A History of Women in the U.S. Military, http://www.infoplease.com/us/military/women-history.html

გლობალური ცვლილებები საკრედიტო ბაზარზე - უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი

Global Changes on the Credit Market – The Negative Interest Rate

დალი სეხნიაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
Dali Sekhniashvili
Associated professor of GTU

რეზიუმე: თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ტრანსფორმაციები და ახალი ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბება გარდაუვლად გამოიწვევს ელექტრონული ფულის მიერ ფულის ამჟამად გამოყენებადი ფორმებისა და საგადამხდელო საშუალებების თანდათანობით შევიწროვებას. ერთ-ერთი ახალი მოვლენა ცენტრალური ბანკების ცხოვრებაში არის უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების მონეტარული პოლიტიკა. ბოლო წლებში განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტად იყენებენ უარყოფით საპროცენტო განაკვეთებს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. სტატიაში განხილულია ამ მონეტარული ინსტრუმენტის დანერგვის საერთაშორისო გამოცდილება და მოცემულია მისი ეფექტიანობის შეფასების მცდელობა.

საკვანძო სიტყვები: ნეგატიური საპროცენტო განაკვეთი, ცენტრალური ბანკი, მონეტარული პოლიტიკა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი, ეკონომიკური ზრდა.

Resume: The global transformation of the modern world and the formation of a new economic system will lead to the expelled of money forms and payment instruments by electronic money. One of the new phenomenon in a life of central banks is the monetary policy with a negative interest rate. In Recent years, developed countries are increasingly using negative

interest rates to stimulate economic growth. The article reviews international experience in the implementation of this monetary instrument and makes an attempt to assess its effectiveness.

Key words: Negative Interest Rate, Central Bank, Monetary Policy, Inflation, Exchange Rates, Economic Growth.

ძირითადი ტექსტი: ეკონომიკურ ისტორიაში პირველად გაჩნდა ახალი ფენომენი - ფული ოფიციალური უარყოფითი დროებითი ღირებულებით. შესაძლოა, უარყოფითი განაკვეთების პოლიტიკა არ მიიქცევდა ასეთ ყურადღებას, რომ არა იმ ქვეყნების ეკონომიკის ზომა, რომელთა ცენტრალურმა ბანკებმაც დაადგინეს უარყოფითი განაკვეთები. მხედველობაში მიიღება, რომ ევროზონის ქვეყნები და იაპონია შედიან მშპ-ს მიხედვით ხუთ უმსხვილეს ეკონომიკათა რიცხვში, და მათი პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე.

ეკონომიკის ისტორიაში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები უკიდურესად იშვიათი მოვლენაა. დაფიქსირებულია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ნულზე ნაკლები იყო. 1930-ან წლებსა და 1940-ანი წლების დასაწყისში აშშ-ს ზოგიერთი ობლიგაცია და სახაზინო ვალდებულება იყიდებოდა უარყოფითი პროცენტებით. განაკვეთების „მისტიურობა“ იმით აიხსნებოდა, რომ სავალო ვალდებულებები შეიცავდა უხილავ ოპციონს - მათ მფლობელებს მომავალი გამოშვებების პრივილეგირებული შეძენის უფლება ჰქონდათ {1. 12}. იაპონიაში 1998 წლის ბოლოს, დეფლაციის და იაპონიის ბანკის იაფი ფულის პოლიტიკის რისკის გამო, ფინანსთა სამინისტროს თამასუქებზე საპროცენტო განაკვეთები უარყოფითი იყო. ანალოგიური მიზეზების გამო, 2011 წლის შუა პერიოდში გერმანიის, შვედეთის და დანიის ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთებიც, აგრეთვე, უარყოფითი იყო.

ფიქსირებულ სავალუტო კუსზე უარის თქმის შემდეგ, 1971 წელს უცხოური კაპიტალის მოზღვავების შედეგად, შვეიცარული ფრანკი უწყვეტად მყარდებოდა აშშ დოლართან მიმართებაში. ამ პროცესის შეზღუდვის მიზნით, შვეიცარიის ხელისუფლებამ გამოიყენა ფინანსური რეცესიის კომბინირებული ინსტრუმენტები. არარეზიდენტების ანაბრებზე, რომლებიც ფრანკებში იყო გაკეთებული, შემოიღეს კვარტალური საკომისიო 2%-ს ოდენობით, ხოლო 1978 წელს - 10% კვარტალში. ამასთან, მოითხოვებოდა 100% სარეზერვო მოთხოვნები ანაბრებზე არარეზენტების მხრიდან, იკრძალებოდა შვეიცარულ ფასიან ქაღალდებსა და უძრავ ქონებაში ინვესტიციები და საპროცენტო შემოსავლების რეპატრიაცია. {2, 3}. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, უცხოური კაპიტალის მოზღვავების დესტიმულაციის პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა. მიზეზი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შიდა წინააღმდეგობრივი ხასიათი იყო. ერთი მხრივ, ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა უცხოური კაპიტალის მოზღვავებას, მეორე მხრივ კი, შვეიცარიის ეროვნული ბანკი ინარჩუნებდა მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რაც იზიდავდა არარეზიდენტებს {3,1}

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის იდეის წარმოშობა. უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფულის იდეის ავტორი გერმანელი მეწარმე და ეკონომისტი სილვიო გაზელია (Johann Silvio Gesell,1862–1930). მისი ეკონომიკური შეხედულებები ემყარებოდა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების გაუქმებას და მიწების ნაციონალიზაციის ინიციატივებს. ის თვლიდა, რომ ფული მხოლოდ გაცვლის საშუალება უნდა იყოს და არა დაზოგვის საშუალება. გაზელის ორიგინალური იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ფულის მფლობელებმა რეგულარულად უნდა გადაუხადონ სახელმწიფოს სარგებელი ფულით სარგებლობის უფლებისათვის. {3.1}

ერთადერთი ავტორიტეტი, ვინც მხარი დაუჭირა ფულს უარყოფითი განაკვეთით, იყო ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი

ვერგლე ფიშერი. ის ცდილობდა, დაერწმუნებინა აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, რომ ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით, წასულიყვნენ ექსპერიმენტზე, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

2007-2008 წწ ეკონომიკურ კრიზისამდე უარყოფით საპროცენტო განაკვეთებზე მსჯელობები ღრმად აკადემიურ განსჯებად რჩებოდა. ითვლებოდა, რომ ხელისუფლებას ნომინალური საპროცენტო განაკვეთის 0 -ოვან ნიშნულზე ქვევით ჩამოწევა არ შეუძლია.

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის პირველი პრაქტიკული გამოყენება მოხდა დანიის ეროვნული ბანკის ეკონომისტების ანდრეს იორგენსენის და ლარს ლიბჟერგის მიერ 2012 წელს. {4,21}

მათ მიერ აღნიშნული ნოვაცია განიხილებოდა, როგორც კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის და ფიქსირებული სავალუტო კურსის დაცვის საბაზრო ღონიძიებების ნაწილი. ის გამოიყენებოდა ერთ კვირიან სადეპოზიტო სერტიფიკატებზე, ხოლო დანიის ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო (მიმდინარე) ანგარიშებზე საპროცენტო განაკვეთი 0-ს ტოლი იყო. ამ ნოვაციის მიზეზი ევროში დაფიქსირებული სავალუტო კურსის დაცვა იყო. კოპენჰაგენის ფულადი ბაზარი იმყოფებოდა სპეკულაციური ზეწოლის ქვეშ უცხოური კაპიტალის ნაკადის აქტიური შემოდინების გამო. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება გამართლებული აღმოჩნდა: უარყოფით ზონაში საპროცენტო განაკვეთის გადასვლის შემდეგ, დაიწყო კრონის გაუფასურება, ხოლო საპროცენტო სპრედი დანიის და ევროზონის ფულად ბაზრებს შორის შემცირდა.

გარემოებებს, რომელთა გამო, ცენტრალური ბანკები იძულებულნი არიან მიმართონ უარყოფით საპროცენტო განაკვეთებს, შესაძლოა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვუწოდოთ „დრამატული“. აღნიშნული გარემოებები დაკავშირებულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტული ინსტრუმენტების ეფექტიანობის შემცირებასთან. ცენტრალური

ბანკისთვის დეფლაციის რისკი უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე ინფლაციის პრობლემა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ეკონომიკური დაცემის პეროდში „ლიკვიდურობის ხაფანგი“ ცენტრალურ ბანკებს სრულიად უიარაღოს ხდის, რის შედეგადაც ბანკები იძულებულნი არიან ასიმეტრიულად იმოქმედონ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დეფლაციაზე უფრო მეტად აგრესიულად პასუხობს, ვიდრე ინფლაციურ ზეწოლაზე.

ევროზონაში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკას ქსელური ეფექტი ჰქონდა იმ ცენტელური ბანკებისთვის, რომლებიც ნომინალური ღუზის სახით ევროს იყენებენ. მაგალითად, ბოსნიას და ჰერცოგოვინას ცენტრალური ბანკი და ბულგარეთის სახალხო ბანკი სავალუტო მმართველობის რეჟიმში (currency board) მუშაობენ და ადგილობრივი ვალუტების კურსს ევროსთან აფიქსირებენ. ბოსნიის და ჰერცოგოვინას ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა დაედგინა უარყოფოთი საპროცეტო განაკვეთები „ოვერნაით“ დეპოზიტებზე, ხოლო ბულგარეთის სახალხო ბანკმა სრულად გაიმეორა ევროპის ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკა. იმის გამო, რომ სავალუტო მმართველობის რეჟიმი ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციას ასრულებს, ადგილობრივი ფულადი ბაზარი აღმოჩნდა ევროზონის ფულად ბაზარზე დამოკიდებულის პოზიციაში.

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების მთავარი მიზანი დამატებითი ფულად-საკრედიტო სტიმულის უზრუნველყოფა, დეფლაციის საფრთხეების ლიკვიდაციისა და ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირისკენ დაბრუნებაა; აგრეთვე ის, რომ გაძლიერდეს ბანკების მოტივაცია, რათა მათ გააფართოვონ არაფინანსური სექტორის დაკრედიტება ეკონომიკური აღმავლობისთვის და უარყოფით განაკვეთებს განსაზღვრული დადებითი გავლენა ჰქონდეს ეკონომიკაზე. ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია საბანკო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯების შემცირება და ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების ზრდა. გარდა

ამისა, უარყოფითმა საპროცენტო განაკვეთებმა გააძლიერა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სასიგნალო ეფექტები.

დიდი ალბათობით, უარყოფითი განაკვეთები სამომავლოდ აღიარებული იქნება როგორც ნაკლებად ინფლაციურ გარემოში განსახორციელებელი საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტული ღონისძიება. 2017 წელს, ლისაბონის ეკონომიკის სკოლაში სიტყვით გამოსვლისას, ევროპის ცენტრალური ბანკის ვიცე პრეზიდენტმა ვიტორ კოსტანციომ აღნიშნა, რომ „უარყოფითმა განაკვეთებმა გაამართლა. ევროზონასა და სხვა ქვეყნებში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების წარმატებულმა გამოყენებამ დაადასტურა, რომ ის შესაძლოა გახდეს ცენტრალური ბანკების მიერ რეცესიასთან ბრძოლის ჩვეული ინსტრუმენტების ნაკრების ნაწილი “ {5, 13}

დღეს ჯერ კიდევ ადრეა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მაკროეკონომიკურ ეფექტიანობაზე საუბარი იმის გამო, რომ არც ევროზონასა და არც იაპონიაში საქმიანი აქტივობის ქვედა ფაზა ჯერ არ გასულა. მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების დაგროვების კვალობაზე, კვლევები ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება. თუმცა, საბანკო სექტორზე უარყოფითი პოტენციური ეფექტებს და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობას თუ მივიღეთ მხედველობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ბანკები შეეჯახებიან უარყოფითი განაკვეთების ობიექტურ შემზღუდველებსაც.

როგორც ავღნიშნეთ, ცენტრალური ბანკები განაკვეთების შემცირების გზით ცდილობენ ინვესტიციებისა და მოხმარების სტიმულირებას. თუმცა, მხოლოდ ასეთი მიდგომით აღნიშნული ამოცანის გადაჭრა ნაკლებად შესაძლებელია. როგორც ტოკიოს ინსტიტუტის ანალიტიკოსი მარტინ შულცი აღნიშნავს: „კრედიტის მოცულობა იაპონიაში იმიტომ კი არ იზრდება, რომ ბანკები არ გასცემენ მას, არამედ იმიტომ, რომ ფირმები ვერ ხედავენ მისი ინვესტირების პერსპექტივას. უარყოფითი განაკვეთებით სიტუაცია

არ შეიცვლება. ფირმებს არ უნდათ ფული, მათ უნდათ შესაძლებლობები ინვესტირებისთვის. ხოლო ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სტრუქტურული რეფორმებით და არა მონეტარული პოლიტიკით“. {6}

მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტიც, რომ უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ხანგრძლივმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს შემდეგი ნეგატიური შედეგები:

- შესაძლოა აიძულოს ინვესტორები გაიტანონ კაპიტალი უცხოეთში უფრო მაღალი შემოსავლების მიღების მიზნით;
- გარადაუვლად გამოიწვევს კომერციული ბანკების სადეპოზიტო რესურსების შემცირებას;
- იმ საქონელსა და მომსახურებაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებას, რომლებზე ფასებიც იზრდება ან მცირდება უფრო ნელა, ვიდრე მცირდება საპროცენტო განაკვეთების ტემპები;
- შესაძლოა ფინანსური და სოციალური არასტაბილურობის პროვოცირება მოახდინოს.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა იგივე საქართველოში, ეკონომისტების ნაწილი თვლის, რომ „უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მოსახლეობაში ხარჯვის სტიმულირება გაზრდის მოთხოვნას არა ადგილობრივ, არამედ იმპორტირებულ საქონელზე, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის რეალურად არაფრის მომცემია“.{7} „უარყოფითი ნომინალური განაკვეთი ჩვენს მოგებას მხოლოდ უფრო მეტად უარყოფითს ხდის, ვიდრე ის მანამდე იყო. ინვესტორები თანხმდებიან უარყოფით შემოსავლიანობას ფულის მოსახერხებელი შენახვის გამო. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, უარყოფით ნომინალური საპროცეტო განაკვეთებში ახალი არაფერია.“ {8}

ჩვენი აზრით, უარყოფითი განაკვეთების პოლიტიკა არის რთული კომპრომისი ერთი მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის მხარდაჭერასა და მეორე მხრივ, წმინდა საპროცენტო მარჟის

შემცირებით გამოწვეულ საბანკო სექტორის არამდგრადობის ამაღლებას შორის. აღნიშნულის გამო, უარყოფითი განაკვეთები უაღრესად შეზღუდული მასშტაბით შეიძლება იქნას გამოყენებული. რეცესიისა და ლიკიდურობის ხაფაგის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი აქცენტი კეთდება ფინანსური აქტივების გამოსყიდვის პროგრამებზე. გრძელვადიანი ეკონომიკური დაცემის პირობებში კი, პრიორიტეტები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში ეკუთვნის არა ფულად-საკრედიტო, არამედ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას და სტრუქტურულ რეფორმებს.

თანამედროვე მსოფლიოს გლობალური ტრანსფორმაციები და ახალი ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბება გარდაუვლად გამოიწვევს ელექტრონული ფულის მიერ ფულის ამჟამად გამოყენებადი ფორმებისა და საგადამხდელო საშუალებების თანდათანობით შევიწროვებას. ფულის ტრადიციული ფორმებისგან განსხვავებით, ელექტრონული ფულადი საშუალებები გულისხმობს საყოველთაო ეკვივალენტის თვისებრივად ახალი მატარებლებით ოპერირებას. ფულის რანგში ამ მატარებლების გამოყენების სპეციფიკა უაღრესად სუსტად არის გამოკვლეული. იგულისხმება, რომ სინკრეტიკის, როგორც ახალი ფილოსოფიური სიტემის გამოყენება მოგვცემს საშუალებას, რომ უფრო ღრმად განვსაზღვროთ ფულის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის ელექტრონული ფულის არსებითი მახასიათებლები და მათი სპეციფიკა. მეტაფიზიკასა და დიალექტიკისგან განსხვავებით, სინკრეტიკის, როგორც უფრო ზოგადი ლოგიკის გამოყენება მოასწავებს აზროვნების ძველი ტიპის საზღვრების მიღმა ახალ სივრცით-ლოგიკური განზომილებაში გასვლას და უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის სწორედ ამ განზომილებში განხილვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cecchetti S. The Case of the Negative Nominal Interest Rates: New Estimates of the Term Structure of Interest Rates during the Great Depression // Journal of Political Economy. 1988. № 6. P. 1111–1141.
2. Abegg W., Baltensperger E. et al. The Swiss National Bank, 1907–2007. Zurich: NZZ Libro Neue Zuercher Zeitung, 2007.
3. Гезелль С. Естественный экономический порядок. М.: Концептуал, 2015.
4. Jørgensen A., Risbjerg L. Negative Interest Rates // Monetary Review. 2012. № 3. P. 59–72.
5. Constâncio V. The future of monetary policy frameworks. Lecture at the Instituto Superior de Economia e Gestão. Lisbon. 2017. 25 May.
6. Franklin J. Swiss bank ABS plans negative interest rates for some depositors // Reuters News Agency, 16.10.2015. URL: http://www.reuters.com/article/swiss-negative-interest-rates-idUSL8N12G41V20151016
7. ლაშხი მ., უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი - ევროპული გამოცდილება და ქართული პერსპექტივა, 2017, http://bfm.ge, გადამოწმებულია 05.06.2018
8. თოდუა ნ., თოთლაძე ც., არასწორი გზა ეკონომიკური ზრდისკენ, 2015, https://bpn.ge, გადამოწმებულია 05.06.2018.

თანამედროვე ტენდენციები უმაღლეს განათლების ინტერნაციონალიზაციაში

თამარ ცერცვაძე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

რეზიუმე: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია არის პროცესი, რომელიც ხორციელდება ეროვნულ, დარგობრივ და ინსტიტუციურ დონეზე, სადაც დასახული მიზნები, ფუნქციები და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა საერთაშორისო ხასიათს ატარებს. ამჟამად, განათლების ინტერნაციონალიზაცია მიზანმიმართულია ნაციონალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისკენ.

სტატიაში განხილულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის არსი და საჭიროება. ასევე, საზღვარგარეთ მიღებული განათლების განვითარების ძირითადი ფორმებისა და უპირატესობების მახასიათებლები. დამტკიცებულია მობილობის საჭიროება განათლების სისტემაში რეფორმების დანერგვის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო განათლება, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტების მობილობა.

Resume: The internationalization of higher education is a process that takes place at the national, sectoral and institutional levels, in which the goals, functions and mechanism of providing educational services acquire an international character. At present, the internationalization of education is becoming the object and subject of a purposeful policy on the part of the state aimed at solving national, political, social and economic problems.

The article reveals the essence of the internationalization of higher education. The characteristics of the main forms and advantages of the

development of cross-border education are given. The necessity of mobility of educational services in conditions of reforming the system of higher education is proved.

Keywords: internationalization, international education, mobility of educational programs and students.

ძირითადი ტექსტი: უმაღლეს განათლებაში ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია მოიცავს ორ ასპექტს: შიდა და გარე ინტერნაციონალიზაცია, ან საერთაშორისო განათლება.

დღესდღეისობით, სტუდენტური და სასწავლო მობილობის გარდა, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მოიცავს პროგრამებისა და სწავლების პლატფორმის რეფორმას, სამეცნიერო კვლევით სფეროსთან თანამშრომლობას ქსელებისა და ასოციაციების მეშვეობით, ღია და დისტანციურ სწავლებას შეუზღუდავად, რეგიონალური და საერთაშორისო ინსტიტუტების თანამშრომლობას, შრომის საერთაშორისო დაყოფასა და სხვა საქმიანობას.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა აშკარაა: რესურსების მობილიზაცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მიუწვდომელია; სამეცნიერო კვლევითი თემების დუბლირების თავიდან აცილება; საგანმანათლებლო პროექტების იდენტიფიცირება. ინტერნაციონალიზაციის უტყუარ უპირატესობებს შორის შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, ცოდნის უნივერსალიზაცია, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ინოვაცია უმაღლეს განათლებაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და გაძლიერება, აკადემიური და სტუდენტური მობილობის გააქტიურება.

ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს ინსტიტუტებისა და საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე ადამინების ცოდნის

გაღრმავებას, აფართოებს სამეცნიერო კვლევის ფარგლებს, ამდიდრებს სასწავლო პროგრამებს. სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა და მეცნიერთა თანამშრომლობა აფართოებს კულტურულ ჰორიზონტებს, სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის. უცხოელი სტუდენტების სწავლება გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს გლობალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

ამჟამად, საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ძირითადი მახასიათებლებია:

- უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევით სფეროში საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და გამყარება;
- აქტიური მონაწილეობის მიღება უმაღლესი ევროპული განათლების ჩამოყალიბებაში;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე შესასვლელად ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შესაძლებლობების გაფართოება;
- ქვეყნის პოზიციონირება განათლების საერთაშორისო ასპარეზზე და საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში;
- შესაძლებლობების გაფართოება: განათლების სისტემისა და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საერთაშორისო განათლება.

პრაქტიკაში, მსოფლიოს საგანმანათლებლო რესურსები, პროგრამები, ინსტიტუტები მობილიზდება იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც დამახასიათებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ფორმისთვის. პროცესის მახასიათებლებზე დაყრდნობით უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო განათლების სფეროში, ქვეყნების პოზიციონირების გათვალისწინებით, შესაძლოა განისაზღვროს ქვეყნის ორიენტირების სამი ტიპი: ორიენტაცია

იმპორტზე, ორიენტაცია იმპორტ-ექსპორტზე, ორიენტაცია საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტზე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შეინიშნება საერთაშორისო განათლების განვითარება, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს, რომ მრავალ ქვეყანაში უმაღლესი განათლება არის აქტუალური. ვითარდება ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფერო, აღმოცენდა ეკონომიკური განვითარების ახალი იდეა, რომელიც ეფუძნება ცოდნას, ინტერნაციონალიზაციის ზრდას შრომის ბაზარზე და კვალიფიციური კადრების საჭიროებას.

განათლების ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა მიზნებს ატარებს, მათ შორის: ფინანსური შემოსავლების დივერსიფიკაცია და შემოსავლების ზრდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფასიან ფაკულტეტებზე; სასწავლო პროგრამების გაფართოება და ადგილობრივი სტუდენტების სწავლება პარტნიორ უნივერსიტეტებში; რეგიონალური ქსელის გაფართოება რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის; განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით ცოდნის გაზიარების საერთაშორისო პროცესში და ა.შ. (ცხრილი 1).

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციის მიზნები[35]

ცხრილი 1.

განვითარების მიზნები	**განვითარების მიმართულება**	**მეთოდები და მაგალითები**	**განვითარების ინსტრუმენტები**	**შედეგი**
საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირების პრიორიტეტები	უმაღლესი განათლების საერთაშორისო თანამეგობრობის ჩამოყალიბება	ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში	მარკეტინგული სტრატეგიისა და კამუნიკაციის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სერვისების მოთხოვნის ზრდას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთშორისო დონეზე	საქართველოს გავლენის გაფართოება საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე
მზადყოფნის ხარისხი ბაზარზე შესვლისას	ექსპორტის განვითარება და განათლების ხარისხის შემოწმება	ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის შესაძლებლობების გაფართოება	საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრების დივერსიფიკაცია	ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა მოწინავე ქვეყნის ტექნოლოგიების განვითარების შესახებ
ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები	უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება	უმაღლესი განათლების ლიბერალიზაცია	საქართველოში უცხოელი სტუდენტების ცხოვრების ხარისხის ამაღლება	საქართველოს განათლების ღიაობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება
საერთაშორისო საქმიანობის პრიორიტეტები	მულტიკულტურული საზოგადოების მხარდაჭერა	სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობის ხელშეწყობა	სტრატეგიული მდგრადი პარტნიორობა საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებულ უნივერსიტეტებს შორის	კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა

[35] Internationalizing Higher Education Critical Explorations of Pedagogy and Policy-Peter Ninnes, Meeri Hellstén, 2010;

საგანმანათლებლო მომსახურების მობილობის ფორმები[36]

ცხრილი 2

№	საგანმანათლებლო მომსახურების მობილობის ძირითადი სახეობები	უპირატესობები	მაშტაბი
1.	სტუდენტური მობილობა	საზღვარგარეთ სწავლის სრული კურსი საერთაშორისო დიპლომით; კურსის ნაწილი აკადემიური მობილობის ფარგლებში მისი უნივერსიტეტის დიპლომით ან ორმაგი დიპლომით; გაცვლითი პროგრამები	საერთაშორისო ბაზრის უმსხვილესი სეგმენტი
2.	აკადემიური მობილობა	პროფესიული განვითარების პროგრამები; აკადემიური პარტნიორობის პროგრამები; უცხოურ უნივერსიტეტში დასაქმება; სასწავლო დაწესებულებების საზღვარგარეთულ ფილიალებში სწავლება.	აკადემიური საზოგადოების ძველი ტრადიციის გაფართოება ინტერნაციონალიზაციის ზრდით
3.	აკადემიური პარტნიორობა	ერთობლივი კურსი ან პროგრამა უცხოურ უნივერსიტეტთან; დისტანციური სწავლების პროგრამები; ფრანჩაიზინგის კურსი უცხოეთის უნივერსიტეტში	დისტანციური განათლება და ფრანჩაიზის სწრაფად ვითარდება
4.	უცხოური ფილიალების გახსნა	უცხოური ფილიალების გახსნა; საზღვარგარეთ ყოფნისას მიმწოდებელი კომპანიის შექმნა,	განვითარება სწრაფი ტემპით

*Standards and Guidelines for Quality Assurance in European Higher Education Area

[36] http://unesdoc.unesco.org/images/0012/001222/122253eo.pdf;

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში წარმოიშვა ინტერნაციონალიზაციის ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს ინსტიტუტებისა და პროგრამების საერთაშორისო ასპარეზზე გადატანას. საერთაშორისო განათლების მიწოდების ამგვარმა ფორმებმა, ტრანსნაციონალური განათლების სახელწოდება მიიღეს.

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, საერთაშორისო დონეზე მობილობის ყველაზე დამახასიათებელი ფორმებია: საერთაშორისო კამპუსების გახსნა უნივერსიტეტების ან/და კომერციული მომწოდებლების მიერ, ან ახალი უმაღლესი სასწავლებლის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უცხოური კაპიტალი. (ცხრ. 2).

როგორც კვლევამ აჩვენა, ამჟამად ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამები (მაგალითად, ERASMUS, SOCRATES, TEMPUS), ასევე OECD-ის ქვეყნების მიერ ინიცირებული პროექტები (USAID, IREX, British Council, DAAD, CIDA, EduFrance და ა.შ.), მიზნად ისახავს მობილობის განვითარებას და ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს.[37]

კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანები, რომლებიც არ არიან ჩართულნი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში, ღირსეულ ადგილს ვერ დაიმკვიდრებენ საერთაშორისო თანამეგობრობის საგანმანათლებლო სივრცეში. განათლების საერთაშორისო პროცესში აქტიური ჩართულობა ქვეყნებს აძლევს საშუალებას მზად იყვნენ ეკონომიკური გლობალიზაციის გამოწვევებისათვის.

ბევრი ქვეყანა, სხვადასხვა მიზეზით (ეკონომიკური განვითარების დაბალი ან გარდამავალ ეტაპი, არასაკმარისი პოლიტიკური სტაბილურობა, საინფორმაციო იზოლაცია, დაბალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები, და ა.შ., სამოქალაქო

[37] http://unesdoc.unesco.org/images/0012/001222/122253eo.pdf;

საზოგადოების განათლების დაბალი დონე) აღმოჩნდა გლობალური ტენდენციების პერიფირიაზე.

გარდა ამისა, განათლების ინტერნაციონალიზაციის გზაზე არსებობს სხვა დაბრკოლებები, რომელიც ხელს უშლის ქვეყანას მოერგოს არსებულ რეალობას ან თავისით განავითაროს ინდივიდუალური ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. კერძოდ: კულტურული ბარიერების არსებობა; განათლების მიღების სფეროში მკაფიოდ გაწერილი კანონმდებლობის არ არსებობა (ან შეზღუდვა); უმაღლესი განათლების სისტემებისა და პროგრამების შესადარობის კრიტერიუმების არ არსებობა (ამჟამად)[38].

ინტერნაციონალიზაციის უპირატესობას წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, ცოდნის უნივერსალიზაცია, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და განათლების ინოვაციურობა. ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და განმტკიცება, აკადემიური მობილობის აქტივაცია.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და, კერძოდ, სტუდენტების მობილობა და უნივერსიტეტების საერთაშორისო საქმიანობა, ეკონომიკური სარგებელის მომტანია. სწავლის საფასურის პოლიტიკა არის ინტერნაციონალიზაციის ზოგადი გავლენის ძირითადი ელემენტი. ფაქტობრივად, ბევრ ქვეყანაში საერთაშორისო განათლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. უცხოელი სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის საბაზრო ღირებულება სცილდება შემოსავალს სწავლის საფასურიდან, რომელიც თანდაყოლილ ხარჯებთან ერთად დაკავშირებულია უცხოელი სტუდენტების

---

[38] http://www.acenet.edu/news-room/Documents/Intlz-In-US-Higher-Ed-Student-Perspective.pdf.

ქვეყანაში ცხოვრებასთან. ამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოკლევადიანი სარგებელი. ასევე, არსებობს გრძელვადიანი ხასიათის უპირატესობები, რომლებიც გამოიხატება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, ინფრასტრუქტურისა და განათლების პოტენციალის განვითარებაში.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, უმაღლესი საერთაშორისო განათლების ახალი ფორმები წარმოიშვა. ეს მოიცავს არა მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტთა მობილობას, არამედ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო დაწესებულებების მობილობას.

ამ პროცესმა გამოიწვია ოთხი განსხვავებული, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავი მიდგომების ჩამოყალიბება: კოორდინირებული მიდგომა, კვალიფიციური კადრების მიგრაცია, შემოსავლის მიღება, შესაძლებლობების გაფართოება, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებას უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში, ისევე როგორც ეკონომიკური ასპექტების როლს. თითოეული ქვეყანა ინდივიდუალურად განსაზღვრავს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ისტორიისა და კულტურის ადგლობრივი უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და განსხვავებულობის გათვალისწინებით. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის ცნობადობა მსოფლიოში, გამოცდილება საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში.

დიდი ყურადღება ექცევა ქვეყანაში არსებულ გეო-პოლიტიკურ ასპექტებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში. ქვეყნების უმეტესობა საკმაოდ კონკრეტულად განსაზღვრავს არა მხოლოდ გეოგრაფიულ აქცენტებს საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტზე, ასევე განსაზღვრავს სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაგეგმილი გეგმები.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებისთვის განათლების ინტერნაციონალიზაცია ხდება მიზანმიმართული პოლიტიკის საგანი და ეროვნული მთავრობა მიზნად ისახავს კონკრეტული ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Internationalizing Higher Education Critical Explorations of Pedagogy and Policy-Peter Ninnes, Meeri Hellstén, 2010;
2. Globalization of Higher Education-Peter Scott, 2008;
3. https://www.ses.unam.mx/docencia/2007II/Lecturas/Mod2_Qiang.pdf
4. http://www.economics-sociology.eu/files/ES_Vol8_1_Stukalova.pdf;
5. http://unesdoc.unesco.org/images/0012/001222/122253eo.pdf;
6. http://www.acenet.edu/news-room/Documents/Intlz-In-US-Higher-Ed-Student-Perspective.pdf.

Distortion Analysis of Underwater Acoustic Mobile Networks

Andrej Stefanov - Faculty of Engineering
IBU Skopje, Macedonia (Email: andrejstefanov@ieee.org)

stract—The paper considers the average route distortion of mobile underwater acoustic networks. The network is composed of autonomous underwater vehicles (AUV's) that form multihop routes through the network. The mobility model is direction persistent. The average route distortion is evaluated in the context of an independent identically distributed (i.i.d.) Gaussian source and single description coding. Each AUV-to-AUV channel experiences frequency dependent path loss, Ricean fading, and interference. Numerical examples illustrate the distortion performance.

I. INTRODUCTION

There have recently been a number of studies of underwater acoustic networks [1]–[5]. The analysis, design and evaluation of multiaccess protocols for underwater acoustic networks has been considered in [6], [7]. An energy efficient multiaccess protocol for bursty data has been proposed in [8]. The throughput efficiency of linear networks has been considered in [9], while route selection for linear networks based on frequency selection and relay locations has been investigated in [10]. Localization based routing has been the focus of [11]. A survey of routing related issues and associated protocols can be found in [12].

These studies have been motivated in part by the need to perform sensing and surveying of underwater areas for a variety of reasons, including environmental, scientific, commercial, etc. The potential applications include general oceanographic needs, observations of marine biology and/or fisheries, environmental (pollution) monitoring, monitoring of off shore oil and gas fields, submarine detection etc. Networks consisting

of AUV's that offer mobility may represent a particularly appealing choice in this regard [13].

Considering the sensing related tasks, that in addition to sensing, include computing, transmission, and reception, it is transmission that imposes the most significant strain on the energy consumption. In underwater acoustic communications, the attenuation (path loss) experienced by the transmitted signal depends not only on the transmitter-receiver distance, but also on the carrier operating frequency. The appropriate choice of the carrier operating frequency is crucial for efficient underwater communications. In addition, as underwater communication is based on the transmission of acoustic signals, the low speed at which sound propagates underwater results in significant transmission delays.

The paper considers the distortion performance of mobile underwater acoustic networks. An i.i.d. Gaussian source and a single description coder are considered. The focus is on the evaluation of the end-to-end distortion across a multihop route of AUV's. Each AUV-to-AUV link experiences frequency dependent path loss and independent Ricean fading. AUV's forward the packets using simple demodulate and forward relaying. The mobility model is direction persistent [14]. The multihop routing is facilitated by a modified version of the reserve listen and go transmission protocol. The modification is based on the introduction of a request to send (RTS) and clear to send (CTS) messages before the transmission phase, in order to alleviate the impact of interference from other network transmissions.

The organization of the paper is as follows. The model for underwater acoustic propagation is outlined in Section II. The average route distortion performance, in the context of the direction persistent mobility model, is discussed in Section III. Numerical examples are included in Section IV. Conclusion is given in Section V.

II. UNDERWATER ACOUSTIC PROPAGATION

Underwater acoustic communication experiences attenuation, i.e., path loss, for a signal transmitted on frequency f, that is characterized by, $A(d,f) = A_0 d^{\kappa} a(f)^d$, where A_0 is a unit-normalization constant that incorporates fixed losses, d is the distance between AUV's, κ is the spreading factor ($1 \leq \kappa \leq 2$), and $a(f)$ is the absorption coefficient, illustrated in Figure 1.

The overal ocean ambient noise is comprised of: turbulence, shipping, waves and thermal noise, described by Gaussian statistics and continuous power spectral densities (p.s.d.'s) in dB re μPa per Hz for the frequency in kHz [15]:

$$
\begin{aligned}
10\log N_{\mathrm{t}}(f) &= 17 - 30\log f, \\
10\log N_{\mathrm{s}}(f) &= 40 + 20(s-0.5) + 26\log f \\
&\quad -60\log(f+0.03), \\
10\log N_{\mathrm{w}}(f) &= 50 + 7.5\sqrt{w} + 20\log f \\
&\quad -40\log(f+0.4), \\
10\log N_{\mathrm{th}}(f) &= -15 + 20\log f, \qquad (1)
\end{aligned}
$$

Fig. 1. The absorption coefficient $a(f)$ given in dB/km for the signal frequency f in kHz: $10\log a(f) = \frac{0.11 f^2}{1+f^2} + \frac{44 f^2}{4100+f^2} + \frac{2.75 f^2}{10^4} + 0.003$ [15].

where s is the shipping activity factor and w is the wind speed in m/s. The p.s.d. of the overall ocean ambient noise is simply $N(f) = N_t(f) + N_s(f) + N_w(f) + N_{th}(f)$.

III. DISTORTION ANALYSIS

The section analyzes the average route distortion, in the context of the direction persistent mobility model, for an i.i.d.

Gaussian source and a single description coder.

A. Mobility Model

It is assumed that N AUV's are deployed over a network with circular area A. The density of AUV's is $\rho = \frac{N}{A}$ and it remains constant meaning that AUV's do not enter and do not leave the network. This could be a model for a network of AUV's surveying a given area.

The direction persistent mobility model assumes that the direction and the speed of AUV's are constant for the duration of the packet. Note that route's links are independent considering the AUV's mobility. That is, AUV's mobility status at packet reception is independent from the mobility status at packet transmission on the next hop of the route.

The AUV's mobility is described by its speed and direction angle. The distance between AUV's at time t is d, as illustrated in Figure 2. AUV a is moving with speed v_a at an angle θ_a (the angle between v_a and the horizontal axis). AUV b is moving with speed v_b at an angle θ_b.

At time $t+T$, as illustrated in Figure 3, the distance between

$$d_e = \sqrt{d^2 + T^2 u_1 - 2T^2 u_2 + 2dTu_3} \quad (2)$$

where

$$u_1 = v_a^2 + v_b^2, \quad u_2 = v_a v_b \cos(\theta_a - \theta_b)$$

$$u_3 = v_a \cos(\theta_a) - v_b \cos(\theta_b). \quad (3)$$

AUV's a and b is [14]

Fig. 2. The AUV's: time = t.

The time interval T is the sum of the packet duration and packet propagation time, i.e., $T = \frac{L}{R_b} + \frac{d}{c}$, where L is the number of bits per packet, R_b is the bit rate, and $c = 1500$ m/s is the speed of sound underwater. The average distance between AUV's a and b is $\bar{d} = \frac{d+d_e}{2}$.

B. Average Route Distortion

The AUV's utilize a simple demodulate and forward relaying strategy. The route frame error probability (FEP) is $= 1 - \prod_{i=1}^{n_h}(1 - p_{b_i})^L$ FEP_{route}, where p_b is the bit error probability (BEP) for an AUV-to-AUV channel and n_h is the number of hops in the multihop route. The route distortion is [16]

$D_{route} = (1 - FEP_{route})D + FEP_{route}\sigma^2$, (4) where $D = \sigma^2 2^{-2R}$ is the distortion for a sequence of i.i.d. Gausian random variables with variance σ^2, encoded at bit rate R by an optimal source coder [17]. Considering a large number of realizations over (v,θ), the ensemble average route distortion is

$$D_{route} = \frac{\sum_{m=1}^{M} D_{route}}{M} \quad (5)$$

which can be evaluated through Monte Carlo simulation. Note that a multihop route with an average number of hops $n_h = \sqrt{\frac{N}{\pi}}$ is considered [14].

C. Transmission Protocol

The tranmission protocol along the multihop route from the source to the destination is based on the reserve listen and go transmission protocol [14]. The AUV first senses the channel.

It begins the transmission only if the channel is idle. If the channel is busy, it delays the transmission. Nonetheless, a detailed graphical study in [14] found that the protocol in its original format is still vulnerable to interference for a range of interferers at different distances to the destination. Therefore, we propose a modified version of the reserve listen and go protocol that includes an exchange of request to send (RTS) and clear to send (CTS) messages before the packet transmission phase. In other words, the AUV waits for a CTS message from the destination before transmitting the packet. This reduces the possibility of interference from neighboring AUV's. Of course, the transmission may still be vulnerable to interference, especially from AUV's whose distance to the destination is greater than the source-destination distance. Under the assumption of a constant p.s.d. S for all transmitting AUV's, the overall interference is

$$I(f) \approx \frac{cS}{A(d_{\mathrm{I}}, f)} \qquad (6)$$

where d_I is the distance between the destination and the interferers and c is a constant that indicates how many AUV's contribute to the interference. Without the loss of generality, we let $c = 6$. Given that there are a number of AUV's that contribute to the interference, a Gaussian interference with p.s.d. $I(f)$, is assumed. Figure 4 illustrates the signal to interference plus noise ratio (SINR) when the sourcedestination distance is $d = 1$ km and the transmit power spectral density is $S = 155$ dB re μPa per kHz. We observe a decrease in the SINR, as the distance to the interferers reduces from $d_I = 2d$, to $d_I = 1.75d$, and $d_I = 1.5d$.

Fig. 4. SINR for $d = 1$ km.

Under the assumption of perfect channel state information at the receiving AUV and flat Ricean fading for the channel between two AUV's [18], [19], the BEP is [20]

$$p_b \leq \left(\frac{1+\mathcal{K}}{1+\mathcal{K}+\gamma(\bar{d},f)}\right)\exp\left(-\frac{\mathcal{K}\gamma(\bar{d},f)}{1+\mathcal{K}+\gamma(\bar{d},f)}\right) \quad (7)$$

where γ is the SINR. The SINR evaluated at $f_o(d)$ is

$$\gamma(\bar{d},f_o) = \frac{P}{A(\bar{d},f_o)(N(f_o)+I(f_o))B} \quad (8)$$

where P is the transmission power and B is the bandwidth in kHz. For OFDM systems [21], this could be the sub-band of a carrier. The performance on that carrier would be indicated

by $f_o(d)$. The performance on the other carriers would depend on their respective operating frequency.

IV. NUMERICAL RESULTS

Numerical examples are presented that illustrate the distortion performance of a mobile underwater acoustic network. The focus is on the end-to-end distortion of a multihop route with an average number of hops. It is averaged over $M = 1000$ realizations. The circular network area is A = 1000 km^2. The variance of the i.i.d. Gaussian random variables is $\sigma^2 = 1$. Independent Ricean fading for each AUV-to-AUV channel with K = 10 is assumed. The bandwidth is $B = 4$ kHz. The frame size is $L = 1000$ bits. The bit rate is $R_b = 1$ kbps. It is assumed that all AUV's operate with the same transmit power level. The AUV's move at a speed of $v = 1$ m/s. Note that $\kappa = 1.5$, $s = 0.5$ and $w = 0$ m/s.

Figure 5 presents the average route distortion when there is interference from other AUV's in the network. The transmission power is $P = 145$ dB re μPa. The rate is $R = 2$ bits per description, hence $D = 6.25 \times 10^{-2}$. We observe that when the interferers are at a distance $d_I = 2d$, the route distortion is close to optimum, $D = 6.25 \times 10^{-2}$. As the distance to the interferers reduces to $d_I = 1.75d$, the route distortion still remains close to optimum. There is, nonetheless, some loss in performance and the impact of interference is more pronounced as the number of AUV's in the network increases. However, as the distance to the interferers reduces further to $d_I = 1.5d$, the interference has a deleterious impact on the route distortion.



Fig. 5. Distortion for $R = 2$ bits per description.

Similarly, Figure 6 presents the average route distortion in the presence of interference from other AUV's in the network. In this case, the rate is $R = 4$ bits per description, hence $D = 3.9 \times 10^{-3}$. The transmission power is $P = 155$ dB re μPa. When the distance to the interferers is $d_I = 2d$, the route distortion is close to optimum, $D = 3.9 \times 10^{-3}$. When the distance to the interferers reduces to $d_I = 1.75d$, we observe a graceful degradation in the route distortion. The degradation in the route distortion is greater as the number of AUV's in the network increases, as that is when the interference impact becomes more pronounced. Further reduction in the distance to the interferers to $d_I = 1.5d$, has a detrimental impact as the route distortion performance deteriorates by an order of magnitude.



Fig. 6. Distortion for $R = 4$ bits per description.

V. CONCLUSIONS

The paper analyzed the distortion of mobile underwater acoustic networks for the case of an independent identically distributed (i.i.d.) Gaussian source and single description coding. The direction persistent mobility model was considered. The AUV's utilized a simple demodulate and forward relaying strategy. The average route distortion was investigated in the context of the modified reserve listen and go transmission protocol that included an exchange of RTS/CTS messages before transmission. The modification was introduced in order to alleviate the impact of network interference. Numerical examples illustrated that the interference impact strongly depends on distance between the destination and the interferers.

REFERENCES

[1] Special Issue on Underwater Wireless Communications and Networks, IEEE Journal on Selected Areas in Communications, vol. 26, no. 9, Dec. 2008.

[2] Special Issue on Underwater Networks, Ad Hoc Networks, Elsevier, vol. 7, no. 4, Jun. 2009.

[3] Special Issue on Advances in Underwater Acoustic Sensor Networks, IEEE Sensors Journal, vol. 16, no. 11, Jun. 2016.

[4] Special Issue on Advances and Challenges in Underwater Sensor Networks, Sensors, MDPI Publishing, 2017.

[5] A. Stefanov and M. Stojanovic, "Design and Performance Analysis of Underwater Acoustic Networks," IEEE Journal Sel. Areas Commun., vol. 29, no. 10, pp. 2012–2021, Dec. 2011.

[6] S. Shahabudeen, M. Motani and M. Chitre, "Analysis of a High Performance MAC Protocol for Underwater Acoustic Networks," IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 39, no. 1, pp. 74–89, Jan. 2014.

[7] M. Yang, M. Gao, C. H. Foh and J. Cai, "Hybrid Collision-Free Medium Access (HCFMA) Protocol for Underwater Acoustic Networks: Design and Performance Evaluation," IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 40, no. 2, pp. 292–302, Apr. 2015.

[8] C.-M. Chao, M.-W. Lu and Y.-C. Lin, ”Energy Efficient Multichannel MAC Protocol Design for Bursty Data Traffic in Underwater Sensor Networks,” IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 40, no. 2, pp. 269–276, Apr. 2015.

[9] S. Lmai, M. Chitre, C. Laot and S. Houcke, ”Throughput-Efficient Super-TDMA MAC Transmission Schedules in Ad-Hoc Linear Underwater Acoustic Networks,” IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 42, no. 1, pp. 156–174, Jan. 2017.

[10] C. Kam, S. Kompella, G. D. Nguyen, A. Ephremides and Z. Jiang, ”Frequency Selection and Relay Placement for Energy Efficiency in Underwater Acoustic Networks,” IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 39, no. 2, pp. 331–342, Apr. 2014.

[11] N. Javaid *et al.*, ”A localization Based Cooperative Routing Protocol for Underwater Wireless Sensor Networks,” Mobile Information Systems, Article ID 7954175, Hindawi, 2017.

[12] M. Khalid *et al.* ”A Survey of Routing Issues and Associated Protocols in Underwater Wireless Sensor Networks,” Journal of Sensors, Article ID 7539751, Hindawi, 2017.

[13] J.-H. Cui, J. Kong, M. Gerla, and S. Zhou, ”The Challenges of Building Scalable Mobile Underwater Wireless Sensor Networks for Aquatic Applications,” IEEE Network, vol. 20, no. 3, pp. 12–18, May/Jun. 2006. [14] O. Tonguz and G. Ferrari, ”Ad Hoc Wireless Networks: A Communication-Theoretic Perspective,” Wiley, 2006.

[15] L. Brekhovskikh and Y. Lysanov, ”Fundamentals of Ocean Acoustics,” Springer, 1982.

[16] A. Stefanov, ”Distortion Performance of Underwater Acoustic Sensor Networks,” International Journal of Distributed Sensor Networks, Article ID 352569, Hindawi, 2015.

[17] T. M. Cover and J. A. Thomas, ”Elements of Information Theory,” Wiley, 1991.

[18] P. Qarabaqi and M. Stojanovic, ”Statistical Modeling of a Shallow Water Acoustic Communication Channel,” in Proceedings of the Underwater Acoustic Measurements Conference, Nafplio, Greece, Jun. 2009.

[19] P. Qarabaqi and M. Stojanovic, ”Statistical Characterization and Computationally Efficient Modeling of a Class of Underwater Acoustic Communication Channels,” IEEE Journal of Oceanic Engineering, vol. 38, no. 4, pp. 701–717, Oct. 2013.

[20] S. Benedetto and E. Biglieri, ”Principles of Digital Transmission with Wireless Applications,” Kluwer Academic Publishers, Plenum Press, 1999.

[21] L. Hanzo and T. Keller, ”OFDM and MC–CDMA: A Primer,” Wiley– IEEE Press, 2006.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას.

საქართველოს მთავრობის ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგიის შემუშავების პროცესი, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების წარმომადგენლები, ტურ-ოპერატორები, სატრანსპორტო სფეროს წარმომადგენლები, ინვესტორები, დაცულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებები, წარმომადგენლები განთავსების ობიექტებიდან და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ტურიზმის განვითარების მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირების, იდეების გენერირებისა/დამუშავებისა და მათი განხორციელების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით

გაიმართა მრავალი კონსულტაცია სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დარგის დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

სტრატეგია მომზადებულია სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ბანკისა და სხვა წყაროებიდან მიღებული კვლევებისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიაში მოცემულია პასუხები შემდეგ კითხვებზე: როგორია არსებული მდგომარეობა?

დეტალურად გაანალიზდა ტურიზმის დარგში საქართველოში არსებული მდგომარეობა, მათ შორის, სხვადასხვა მონაცემი და ჩატარებული კვლევები. რას უნდა მიაღწიოს ქვეყანამ 2025 წლისთვის?

კვლევების, ანალიზისა და კონსულტაციების საფუძველზე სამუშაო ჯგუფთან ერთად შემუშავდა ხედვა. როგორ მიაღწიოს ქვეყანამ სასურველ შედეგს?

ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დოკუმენტის სტრატეგიული ამოცანებისა და პრიორიტეტული აქტივობების შემუშავების მიზნით. განისაზღვრა და პრიორიტეტების მიხედვით შეჯერდა ის ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

სტრატეგიის სტრუქტურა

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ შემუშავდა ორ ეტაპად. პირველ სამუშაო დოკუმენტში მოცემულია დეტალური სიტუაციური ანალიზის შედეგები, მათ შორის, ტურიზმის მნიშვნელობის ზრდისა და ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები და შესაძლებლობები, ასევე მათი შესწავლა და ანალიზი.

მეორე ეტაპზე მომზადდა სტრატეგიის დოკუმენტი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს, საჭირო დაფინანსების წყაროებსა და შედეგების საზომ ინდიკატორებს.

როგორია არსებული მდგომარეობა?

ტურიზმის ადგილობრივი და მსოფლიო ტენდენციები

2009 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა 293%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 5.9 მილიონს (2009 წ: 1.5 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ოდნავ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა 476 მილიონი აშშ დოლარიდან 1.9 მილიარდ აშშ დოლარამდე.

ზემოთ მოცემული მაჩვენებლები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ გასული ექვსი წლის მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა, თუმცა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომავლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 88% მეზობელი ქვეყნებიდანაა და 85% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში. საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 13% სტუმრობს ქვეყანას.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება,

რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ასპექტებზე:

o საქართველოს მდიდარი და უნიკალური კულტურა (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, რელიგია, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, რომელთა შორის, სამი შესულია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში", ხოლო ორი –

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში"); o მეღვინეობის ტრადიციები და ისტორია - „ღვინის სამშობლოს" სტატუსი; o 87 დაცული ტერიტორია, მათ შორის, 11 ეროვნული პარკი, რომლებიც ქვეყნის ფართობის 8.62% წარმოადგენს. ხსენებული შესაძლებელს ხდის მსოფლიო დონის ეკო, სათხილამურო, ველო, სამთო, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ტურიზმის განვითარებას;

o კარგი კლიმატური პირობები;

o მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო; o ქართველი ხალხის მეგობრული განწყობა და სტუმართმოყვარეობა.

მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად და როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით ქვეყანამ შემდეგი გამოწვევები უნდა დაძლიოს:

o სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფა;

o ქვეყნის ყველაზე შთამბეჭდავ ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნება, მათი მისაწვდომობის, არსებული მომსახურებებისა და საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე;

- ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით, ქალაქებს გარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია;

- ტურიზმის სფეროში განათლების სისტემის დახვეწა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით;

- ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია; o მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, ბაზრის კვლევისა და მარკეტინგული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

რას უნდა მიაღწიოს ქვეყანამ 2025 წლისთვის?

ხედვა: 2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით.

ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი

ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება.

ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობას.

მიზნები: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრა შემდეგი მიზნები:

o მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საჰაერო მგზავრობის გამარტივება. ასევე, შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის;

o ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, რაზეც მზარდი მოთხოვნაა მსოფლიოს ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებზე;

o ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და უცხო ენის ფლობის თვალსაზრისით), რათა ქვეყნის შესახებ მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გამართლდეს, ხოლო, ჩამოსულმა ვიზიტორებმა პოზიტიური გზავნილები გაავრცელონ საქართველოზე და განმეორებით ესტუმრონ ქვეყანას;

o მონაცემთა შეგროვებისა და ბაზრის კვლევის შესაძლებლობების გაუმჯობესება, უფრო მეტად მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრების მოთხოვნებისა და თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით;

o ხსენებული კვლევებისა და დამატებითი მარკეტინგული რესურსების გამოყენება მაღალგადახდისუნარიანი ბაზრების უფრო ეფექტურად ასათვისებლად, მათთან კავშირების დასამყარებლად და საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის ტურისტული დანიშნულების ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად.

გეგმები: „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში დასახული განვითარების გეგმები შემდეგია:

o ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე;

o დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს;

o ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე;

o ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე;

o ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე; o ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული

723 მილიონი აშშ დოლარიდან 1,178 მილიონ აშშ დოლარამდე; ი დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის

საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები*			
ინდიკატორი		2015	2025
საერთაშორისო მოგზაურები		5,901,094	11,000,000
შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან		1.9 მლრდ. აშშ დოლარი	6.6 მლრდ. აშშ დოლარი
ტურიზმის წილი მშპ-ში		6.7%	7.9%
ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა		158,515	301,284
ვიზიტორის საშუალო დანახარჯი		328 აშშ. დოლარი	600 აშშ. დოლარი
გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა		5	7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ტურიზმი და მომიჯნავე სექტორები)		723 მლნ. აშშ დოლარი	1,178 მლნ. აშშ დოლარი
საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა	თურქეთის, უკრაინის, თურქმენეთისა და დსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	92%	70%
	სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	8%	30%

გაორმაგება;

*შენიშვნა: აღნიშნული მაჩვენებლები შესაძლოა განახლდეს შესაბამისი კვლევების გამოქვეყნების და არსებული მონაცემების დაკორექტირების შედეგად.

საერთაშორისო მოგზაურები ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად ი ქვეყნის ცნობადობის გაზრდა;

o ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; o მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება. შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o საპრომოციო აქტივობები მაღალგადახდისუნარიან ბაზრებზე; o ტურისტული პროდუქტის განვითარება; o მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება.

ტურიზმის წილი მშპ-ში ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სექტორში; o კერძო სექტორის ზრდის ხელშეწყობა; o ტურისტული პროდუქტის განვითარება.

ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o ტრენინგები, ლექციები, სამუშაო შეხვედრები ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის;

o კერძო სექტორის ზრდის ხელშეწყობა; o წამახალისებელი აქტივობები.

ვიზიტორის საშუალო დანახარჯი ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o კონცენტრირება მაღალგადახდისუნარიან სეგმენტზე; o მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება;

o ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია.

გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o მარკეტინგული კამპანიები (იმ ვიზიტორებზე კონცენტრირება, რომლებიც ხანგრძლივი

პერიოდით დარჩებიან ქვეყანაში); o ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია; o მაღალი ხარისხის მომსახურება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტურიზმის სექტორში ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ხელსაყრელი გარემოს შექმნა; o ქვეყნის ცნობადობის გაზრდა. საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა ინსტრუმენტები მიზნის მისაღწევად

o მარკეტინგული კამპანიები;

o საპრომოციო აქტივობები ახალ ბაზრებზე; o საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა.

როგორ მიაღწიოს ქვეყანამ სასურველ შედეგს?

სახელმძღვანელო პრინციპები: სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა სტრატეგიის განსახორციელებლად შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

o კერძო სექტორის წამყვანი როლი - ტურიზმი უნდა განვითარდეს საბაზრო ტენდენციებზე დაყრდნობით, ინდუსტრიის თაოსნობითა და მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით.

o სახელმწიფოს სრული ჩართულობა - ტურიზმის სფეროს წარმატებული განვითარება საჭიროებს სახელმწიფო

ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობას, მათ შორის, საიმიგრაციო, განათლების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა უწყებების კოორდინაციას.

o ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა - საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანენ.

o მდგრადობა - განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ (National Geographic Society) - „გეო-ტურიზმის“ კონცეფცია. „გეო-ტურიზმი“ მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათ შორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

o საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე - საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურა მომსახურების სფეროზე უნდა განივრცოს ტრენინგების, განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

სტრატეგიული ამოცანები

დაინტერესებულ პირებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა 50 პრიორიტეტული აქტივობა, რომლებიც დაჯგუფდა 8 სტრატეგიულ ამოცანად:

1) ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;

2) ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით;

3) ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება;

4) კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების მეშვეობით;

5) საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენება უნიკალური ტურისტული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით;

6) საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა;

7) ტურიზმის სფეროში მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების შესაძლებლობების გაუმჯობესება;

8) ზემოხსენებული ამოცანების მისაღწევად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

პრიორიტეტული აქტივობები

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;

1.1. ახალი, კერძო ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სექტორისათვის;

1.2. მსხვილი ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების გაუმჯობესება ტურისტული დანიშნულების ადგილებში სივრცითი მოწყობის პრინციპების გათვალისწინებით;

1.3. ავიაციის დარგის განვითარება და საქართველოს მიმართულებით განხორციელებული რეისების რაოდენობის გაზრდა;

1.4. საკრუიზო ლაინერების პორტებსა და ნავმისადგომებში ინვესტირება, კერძო სექტორისათვის შეღავათების დაწესება და საკრუიზო ლაინერების წახალისება დარჩენის გახანგრძლივების მიზნით;

1.5. სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მომსახურების ხარისხის ამაღლება ვიზიტორების მოთხოვნების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, ტურისტულად მიმზიდველ დანიშნულების ადგილებსა და ქალაქებში;

1.6. ინვესტიციების განხორციელება საზღვაო ტურისტულად მნიშვნელოვან ადგილებზე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განვითარებისათვის (საშხაპეები, გამოსაცვლელი ოთახები, ნაგვის ურნები, სანაპირო ზოლებზე მისასვლელი ტერიტორიები და ა.შ.);

1.7. ინდივიდუალური მოგზაურობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო დაფებისა და მიმართულების მაჩვენებელი მანიშნებლების დამატება ქვეყნის მასშტაბით

(საერთაშორისო ან ევროკავშირის სტანდარტების გამოყენებით);

1.8. ინვესტიციების განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ტურისტული ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

2. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება ვიზიტების რაოდენობის, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით

2.1. ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში მყოფ მიწებზე სხვადასხვა შეღავათის დაწესება სახელმწიფო და კერძო კომპანიებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარების მიზნით;

2.2. ტურიზმის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს განახლება;

2.3. საინვესტიციო ბარიერების აღმოსაფხვრელად მუშაობის გაგრძელება და ტურიზმის სფეროში ინვესტორების ნდობის ამაღლება;

2.4. სატრანსპორტო სექტორის განსავითარებლად, ასევე, ახალი განთავსების საშუალებების, საკონვენციო ცენტრების, საკონცერტო დარბაზებისა და სხვა საზოგადოებრივი შენობების ასაშენებლად შეღავათების დაწესება;

2.5. სავიზო რეგულირების მოქნილობის უზრუნველყოფა;

3. ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება

3.1. ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგის დეტალური წლიური სტრატეგიის ჩამოყალიბება და

განხორციელება, მასში სამიზნე ბაზრების პრიორიტეტულობის წარმოჩენა, საქმიანობის მკაფიოდ დასახვა და წარმატების შეფასების საზომების განსაზღვრა;

3.2. ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადი და შთამბეჭდავი ბრენდის შექმნა;

3.3. კონკრეტული რეგიონების მარკეტინგული აქტივობების, მათ შორის, მათი ბრენდინგის მხარდაჭერა;

3.4. ინტერნეტ და სოციალური მედია საშუალებებით შინაარსზე ორიენტირებული მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ისტორიების გაზიარებითა (storytelling) და თემატური კამპანიების გზით;

3.5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია შესაძლებლობების გამოყენება;

3.6. საერთაშორისო ტურისტულ ინდუსტრიასთან ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება;

3.7. საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე საქართველოს წარმოჩენის გაუმჯობესება, კულტურის, ღვინის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მიმართულებების წარდგენით;

3.8. მარკეტინგული სააგენტოების, დიპლომატებისა და დიასპორის წარმომადგენლების ჩართვა საერთაშორისო მარკეტინგულ აქტივობებში და სხვა;

3.9. საუკეთესო საერთაშორისო მარკეტინგული გამოცდილების დანერგვის მიზნით სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანებისა და აქტიური თანამშრომლობის მხარდაჭერა (მაგ.: სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიული ასოციაცია (ATTA), ტურისტული

დანიშნულების ადგილების მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია (DMAI) და სხვა) და შიდა ტურიზმის სტიმულირება.

4. კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით

4.1. ტურიზმის ინდუსტრიაში ხარისხის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავება და სტანდარტიზაციის ხელშეწყობა;

4.2. ტურისტული პროდუქტის შემუშავებასა და მარკეტინგში, ასევე მომსახურების სფეროში და სხვა მომიჯნავე საქმიანობაში ჩართულ, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ტრენინგი;

4.3. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების შემუშავება / გაუმჯობესება;

4.4. ტურიზმის სფეროში ციფრული დაჯავშნისა და ანგარიშსწორების სისტემებზე გადასვლის ხელშეწყობა;

4.5. სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესება ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ვებ გვერდისა და სოციალური მედია არხების საშუალებით;

4.6. მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესება;

4.7. ვიზიტორების დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გაძლიერება.

5. ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით ტურიზმში უნიკალური და ავთენტური შეთავაზების შექმნა

5.1. სტრატეგიაში განსაზღვრული პრიორიტეტული პროდუქტებისა და ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით ტურისტული პროდუქტის განვითარებისთვის სტრატეგიული ნაბიჯების დაგეგმვა;

5.2. უნიკალური შეთავაზების შექმნისა და გავრცელების მიზნით კერძო სექტორისთვის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესაბამისი პროგრამების დანერგვა;

5.3. არქეოლოგიური გათხრების ადგილებისა და მუზეუმების შენობების გამოყენება დროებითი და თემატური გამოფენების მოწყობის მიზნით; სპეციალური ღონისძიებების მოწყობა, მხარდაჭერა და რეკლამირება.

6. საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა;

6.1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დაცული ტერიტორიების მართვის, (მათ შორის ვიზიტორთა მართვის) გეგმების შემუშავება საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენების მიზნით;

6.2. კოორდინაციის გაუმჯობესება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მმართველ ორგანიზაციებს, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტების ორგანოებს შორის;

6.3. დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის სტიმულის მიცემა, რათა მათ გააუმჯობესონ ვიზიტორების მომსახურება და გაზარდონ მათგან მიღებული

შემოსავალი, რაც ადგილობრივი მრეწველობის განვითარებასა და კულტურული/ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს;

6.4. სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; დაცულ ტერიტორიებზე, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილებზე ან/და კულტურული მემკვიდრეობის მიმდებარე ტერიტორიებზე კერძო ინვესტიციების გაზრდა (მათ შორის, მცირე და საშუალო ისტორიულ-ურბანული ტიპის დასახლებებში);

6. 5.ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომის გაუმჯობესება (გზები, სათხილამურო ტრასები, საპიკნიკე ზონები, ვიზიტორების ცენტრები, საპირფარეშოები, მანქანის სადგომები და ა.შ.);

6. 6.საქართველოში არსებული სხვა ერების/ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და მხარდაჭერა, მაგ.: გერმანული სოფლები ქვემო ქართლში, ებრაელთა დასახლებები რაჭაში, ევროპელი და ბრიტანელი მთამსვლელების მიერ კავკასიის მთების კვლევის ისტორია და ა.შ;

7. მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების მასშტაბის გაფართოება და გაუმჯობესება

7.1. ტურიზმის სტატისტიკის მწარმოებელი უწყებების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სისტემის შექმნა;

7.2. საქართველოში ტურიზმის სტრატეგიის შესრულების შეფასების ჩარჩოს განსაზღვრა;

7.3. კვლევების ჩატარება და ტურიზმის სატელიტური ანგარიშის შექმნა.

8. ზემოხსენებული ამოცანების მისაღწევად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოს, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის

8.1. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ისა და მისი განხორციელების შესახებ ცნობადობის ამაღლება სახელმწიფო, კერძო სექტორსა და ფართო საზოგადოებაში;

8.2. ტურიზმის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა ეფექტური დაგეგმვის, პოლიტიკის შემუშავებისა და ინვესტიციების ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;

8.3. სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სათათბირო ორგანოების დაარსება და არსებული ფორმატის პერიოდული გაუმჯობესება სტრატეგიის განხორციელების პროცესისა და ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

8.4. სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობით ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის მოდელების შემუშავება და განხორციელება დანიშნულების ადგილზე გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათთან გამკლავების მიზნით;

8.5. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ტურიზმის, როგორც საყოველთაო საქმიანობის განვითარების მიზნით; მცირე და საშუალო საწარმოების სარგებლის გასაზრდელად სამუშაოების ჩატარება;

8.6. კერძო სექტორის ტურიზმის ასოციაციების გაძლიერება;

8.7. პოლიტიკის შემუშავება კერძო კომპანიების, ტურისტული დანიშნულების ადგილებისა და სსიპ - საქართველოს ტურიზმის

ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ერთობლივი მარკეტინგული ღონისძიებების გატარების მიზნით.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია ათწლიანია, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას და განახლებას დასახული მიზნების განსახორციელებლად. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განახლდება მიზნობრივი ბაზრების მოთხოვნისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ასევე, ის მოერგება საბაზრო პირობების ცვლილებებს და დაიხვეწება ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღწეული შედეგების შესაბამისად.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს უწევს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტარციას პასუხისმგებელი უწყებები წარუდგენენ ინფორმაციას სტრატეგიის საშუალოვადიანი (ორწლიანი) სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შუალედური შედეგების შესახებ. საშუალოვადიანი (ორწლიანი) გეგმის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ადმინისტრაციას წარედგინება სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო, შემაჯამებელი ანგარიში.

პასუხისმგებელი უწყებები გამოყოფენ შესაბამის პასუხისმგებელ პირს - უწყების ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელიც სრულად ინფორმირებული იქნება სტრატეგიის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესახებ, ადმინისტრაციას მიაწვდის სათანადო ინფორმაციას და ჩაერთვება სამუშაო განხილვებსა და დისკუსიებში.

მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაცია საშუალოვადიანი (ორწლიანი) სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პერიოდის გასვლიდან 3 თვის ვადაში ადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებს სსიპ - საქართველოს ეროვნული ადმინისტრაცია საბოლოოდ შეაფასებს, სტრატეგიის სამოქმედო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია რეგულარულად იმუშავებს შესაბამისს სამთავრობო უწყებებთან და მუნიციპლიტეტების ხელისუფლებასთან, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტის ტურიზმის სტრატეგიასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.linkedin.com/in/davit-chakhvashvili/

https://www.facebook.com/davit.chakhvashvili1099

ყდაზე გამოსახულია ქ. ქარელში, 2018 წლის 15 ივლისს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებისთვის გადაცემული სერტიფიკატი